

510  
2

910  
2

9(47.925)

# ქართლის ცხოვრება 71

დასაბამითგან მეთუხრამეტი საუკუნემდე



წიგნი მესამე

169

ტომი პირველი

მეორე გამოცემა

ს. ჭიჭინაძის



თბილისი

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ნიკოლ. ქ., № 21.

1899 წ.

ქართული წიგნების

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го Сентября 1899 года.

**დააბრუნეთ წიგნი დროზე**  
**Возвратите книгу во время**

---

დს. შესამეოცდამეშჯდე <sup>1)</sup> მეფე, გიორგი (ბრწეინვალე),  
მე დიმიტრი თავდადებულისა, ძის მე დიდისა ბექასი,  
ბაგრატიონი. ამას-თან დვ (ter), მეფე გიორგი-მცირე,  
მე დავითისი, ძმის-წული გიორგი-ბრწეინვალისა.

ხელე ესე გიორგი წარავლინა ბექა-მან ჩოფანს თანა, და მან  
შიეუჟანა უანს წინაშე! ჩხელე მან ზატვითჱ შეიწენაკა, და წინათვე  
დაუსახვიდა ნიშთა მეფობისათა, ამან უან-მან წარმოავლინა მცირე-  
ქული (დავითს), და ჰსთხოვა შვილი, რათა მეფე უოს. მაშინ მცირე  
იუო გიორგი, იგიცა მოსტეს, და წარმოგზავნეს ურდოსა, და უან-  
მან მოსტა მეფობა და ტფილისი, და უჩინა მოძღვრად <sup>2)</sup> და საქმის  
მოურავად დიდი იგი, და მივიდეს ტფილისს. და ამას წეღსა მიი-  
ცვალა მთავარი სამცხისა ბექა, კაცი წარმატებული უოველსა შინა,  
სიკეთე-აღმატებული, საღთო საკაცობათა საქმეთა, და უმეტეს სა-  
მართლის მოქმედებითა, ეკკლესიათა და მონასტერთა მაშენებლობი-  
თა, სოფლის კეთილად (sic) მოწმუნებითა, და გლახაკთა და  
ქვრივ-ობელთა უზომრთა მიცემითა. ხელე საუვარელი მეუღლე  
მისი იუო გამცემელ ეპისკოპოსთა, მონაზონთა და უოველთა სამ-  
დჳდელთა და საეკლესიოსა სოფლისა, ეს-ოდენ რამელ სადამე  
ესმინის კეთილი და მოდჳწე და მეცნიერი ეპისკოპოსი, გინა მო-  
ნაზონი, წინაშე მისსა მოუწოდის, და მოიუვანის, და მრავლითა  
ნიჭითა და ზატვიითა ამეოფის. და საგსე იუო სახლი მისი მონა-  
ზონითა და ხუციითა. ამას აქჳნდა თანა-შეწენარებულთაჲ ობელთა,  
და ქვრივთა და დავრდომილთა. ხელე სახლსა მისსა არა დააკლდე-  
ბოდა სამ-სამი ლოცჳა. და ამის-თჳსტა წარუშართა ღმერთ-მან დღენი  
ცხორებისა მისისანი, მტერთა ძლევისა, მშვიდობასა და დაწენარე-

1) Mon m-it, 72<sup>o</sup>; pour le commencement de ce roi, v. p. 433.

2) M-it T et le mien, საზღვართ.

ბას. მიიღვალა ვითარ სამე-ოც და ექუსისა წლისა, და დაუტევა გლჳა და მწუნარება უზომო მკვიდრთა სამცხისასა.

და დაიზურეს სამცხე სამთავე ძეთა მისთა. უხურცეს-მან სარგის, და შედეგ-მან უვარუვარე, და უმრწემეს-მან შაღვა. ხოლო აღესრულა მესამესა წელსა მეფე და ვითე გარჯილი სენთა მწარეთა მიერ, და დაჭოულეს სამარხისა მეფეთასა, მცხეთას, და დაუტევეს ნაცვლად მისსა ძე მისი მტირე გიორგი, ორ-წელ მეფე ქმნილი.

შემდგომად ამისსა ინება უაინ-მან ამკედრება ქვეყანასა ზედა შამისასა, ციხესა, რომელსა ეწოდება რაბაშანი, რომელი აქენდა სულტანსა მისრელსა. წარვიდა უოვლითა ძალითა თვისითა, და თანა წარიტანა გიორგი, და <sup>1)</sup> დაშქარი დიდი, და გარე-მოადგა რაბაშანს, ხუთ თვე, და ვერა ავნო რა და ამის-თვისა იყარა და წარვიდა. და ჭევა ექუსი არწივი, დამართული სხვათა მფრინველთა თანა და ავა-ზათა. აქეთ ეს-ოდენ დიდ იყო ძალი მისი. მოვიდა უაინი შინა, და მიუერთ-გან არდა-რა-სადა განილაშქრა. დღეთა მისთა იყოფოდა მშვიდობით, და ნებიერად, ათცამეტ წელ დამზურობელი უაინობისა.

ხოლო ამან უღჯათ სულტან-მან წარმოავლინა მტირე გიორგი მეფედ, და ზაალ მელიქი ვინმე სხარსი ხვარასნელი, და ახრუნნი, მამის ძმა ჩოფანისა, თანა წარმოატანა, რათა უოველი საქართველთა და შეკრიბონ მეფობასა შინა გიორგისსა <sup>2)</sup>, და აჩინეს მათ მკარგრძელი შანშე, და ზაქარია ავაგის ასულის ხვაშავის ნაშობი. მივიდეს ჯავახეთს, მიერ ვახტის თავსა, და აწვევდეს სარგისს და უვარუვარეს გამოსვლად. და არა ინებეს გამოსვლად.

ხოლო ამათ უამთა შინა იქმნა განდგომილება საბერძნეთს, და განუდგეს ოღჯათ სულტანსა ფარმანის შვილნი და ქალაქი დიდისა კონისა. მაშინ წარავლინა უაინ მან ჩოფან (და) სხა მისი საბერძნეთს, და თანა წარატანა ქართველნი, და წარჭევა გიორგიცა ჩოფანს. ხოლო გოგაზლა <sup>3)</sup> მალუქ, შანშე და ზაქარია არა წარჭევეს თანა, და აიყარნეს, და ტფილისს შევიდეს. და წარიტანეს თანა მეფე

1) T omet deux mots.

2) T გოგასა.

3) T გოგაზილა.

გიორგი საბერძნეთს; და ვერ <sup>1)</sup> წინა-აღუდგეს თარმანისა და ქართ-მათ ერთ წელ, და უფველნი მას შინა მუოფნი ქართველნი მისცა მეფესა გიორგის და. იახლეს ჯავახნი და თორელები, რა-ოდეს ჰყუეს, და სადაცა ილაშქრან და შეიბნიან ციხეთა ზედა, მუნ მკნედ ბრძოლად გამოჩნდეს მეფე გიორგი, და მისთანა უფველნი ქართ-ველნი. და ესრეთ მოიმოწილნ უფველნი განდგომილნი და ურჩნი მისნი, და მოქცევასა წელიწდისას მივიდა შინა. ხოლო სთვლისა ესმას ვითარ მივიდა ჩოთან წინაშე უახისა, და მტირედლა დაჭყო, ვითარ თვეცა ერთი, და მოკუდა ულჯათ-სულტანი, და დაუტოვა ძე მტირე, ვითარ შეიდას წლისა, სახელით მუსაით. ხოლო იგი მია-სვენეს და დაჭოფეს ქალაქსა მას რომელსა ეწოდებოდა ურდოლბი, რომელი აღაშენა და განაგრცო უმეტეს თავრებისა, და უწოდა სა-ხელად სულ.

ხოლო ესმა-რა მეფესა გიორგის სიკუდილი უახისა, და მის-წილ დადგინება მუსაითისა, წარვიდა ურდოსა და მივიდა-რა ურდოსა მეფე გიორგი, განიხარა ჩოთან და შეიტკობ სიუჭარულითა დიდითა, ვითარცა შვილი, და მისცა უფველი საქართველო და უფველნი მთა-ვარნი საქართველოსანი, და შვილნი დავით მეფისანი, და მესხნი, შვილნი ბექასნი, და დაიწყო მთიებ-მან აღმოცვირკებად. ხოლო მე-ენა ვერ მიძრავს საკვირველისა და საშინელისა თქმად. <sup>2)</sup>

1) La négation me paraît superflue, ou il faut lire ვითარ.

2) Ici finit complètement le M-it T. — Sur le mien qui est une copie de celui du prince Phalawandof, on lit la note suivante. ამ ბრწყინვალის მეფის გბორგის შემდგომად ვახუშტი დასწერს მეფე დავითს, ამ გიორგი მეფის ძეს, სამეოცდამეთათამეტეს მეფედ, რომელიც აქამომდე ვათანკმაც. და რადგან მისის უმაღლესობის მეფის გიორგისაგან ვახტანგის თქმულზე მაქნდა ბრძანება გადაწერისა, როგორც ძველში სწერა ამაზედვე ვიწყე, რომელიც უწინვე გადამეწერა ვითარცა წყურვილსა მაშინ წერილთასა, და სამს დედანზე გამემართა რომ ისიც ისე იყო. v. la Traduction.

შემატება, გადაწერილი ვახუშტის მიერ თხზულისა „ქართლის ცხოვრებად“ — ცა წოდებულისა წიგნისა გამო, ესე იგი არს გაკრძელება და შეფისა გიორგის ბრწეინვალის შეფობისა.

დაჟდა შეუგდ გიორგი, ძე დიმიტრი შეფისა თავ-დადებულისა, და დაიწყო მთიებ-მან აღმობრწეინებებად, რომელსა ვერ ძალ-მიცხ ამისდა შესაბამის ქებისა თქმად, ვერცა სიტყვად თუ რა-ოდენ შეენიერად და გონიერად განაგო ქვეყანა თვისი, და ჰქმნა ანუ წყობანი და ბრძოლანი, ანუ შემატებანი სამეფოსანი, არამედ რაღცა ძალ-გვედვას მტირედ ვითუოდეთ.

რამეთუ ამან ბრწეინვალე-მან გიორგი<sup>1)</sup> დაიბურა საქართველო, სომხითი, სერ-კახნი, ქართლი, მესხნი, ტაო, შავშ-კლარჯნი, და ვიდრე სპერადმდე და ზღვადმდე. გარნა თუმცა ძენი ბექასნი ფრიად განდიდებულ იუვნენ, და დაეპურათ სრულიად სამცხე, კლარჯეთი, არამედ ვინადგან მოეცნეს შეფისა გიორგის ექენისა-გან, ამის-თვს ვერდა-რა ურჩ ქმნნეს ძენი ბექასნი. გარნა რამეთუ იუვნენ ბიძის ძენიცა შეფისანი, და ამისისა განძლიერებისა მსურველნი, და მცდელნი პირველით-განვე, და სიხარულით მოერთვნენ, და მოჩილებდენ მონებრივითა მსახურებითა, რამეთუ ვინად-გან ურჩთა ჩოფან-ნოინის გამო, რომელი მწედ ჰყვას, მრე ქმნებოდა, გარნა უმეტეს თვისისა სიბრძნისა და გონიერებისა-გან და დაიმორჩილებდათ.

მაშინ იჟდა კათალიკოსად ევთჳმე. არამედ დიდებულნი და ერის-თავნი ვერ სცვალნა უამადმდე, რიღითა ექენისათა. ხალხი მძლავრობდენ ოვსნი ქართლს, და დაეპურათ ადგილ-ადგილთა დაბნები და ციხენი, არამედ შეუე-მან განასხნა ძლიერებითა თვისითა, და წარუხუნა ციხენი და დაბნებნი. მერმე შევიდა და შემუსრნა კავკასისა შინა შეოფნი, ურჩნი მოსრნა და დაიმორჩილნა, და მოხარკე ჰყუნა

<sup>1)</sup> თუმცა ამა ორთა გიორგისა ცხოვრება ბნელი არს, არამედ იცნობის ცხოვრებასა შინავე, ზემო-ქვემოთა-გან, ესრეთ ვითარცა ვსწერთა, და კვალად გუჯართა, და ამისმიერის სამართლის წიგნისა-გან.

ყოველნი-იგი, და დაამშვიდა ქართლი ოვსთა-გან, ვინად-გან გზანი  
ყოველნი თვთ დაიხურნა.

ხოლო შემდგომად სიკჳდილისა ჩოფან-ნოინისა, იკლეს რამე  
ნოინთა მუსაით-უეენისა-გან, სიურმისა-თვ მისისა, მჭკლეს მუსაით-  
უეენი, და განდგნენ ნოინნი თვს თვსად, და რომელთამე დაიხურეს  
სზარსეთი, სხუა-მან ხორასანი, სხუა-მან ერაუი, სხუა-მან ადრასაგანი,  
სხუათა საბეკძენთნი. მაშინ იცა უამი ბრწეინვალე-მან მეფე-მან  
გიორგი, და განასხნა თათარნი საქაროველთა-გან, რომელნიმე  
გონიერებითა, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა, და მოსრნა  
ყოველნი საზღვართა-გან თვსთა. მერმე მოიუწინა ყოველნი ამის  
ქვეუნიანნი ერის-თავნი და წარჩინებულნი, რეცა დარბაზობად ცივსა  
ზედა სერეთისასა, და მოსწევიდნა მუნ ურჩნი თვსნი, და დაადგინნა  
ყოველთა ადგილთა წარვლინებულნი ერის-თავნი თვსნი მორჩილები-  
სანი, და დაიხურნა ამათ უმეტეს ყოველნი. მაშინ მიუბოძა სატვისს  
ჯაუელსა ათაბაგობა და ამირსზასაღარობა. კვალად შემოიკრიბნა სზანი  
და შევიდა რანს, ვერ-ვინ წინა აღუდგა, და მუნდამ შევიდა შირვანს,  
და დაიმორჩილნა იგინიცა, და მოხარკე ჭეუნა დარუბანდამდე, ქურ-  
დის ლეკითურთ. შემდგომად მოიქცა ტფილისს განძლიერებულნი.

ხოლო იმერეთს, ვითარცა აღვსწერეთ, შემდგომად ნარინ-და-  
ვითის მეფობისა, იყო შლილობა ძმათა შორის, მრავალთა წელთა,  
და ამის მიერ განდიდნენ მთავარნი, და განმკვდრდნეს ერის-თავნი  
ქვეუნიანნი. ხოლო შემდგომად მოკჳდა მეფე კოსტანტინეცა, და  
არა დაუტევა ძე, არცა ასული, და დასჯდა მის-წილ მეფედ ძმა  
მისი მიქელ. მოკჳდა მიქელცა, და დაუტევა ძე ერმა ბაგრატ. მან  
ბაგრატ, სიურმითა თვსითა და დაუმორჩილებლობითა მთავართათა,  
ვერ იკადრა მეფობა, რამეთუ არდა-რა მოერთნენ ერის-თავნი. მაშინ  
იხილა ესე ვითარება იმერთა ბრწეინვალე-მან მეფე მან გიორგი,  
და ეზრახნა იმერთა. ხოლო ამის-თვს სათნო იჩინეს მათცა მეფო-  
ბა მისი, ვინად-გან განძლიერდებოდა, მერმე შემოიკრიბნა სზანი  
თვსნი ძლიერნი, გარდავლო მთა ლიხისა, სპითა, და ამისნი მხილ-  
ველნი იმერნი ყოველნი მოერთოდნენ სიხარულითა. ხოლო ბაგრატ,  
ძე მიქელ მეფისა, შეიუვანეს აღმზრდელთა და ერთ-გულთა მისთა



ქუთათისს, და განამაგრეს ციხე. მცნობი გიორგი მეფე, მოადგა ქუთათისს, მაშინ ბაგრატ ვერღა-რა წინა-აღმდგომი და შემჭირვე-ბული რა-ოდენსამე უამსა, ევედრა მეფესა გიორგის რათა არა-რა აგნოს სიკუდილითა, ანუ ხატომრობითა, და მისცეს სარწო იმერეთ-სავე მეფე-მან, მივიდეს წინაშე მისსა, და მისცეს უოველნი ციხე-ნიცა იმერეთისანი მეფესა, „ვინაღ-გან მოგვცა ღმერთ-მან ძლევა“. ამის-მან მსმენელ-მან მეფე-მან, განიხარა და აღუთქვა უოველივე აღსრულებად სწადელნი მისნი. მსმენელი ჰირისა ამის, გამოვიდა ბაგრატ და მოვიდა წინაშე გიორგი მეფისა, და მოსცა უოველნი ციხე-ქალაქნი და სიმაგრენი იმერეთისანი. ხოლო გიორგიმ მეფე-მან ხატივ-სცა, ვითარცა მონათესავესა თვისსა, და შეიწუნარა იგი ფრად სიუჟარულითა, და აღიხუნა უოველნი ციხენი, და ქალაქნი, და სიმაგრენი, ბრწუინვალე-მან მეფე-მან გიორგი-მ იმერეთისანი. ქრისტესით ჩტლ, ქართული იწ. და დასხნა ერის-თავნი თჳსნი. ხოლო ბაგრატს მისცა საერისთო შორაპანისა, და ჰყო მუნ ერის-თავად. ამისი მხილველი დადიანი მამია, და გურიელი სვანთა ერის-თავი, და აფხაზეთისა შარვაშიძე, მოერთნენ ნიჭითა დიდითა, და დაულოცეს მეუობა იმერეთისა, და უოველისა გიორგიისა. მერმე შთავიდა ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს, მუნებურნი განაგნა, და დაი-ხურნა ციხენი თჳსად. და მისცა ცხომის საერისთო ბედიელს, ვი-თარცა ჰირველ ცხომისა იყო. უე-მოიქცა, შემოვლო გურია, განაგნა მუნებურნი და მოვიდა სამცხეს. ამა სამცხეს უოფასა შინა მეფისასა, მოკუდა ათაბაგი სარგის, ქრისტესით ჩტლდ, ქართული კბ. ხოლო მეფე-მან მიუბოძა ძესავე მისსა უვარეუვარეს ათაბაგობა, და დასხნა ერის-თავნივე თჳსნი კლარჯეთს, სპეეს, კალმახს, არტანუჯს და სამცხეს. არტანისა და წუნისა, და ამა საერისთოთა-გან, რომელი-მე უბოძა ბიძათა, და ბიძის ძეთა უვარეუვარე-ათაბაგისათა, და იუჟნენ ესენი მორწილებასა ათაბაგისასა. განაგნა მუნებურნი, ვითარცა კე-თილ-მან სურათ-მოდღვარ-მან უოველნივე, წარმოვიდა და მოვიდა ტფილისს.

მერმე კვალად განიხილა მეფე-მან მთიულთა და კაჭკასთა სა-ქმენი, რამეთუ მრავალნი უჯერონი იქმნებოდენ. შემოიკრბნნა სპანი,

შევიდა და დაიმორჩილნა ჭოგუელნი უმეტეს ზირველისა, კავკასსა შინა შეოფნი. მუნიდამ ჩამოვლო ცსრა-ზმასა ზედა, მოვიდა მუხრანს და ჩამოიუჭანნა მუნ რომელნი კავკასიასა შინა ქრისტეანები იუვნენ თავნი მათნი, და კეკის ბერნი. შემოვიდა ტფილისს და შემოიტანნა იგინიცა, და განუჩინა მათ სამართალი, და წესნი დაუსსნა წიგნითა, რათა ჭყოფდენ წადმართ ეგრეთ.

შემდგომად მოკუდა კათალიკოსი ეფთჳე, და დასკა ბასილი. არამედ რომელ-მან ხონთავან-მან დაიპურა ადრებაგანი, ამანვე იწყო ჰერობად სომხითისა, რანისა და მოვაკანისა, და მოვიდა განჯას, რათა დაიმორჩილას გიორგი მეფეცა. ამისი მცნობელი მეფე, მიეგება სზითა თჳსითა. ეწყო, და იქმნა ბრძოლა ძლიერი. გარნა ძალითა ღვთისათა მოსრნა მეფე-მან ბანაკნი მათნი და ივლტოდენ, და მოსწუგედდენ სზანი მეფისანი მახულითა. და შემოიქცა გამარჯვებული, აღათითა დიდითა.

კვალად ეგრეთვე საბერძნეთის სულტან-მან ორხან ინება რათა დაიპურას კლარჯეთი და მიმდგომნი მისნი. მცნობელ-მან გიორგი მეფე-მან, მიუვლინა ზავისა ზირი. ხოლო მან არა ინება. შეკრებულნი სზითა, მეფე ეწყო სულტანსა, მოსტა დემეტ-მან ძლევა, და მოსრნა ურიცხჳნი თურქნი, და ივლტოდენ სულტანითურთ. მხარული მეფე, აღათითა მათითა სავსე, შემოიქცა გამარჯვებული, და მოვიდა კვალად ტფილისს. ამისა შემდგომად უმეტესად დაიმორჩილნა რანი, მოვაკანი და სომხითი, და მრადის მოსტემდიან ხარკსა, და არცადა იუვნენ თათარნი საბრძანებელსა მისსა. ხოლო ვინად-გან დაიმორჩილნა და დაიმონნა უფველი გიორგია ნებასა შინა თჳსსა, და კავკასნიცა მოჩილებასა შინა მისსა იუვნენ, ნიკოზსიდამ დარუბანდამდე. კვალად რანი, მოვაკანი და შარვანში<sup>1)</sup> მოხარკედ აქუნდა, და არდა-რა იყო წინა-ადმდეგი და ურხი მისი. შემოიკრიბნა კათალიკოსნი და ეპისკოპოსნი ივერიისანი, და განახლნეს წესნი საეკლესიოანი, განმართნეს და დაადგინნეს მოწესენი წესსა ზედა თჳსსა, და უწესონი განჭკვეთნეს.

1) Lis. შარვანში.

ხელთ კვალად ამისსა შეუთბასავე შინა, მოკუდა დადიანი მამია, და მიუბოძა შეუუ-მან გიორგი ძესა მისსავე გიორგის დადიანობა, ქრისტესით ჩტმე, ქართული ლგ. ხელთ ამისთჳს ეწოდა ამა გიორგი შეუესა ბრწეინფაღე, რამეთუ იყო ჭკერთვნებით ფრიად შეენიერ და ახოგნებით უებრო, მოწყაღე, უხვი, თბოლთა, ქვრივთა, დაფრ-დომილთა შემწეინარებელი. მეორედ, ვინადგან იყო იგერია დაფან-ტული, სამეუფოდ, სამთავროდ და სსკრისთოდ დაუოფილი. ამან სი-ბრძნე-გონიერებითა და ძლიერებითა თჳსითა, კვალად შემოიკრიბნა და დაიმოხრა ვითარცა აღმაშენებელმან. განაფნა და აღაშენა ქვეუა-ნანი, სჯული და სამოქალაქო წესნი განაბრწეინფა, ეკკლეისიანი დარ-ღვეულებნი და მოახრებულნი აღაშენა, განაახლნა. რანი, შარვანში, და მოფაგანი მოხარკე ჭეო თჳსად. სძლთ უოგულთა, სადა ჭერ იყო, ბრძოლითა და ძლიერებითა. და სადა კამდა, სიბრძნე-გონიერებითა და მეტნიერებითა თჳსითა დაამშვიდნა, და შეუთბდა შეუთბითა კე-თილითა იგერიასა ზედა ოც და რვა წელი. შემდგომად გარდაიცვა-ლა, უოგლითა კეთილითა და ღუთის-მისხურებითა აღსაფსუ ტფილისს, ქრისტესით ჩტმე, ქართული ლდ.

ღწ. მესამეოცდამერვე შეუე ქართლისა, დავით, მე გიორგი-ბრწეინფაღისა, ბაგრატიონი.

ხელთ შემდგომად შეუისა გიორგის დაჟდა ძე მისი დავით შეუედ. შემოკრბენ კათალიკოზნი, ეპისკოპოსნი და დიდებულნი, ნიკოპსით, სპერით, დარუბანდამდე, და აკურთხეს შეუედ. ამან და-ვით შეუე-მან დაიპერა უოგულნი სსბრძანებულნი მამისა თჳსისა, და მატა უშეტეს შენებსა ეკკლეისიათა, და ციხე-სიმაგრეთა, რამელნი მოახრებულ იუჳნენ, და დაუშინეს ბრწეინფაღესა შეუესა გიორგის. ვინად-გან მოსტნა დმერო-მან უამნიცა მშვიდობისანი. ამის უამსა მოკუდა კათალიკოზი ბასილი, დასვა კათალიკოზად დოქათეოსი. ამისვე უამსა, წელსა ქრისტესით ჩტნზ, ქართულსა მე, დაბ-ნულად მწე. კვალად ამავე დავით შეუის ნებითა, შეირთო ბაგრატი

ერის-თავ-მან, მიქელ მეფის ძე-მან, ასული ვეარევეარე ათაბაგისა. ხოლო ამან დავით მეფე-მან იმეუთა კეთილად დღეთა მისთა, მშვიდობით და ღვთის-მისხურებით, ვინად-გან მეფესა გიორგის დაუმოწიანეს და დაემშვიდნეს უოგელნი, და მოკლდა ესე დავით მეფე სამეფოსა თჳსსა ზემო-ქვემოსა, იმიერ-ამიერთა. განაგებდა, ნადირობდა და იშვებდა. არამედ გეგუთს ჟოფასა შინა გარდაიცვალა, ქრისტესით ხტა, ქართული მს. და დაუტევა დედოფალი ცოლი თჳსი, სინდუსტარ, და ძე ბაგრატ. მიიღეს და დამარხეს კელასი, გათავდა შემატება:

დთ. მქსამეოცდამეცხრე მეფე ქართლისა, ბაგრატ, მე დავითისი, ბაგრატონი.

დაჟდა მეფედ ბაგრატ, და განაგებდა სამეფოსა ქართლისსა. ხოლო მჟდომარე იყო წმიდა კათალიკე ეპიკლესიის ხარისხსა ზედა, და უამსა მას დამწესიდა კეთილად მწუქესი-იგი კეთილი სანატრელი, და უოგლად-წმიდა კათალიკოზ-მატრიარხი ელიოზ.

და ამას უამსა შინა გამოხნდა მძლავრი ლანგ-თემურ, შირველად ქვეყანასა თურქეთისასა. რამეთუ ეწოდა სახელად თემური და მკელობულ იყო, და სმართა ენათა მიერ მკელობელსა ლანგ ეწოდების, ხოლო ესე ლანგ-თემურ გვარ-ტომობით იყო ჩინგის სამარ-უასელი. ამის თჳს უწოდენ ჩინჳისად. რამეთუ შირველთა უამთა შინა იყო ვინმე ქვეყანასა თურქთასა ასული ერთი მდიდრისა რომლისამე, მუნ მკვიდრთაგანისა კაცისა. და იყო ქალი ესე მდიდარ ფრიად, საჭურჭლეთა და მახათა სიმრავლითა გარდარეულ, და უფლებდა რომელსამე ელსა და სმართა ზედა. ესრეთ განაგებდა ელსა და სმართა თჳსთა ქალი ესე, და არა ესვა ქმარი. ხოლო იქმნა მის-ზედა გელოფნება რამე ბელარისა, და მიდგომილება ასტესებრივი, და ეგრეთვე ქალი-იგი მიდგომილ იქმნა, თჳნიერ ქმრისა და დაწინდებისა. ხოლო საცნაურ იქმნა მიდგომილება-იგი მისი უოგელთა მიერ. და მცნობელთა საქმისა ამის სმართა მისთა მიერ, ფრიად შემსწობელთა.

განსაქიქებულ და საკიცხელ უხნდათ. რამეთუ დიდათ წარჩინებულ იყო მკვიდრთა მის ადგილისათა. ხალხ ვერდა-რა თავს იდევს სი-  
რცხვილი-იგი მისი სზათა და მონათა მისთა: დღეს ერთსა შეკრბეს  
ჯანად მისსა, მიუგლინეს და ეტოდეს: „ვინათ-გან მთავარ და უფალ  
ქმნილ ხარ ჩვენ-ზედა, რასა-თვს ჭეჳს საქმე ესე, და შეამთხვიე  
თავსა შენსა ესე-ვითარი სირცხვილი“, ხალხ მან უარ-ყოფიად  
და ეტოდა მათ: „უკეთუ სარწმუნო ხართ სიტუვათა ჩემთა, ესე  
უწოდეთ, რამეთუ მე კაცთა-გან ზრს მიდგომილ ვარ. და უკეთუ  
არა სარწმუნო გიხნით, დაადგიეთ სრასა ამს ჩემსა მსტოვარნი,  
და მათ ცნან თუ ვინა მოვალს ჩემდა, და მით გულ-სავსე იქმნეთ“.   
და მათ ჭეჳეს ეგრეთ. განაწესეს მცველნი, და გამსტოვებლთა სა-  
ქმისა მის იხილეს მსგავსი ნათლისა მსავარება მთავრისა-მის ბე-  
ლისა, რამელი კელგებოთა თვსთა მიერ რეცა ნათლად შეიტვა-  
ლების, და უფრადა ნების შეფუელთა თვისთა ზედა ესრეთ ჭეჳ-  
ქმედებს. ხალხ მცველთა-მათ იხილეს ნათლისა სახე-იგი, რამელი  
მივიდა ქალისა-მის-თანა, და მსგავს-მან განისვენა მსგავსისა თანა,  
და ეგრეთვე დამე უფულ ჭეჳქმედებდა, და აუწეს მცველთა ცხადად  
ხილული-იგი მათ მიერ. მაშინდა სარწმუნო იქმნეს საქმისა-მის.  
ხალხ მიუდგა ქალი-იგი და ჭეჳს ურმა-წული, და აღიზარდა იგი,  
და უწოდეს მას ქედ ნათლისად, და მიერთ-გან უწოდეს ჩინუიზი.  
და ვითარცა აღიზარდა იგი და იქმნა მეფედ თურქთა ზედა, და  
მიერთ-გან მეფობდენ მუნ ტომნი მისნი. და ესრეთ ლანგ-თემურ  
იყო ტომობით თესლი ჩინუიზისა-მის, და ყოფილთა მეფისა უმა  
საუვარელი და შეკდართ მთავარი, და მიანიჭა ქალიცა ბჳსი. ამის-  
თვსცა ხალხ განძლიერდა ფრად, და უფლებდა სზათა თვსთა ზედ,  
და სხვანიცა მრავალნი მიიმძლავრა, და დიდად სახელგან და გან-  
თქმულ იქმნა მკვიდროსათა მის ადგილისათა. ხალხ კელგებოთა  
თვსითა მოიხრვა უამი რამე ნების თვსისა, და მოკლა მეფე თუ-  
რქთა, და ქენიცა მისნი უფელნივე მოსრნა პირითა მახვილისათა,  
და თვთ დაიხრცა სულად ქვეყანა თურქეთისა, და მერმე ინდოეთ  
და ერანთ და კვალად უმეტესად განძლიერდა, და ვერდა-რა-ვინ  
აღუხნდეს წინა აღმდგომად მისა. რამეთუ ვრცელად ცხრვება მისი

წიგნთა შინა სწავსთასა განმარტებით წერილ არს, და სომეხთაცა სხგებრ კადმე აღუწერიათ. ხალხ ამიერითგან უფრესად განძლიერდა ლანგ-თემურ. რამეთუ კინდა სულიად დაიზურა შირი უფლისა ქვეყანისა, და ესრეთ წარემართებდა საქმე მისი ვითარცა აღექსანდრე მაკედონელისა. და ესე არა-თუ კეთილ-მოქმედებისა მისისა თჳს, არამედ ესრეთ არს სოფლისა ამის ჩვეულება, და იგი მზერად ბელი უფლისა ქვეყანისა აწ ესე-რა იგოცა ნაცარ და მტვერ ქმნილ არს, და სულითა ქვესკნელად შთასრულ არს.

ხალხ აწ შირველსავე სიტყვასა მივიდეთ, მაშინ დაიზურა ლანგ-თემურ უფელივე ქვეყანა აღმოსავლეთისა, და წარმოვიდა, ძლიერებითა მრავლითა და სებითა უჩინებოთა, რომელი ჭფარვიდა უფელთა ველთა ქვეყანისათა, და ესრეთ მოიწია სომხეთად, და მოიცვა სულიად სომხითი. რამეთუ მოიწია მუთ-ზედა ჭირი, სრვა, ტუვენვა; და სულიად იავარ ჭურ სომხითი, ესრეთ ვითა ცსოვრებასა სომხთასა განმარტებით წერილ არს. ხალხ დაიზურა სულიად სომხითი და მრავალი ტუვე ჭურ, და უმრავლესნი მათნი მოსრნა შირითა მახვილისათა, და სხვანი უფელნივე თჳსად მიიმძლავრნა, და ჭურ საბრძანებელსა ქვეშე თჳსსა. და წარვიდა მუნით-გან და დაიზურაკარი, და აღიდა უფელნივე ციხენი და სიმაგრენი მათნი. ხალხ წინა-აღმდგომნი და უჩინი უფელნივე მოსრნა შირითა მახვილისათა, და დაიბანაკა მუნ ზამთარსა ერთსა. რამეთუ იყო ზამთარი ძლიერი და ფიცხელი. ხალხ წარვიდა ათაბაგიცა, და მოჩინა ექმნა მას. რამეთუ ვერ ძალ-ეღვა წინა-აღმდგომა მისი, და დიდად ჰატვი-სცა ათაბაგსა. მაშინ წარვიდა შურდას-შვილი ვირშელი, და წარმოუძღვა წინა, უფლითა სებითა ჩაღნელ-ქვეშნელ-სიყალბელ-ნაღრთელი-ინდუსტანელითა, და უფლისა სწავსეთისა და აღმოსავლისა ლაშქრითა, დიდიაა ჩინსვითა და გულის წურმითა.

ხალხ შემდგომად ზამთრისა წარმოემართა ქართლსაცა ზედა, ვითარცა დეფანნი ზღვისანი განძვინებული, რამეთუ წადიერ იყო დაზურობად საქართველოსა, და ესრეთ იყო ნება სვინიდისისა მისისა. კარდამოვლად აბაცი, წარმომტუვენველ-მან და სულიად იავარ მუთ-ველ-მან უფლისა სწავსებისა-მან, არა ჭურვანა მუნ, არამედ წარმო-

ვიდა, კარდმოვლთ თრიალეთი და სპარათიანო, სპინელებითა და  
ზარითა დიდითა, ქრისტეს აქეთ, ჩტუგ. რამეთუ ვის ძალ-ედვა  
წინა-ადდგომად, მისა. რამეთუ ჭევა ბანაკი და სიმრავლე სპათა  
ურცხვი, რამელსა ვერ იტევდენ მთანი და ველნი, და უოველნივე  
არენი და სანახები საქართველსანი, და მოსრნა უოველნივე თრია-  
ლეთი, სპარათიანო, და კარემონი მკვიდრნი მათ ადგილთანი წარ-  
მოჭსტუვენა, და შემუსრნა უოველნივე სიმაგრენი, ციხენი და გო-  
დოლნი. და არა დაშთა დაბანი, რამელი სულიად არა ადოკრა.  
რამეთუ არა-ოდეს მოწვენულ არს ჭირნი ესე-ვითარნი საქართველსა  
ზედა, რამელი მან მოაწია. მაშინ ჭსტნა-რა საქმე ესე მეფე-მან  
ბაგრატ, მწუხარე იქმნა ფრიად, და ეძიებდა დონესა რასამე საქმი-  
სასა, რამეთუ ვერ ძალ-ედვა წინა-ადდგომა მისი. ხოლო შევიდა  
ციხესა ტფილისისასა. მაშინ გიორგი მეფე წარვიდა და მივიდა  
სამწევრისს: და ოდეს ესმა მოსლვა ტფილისს თემურისა, მაშინ  
ადიუარა მეფე გიორგი ლხთ-იმერეთით. მაშინ ერის-თავი ვირშელი  
უკუ-დგა ციხესა ბეხუშისასა, დედა-წულითა და ჯოგითა, და თანა  
ჭევა კათალიკოზი ელიოს, უოვლითა სუდრის შვილითურთ, და ხი-  
ზნითა და ჯოგითა, და ცხვრითა, და გამაგრდა მას შინა. და ვი-  
თარცა ესმა საქმე ესე ლანგ-თემურს, წინა-ადდგომა და სიმაგრე,  
ეგრეთ ჭკონებდა თვთ მისლვასა და მორჩილებასა მეფისა ბაგრატი-  
სასა, ვითარცა მორჩილ ექმნა ათაბაგი, და სხვანიცა მრავალნი. მა-  
შინ ფრიად განრისხნა მძლავრი-იგი ზვაჳი და ამხარტავანი. მივიდა  
და კარე მოადგა ციხესა ტფილისისასა, და უბრძანა სპასპეტთა და  
სპასლართა თვსთა უოველთავე ბრძოლა ძლიერი, და განწირვა თავთა  
მათთა. ხოლო რამელნიმე დიდებულნი თავადნი ქართლისანი არა  
იუწნენ ციხესა-მას შინა, მეფისა ბაგრატისა თანა, არამედ წარსულ  
იუწნეს თვს-თვსად სახიზარსა და სიმაგრესა შინა, და რამელნიმე  
თანა ჭევეს ჭრჩეულნი ჭაბუგნი, რამელნი სამარადისოდ თანა ჭევე-  
ბოდეს მეფესა. ხოლო მოიცვა მძლავრ-მან ლანგ-თემურ სულიად  
კარემონი ტფილისისანი, და უბრძანა სიმრავლესა ბანაკთა თვსთასა  
ადება ციხისა და შემუსრვა ზღუდეთა ციხისათა. მაშინ მეფე-მან  
ბაგრატ, დიდად მიწდობილ-მან და მსასოებელ-მან მოწყალე მათ ღვთი-

სათა, განიგულა წინა-განწყობა მათი, მეტუველ-მან ესრეთ. „ფრიად უმჯობეს არს და სხნატრელ სიკუდილი სარწმუნობასა ზედა ქრისტესსა, ვიდრელა-რა მორჩილებასა და იძულებით შეპყრობასა მძლავრისა მის მიერ“ და ესრეთ შეიჭურა ჯაჭვ-ჭური ქრისტეს სარწმუნობისა, და გამოვიდა შემთხვევად და ბრძოლად ღანგ-თემურისა.

და მიეტევნეს ბანაკსა მათსა მეფე ბაგრატ და სხანი ქართველთანი, ესრეთ ვითარცა გავაზი გუნდსა წეროთასა, და ვითარცა ლომი მრთვეულსა ზრახათასა. და იქმნა ბრძოლა ძლიერი (იმიერ) და ამიერ, და მოისრა ორ-კერძოვე სიმრავლენი სხათანი. და უფროსდა უმრავლესნი მოსწუდეს სხანი ღანგ-თემურისანი, და ვერა უძლეს ოტებად მათდა, სიმრავლისა-გან ბანაკათასა, და დაშვრეს ფრიად ქართველნი, ფიცხელთა ბრძოლათა მიერ და სრვათა, და მოისრნეს ქართველნიცა მრავლნი. და ესრეთ უკუნ-იქცეს მუნვე, ციხესა ტფილისისასა. ამისა შემდგომად ფრიად განძვინებულ-მან ღანგ-თემურ, და ვერ მიმთხვეულ მან ნებასა გულის-თქმისასა, მოიხვავა ღონე ესე-ვითარი, და ქმნეს ჩელტები, რკინითა შემზადებულნი. ესე აღიფარეს და მიეტევნეს ციხესა მას ტფილისისასა, და ესრეთ მძლავრებით შემუსრეს და აღიღეს ციხე-იგი, და იავარ ჭევეს სულიად შინა-გან მუოფნი ციხესა-მას შინა. და რამეულნივე მოსრეს, და რამეულნივე ტყვე ევკს. მაშინ შეიპყრეს თვთ მეფე ბაგრატ, და დედოფალი ანნა, და მის-თანა მუოფნი ქართველნი უოველნივე. და განიხარა ღანგ-თემურ შეპყრობისა მისისა-თვს, და ჰერობილ ჭეო მეფე ბაგრატ, და სულიად მის-თანა მუოფნი ქართველნიცა, და თვთ დაიპყრა ციხე, და შეაყენა მას შინა სხანი თვსნი. ხალხო აიძულა მეფესა ბაგრატს ჭსჯული მაჭმადისა ღანგ-თემურ, და აღუთქმიდა ნიჭთა დიდთა, და ჰატოვისა ძმებრივისა, და კვალადვე მინიჭებასა სამეოფლსა თვსისა. ღიქნითა სიტყვათათა მოქენე იყო ჰერობად ჭსჯულისა მისისა, და არა მორჩილ ექმნა უოვლადვე. რამეთუ მტკიცედ ეგო სარწმუნობასა თვსსა ზედა მეფე ბაგრატ, და იყო მტკირედ-რამე მუნ ღანგ-თემურ. და მერმე აუწიეს ნადირთა სიმრავლე, და შექცევას უარაიისა, და წარვიდა უარაიისა შინა. მოინადირეს და შეექცეს კეთილად, მოსრეს სიმრავლე ნადირთა, და იშვებდეს უზრუნველად და



განსტკრებოდეს. მაშინ განიზრახს წარსლვად უკაბადს, და აღიუარს და წარვიდა, და თანა წარიუგანს მეფე ბაგრატ ჰერობილი. და შთასრულ-მან უკაბადს, დაიბანაკა მუნ რადენთაჲმე უამთა, და იგონებდა ბოროტსა. რამეთუ საკსე იყო შურითა და კდომითა, რამელისა თხლე არა წარმოცაღიერა, და გარდამოცემოდა გესლი ასპიტისა ბაგეთა-გან მისთა. რამეთუ სულიად ეგულვა და მოქენე იყო იავარ ყოფისა თჳს საქართველსა, ვინათ-გან მეფე ბაგრატ ჰატიმრად ჰყვას; და სხუა არა-ვინ საეჭველ უხნდა წინა-აღმდგომი მისი: განაწესა სპასალარი ერთი ვინმე წარჩინებულთა თჳსთაგანი, და მისცნა სიმაკაფლენი სპათანი ურიცხვი, წარმოგზავნა საქართველსა ზედა, და აშენო სულიად მოკურება და დასრულება ქართლისა, და უმეტესად წმიდათა ეკკლესიათა-თჳს, ტიხეთა და შენობათა-თჳს ეტყოდა: „და-არდვიეთ, დაარდვიეთ მისაფუძველადმდე მისა. ხოლო მეცოვანთა მამათა და დედათა, და უფროსდა სამღუდელოთა-გან რამელნიცა შეიპყრან მისრან ყოველნივე ჰირით- მახვილისათა, და სხვანი წარტყვენონ, და ტყვე ჰყონ. და მოწვან ცეცხლითა წმიდანი ეკკლესია-ნი, და ყოველნივე დაბანი და შენობანი ქართლისანი“. და ესრეთ აშენო და განამტკიცნა სარდალნი და ყოველნივე სპანი თჳსნი მძლავრ-მან უწყალო-მან ლანგ თემურ. მაშინ წარმოვიდენ და მოიწივნეს მსწრაფლ მუისსა შინა არეთა ქართლისათა, ქრისტეს აქეთ, ჩტყვ.

და ვითარცა მოიწივნეს, მაშინ მოიცივეს ტფილისი და სულიად ყოველნივე სანახები ქართლისანი, და სრვიდეს უწყალოდ, ვითარცა ჰირველად მეგვიპტელთა ღვთისა მიერ რისხვით მივლინებულნი-იგი მომსრველი სენი, რამეთუ ესრეთ თქმულ არს: „ორ-გზის უამიცა-ადარ მიექცევის“. ხანდვილვე ფრთად უბოროტეს უამისა გამოხნ-დეს იგინი. რამეთუ მომსრველი იგი უამი ზეკარდამო ბრძანებითა ყოვლად მოწყალისა ღვთისათა. მიივლინების კაცთა ზედა, განმრავ-ლებისა-თჳს ცოდვათა ჩუწნთა-თვის და ჰსწვრთნის ვითარცა საუფა-რელსა ძესა მამა-იგი მოწყალე, რათა შეინახონ და მოიქცენ სინა-ნულად. და განკებითა ღვთისათა, მის მიერ აღსრულებულნი გჳამნი მკუდართანი ყოველნივე მღუდელოთა მიერ შეიმურსვის და იმსახურე-ბის, და წმიდათა ეკკლესიათა შინა განწესებულ არს სამარხო მათი,

პატივად და სალხინებელად აღსრულებულთა სულთა-თჳს, და მამ-  
სვრელი-იგი სენი ვერ მიეხების მღჳდელთა რათურთით, და ესრეთ  
განთავისუფლებულ არნ მღჳდელნი მამსრველთა სენტა მიერცა, და  
წმიდთა ეკკლესიათა მიერ ფრიად შიშნეულ არს, და მძრწოლარე  
ჭირი-იგი მამსრველი. არამედ მაშინ ფრიად უბორბტეს გამოჩნდეს  
მამსრველისა-მის-გან ჟამისა სჳანი იგი ლანგ-თემურისანი საქარ-  
ველთა შინა. სოლო არა თუ ყოველთა კაცთა სრვა კმა ყოთ.  
არამედ წმიდანი ეკკლესიანიცა, და მას შინა შეოფნი სამღჳდელონი  
კრებულნი ცაცხლითა დამწვარ იქმნეს მათ მიერ. მაშინ დაუტევეს  
ქვე-კერძონი-იგი სანახები ქართლისანი, და წარვიდეს ზემოთ-კერძო  
შიდა-ქართლად, რომელსა აწ ზემო-ქართლად უწოდენ, რამეთუ შირ-  
ველ მათსა დაშთა შიდა-ქართლი წარუტევენველად. მაშინ მივიდეს  
ურჯულონი-იგი, წმიდა კათოლიკე ეკკლესიასა მცხეთას, უფრსდა  
და უმეტეს საგსენი შურითა მისითა. ეჭა ვაჟე დღისა-მის-თჳს და  
ჟამისა რომელი მოიწია ჩვენდა, სიმრავლისა-თჳს ცოდჳთა ჩვენთასა.  
აჭა წარმოდები ჩვენდა, გოდებისა მთხზველად, კმა ჭრამათ მტი-  
რალი სადმერთო, იერემია, მეტეველი ესრეთ: „განიშორა უფალ-  
მან საგურთხეველი თჳსი, განაბნია სიწმიდე თჳსი, შემუსრა კელითა  
მტერისთა ზღუდე ტაძართა მისთა. კმა ბრძოლისა მოსცა ხალხსა  
შინა უფლისასა, ვითარცა დღესა შინა დღესასწაულისასა, და ეგვეთ-  
ნეს ქვეყანასა ბჳენი მისნი, წარწმიდნა და შემუსრნა მოქლონნი  
მისნი, მეფე მისი და მთავარნი მისნი, წარმართთა შორის, და არა  
არს ჭსჯული, წინასწარმეტეველთადა მისთა არა ჰოვეს ხილვა უფ-  
ლისა მიერ“. რამეთუ ესრეთ სახედ ყოველივე ჭყო მძღავრ-მან უწ-  
ულთ-მან ლანგ-თემურ საქართველთა შინა. ვითარცა მეფე-მან ბა-  
ბილოვნისა-მან ნაბუქოდონოსორ მოაწია იერუსალიმს შინა, და  
უფრსდა კარდამატა მას. რამეთუ მან არა იკადრა დარღვევა ტაძ-  
რისა-მის სოლომონისა, თჳნიერ წარდებისა მრავალ-ფასისა-მან პატი-  
ოსანთა ჭურჭელთა ტაძრისთა. არამედ ამან ლანგ-თემურ ესე-ოდენი  
ბორბტი ჭქმნა, ვითარმედ წარიდო ხელიად პატიოსანი სამკაული  
და შემკობილებანი, ჭურჭელნი წმიდისა კათოლიკე ეკკლესიისანი.  
და იგი არა ჯერ უჩნდა კმა ყოფად. არამედ თჳთცა შეჭკადრა, და

ბილწითა კელითა წარმდებად კელ-ჭეო, დარღვევად და მოკრებად სვეტისა-ცხოველისა, შინა-გან და კარეთ, ზღუდენი და ზაღატნი, და უოველნივე შენობანი სულიად იავარ ჭევეს სპათა ლანგ-თემური-სათა. ამისა შემდგომად აღიყარნეს და წარვიდეს, და სადაცა განვ-ლეს დაწვეს და მოაკრეს დაბანი და შენობანი ზემო-კერძითა სანა-ხებთანნი.

და ესე-ვითარითა სიბოროტითა მიიწივნეს ქვაბთა-კევეს, და იგიცა მოიცვეს და წარმოსტევენეს, და ჭევეს მრავალი ბოროტი გარეშე წმიდასა ეკკლესიისა, და იხებეს წმიდასა-მის ეკკლესიისა ცეცხლითა დაწვა და დარღვევა. რამეთუ შიგან ტაძრისა-მის შელ-ტოფვილ იუენეს უოველნივე მუნ მეოფნი წმიდანი მღუდელნი, დიაკონნი და თიჩოსანნი, მღუდელ-მონაზონნი, გლახაკნი და უღო-ნონი, დავრდომილნი და დედანი მონაზონნი, რომელნი მღვამ იუენეს აზნაურთა და თავადთა ასულნი, და დედანი. ხოლო ესე უო-ველნივე მონაზონნი გამოიყვანნა და შესსნა სამეჩანგო შესასხმელნი, და დაჭიდნა ეკვანნი, და ფერკითა დაბნევიან, ათამაშა და ამდერა. და ერთ-მა ვინმე მონაზონ-მა აღმოთქვა: „ვამ ჩვენს დედაბრძობასა, ეს-რა გვეუღარუებინა“. ამისა შემდგომად რომელნიცა იხებეს წა-რიყვანეს, და რომელთა არა დაუტევეს ჭეველი ქრისტესი, და ურჩ ექმნენ მათ, და გლახაკნი და დავრდომილნი იუენენ, მათ უოველთა შეუკრნეს კელნი და ფერკნი, და დაწვეს საშუალ ეკკლესიისა. რა-მეთუ იყო კმა მათი ვაგებისა და ოკრებასა ვითარცა ქუხილი ცისა. ხოლო მათ უოველთა, უკეთურებითა აღსავსეთა, ადაგზნეს შიგან და გარეშე ტაძრისა-მის ცეცხლი მძაფრი, და დაწვეს ტაძარი-იგი ქვაბ-თა-კევისა, ღვთის-მშობლისა და მას შინა მეოფნიცა-იგი წმიდანი და სამ-გზის სანატრელნი სამღუდელთა დასნი, რომელნი მას შინა ცეცხლითა აღესრულნეს, და წამებისა ღვაწლითა და გვრგვინითა შემ-კულნი აწ იხარებენ წინაშე ღვთისა, და ჩვენ-თვს ჭეოფენ ვედრებასა. ხოლო დამწვარნი-იგი წმიდათა გუამთა მათთა აჩრდილნი ვიდრე დღეინდელად დღემდე, მსგავსად კაცთა სახედ, იხილუების იატაკსა შინა, შიგან წმიდასა ტაძრისასა, და ენენი სურვილითა წამებისათა და ტრფიალებითა ზესთა სასურველისათა შეთქმულ ექმნეს, რათა

ღიკს იქმნენ იგინი ქრისტეს-თჳს სიკჳდილსა და ტანჯვასა. და აქა მცირედ მოითმანეს, და მუნ საუკუნოდ იშვებენ და იმოსვენ, ზეცათა შინა, ყვავილთა-მათ დაუტკნობელთა.

ხოლო უსჯულთა-მათ მოკლეს გარემონი მათ ადგილთანი, და წარსტევენეს ყოველნი. და ამას შემდგომად წარვიდეს, და მიიწივნეს რუისს, და დაიბანაკეს მუნ. მოიცივეს სულიად შიდა-ქართლი, დასწვეს და აღაოკრეს, და მოვლნეს ყოველნივე არენი და სანახებნი შიდა-ქართლისანი, და აღიღეს ციხენი, გოდოლნი და სიმაკრენი ყოველნივე, თჳნიერ მთისა კავკასიისა. მაშინ ძირითურთ აღმოფხვრეს დიდი უკვლესია-იგი რუისისა, რომელ არს საუდარო ღვთაებისა, ვიდრე საფუძველითურთ დაარღვიეს, და არა სადა დაშთა დაბანი და შენობანი მათ მიერ წარუტევენველად. და ესრეთ სრულ ჭევეს ბრძანებულ-იგი ლანგ-თემურისნი სჳათა მისთა, ვითარცა ზირველ ნაბუზარდან მთავარ ქონდაქარ-მან მეფისა ნაბუქოდონოსორის-მან ჭეო იერუსალიმს შინა, იუდაიანთა ზედა მოქმედ-მან ესე-ვიითარისა უკეთურებისა-მან, რომელ-მან განასახლნა იერუსალიმით ბაბილოფნიად იუდაიანი, ძენი სიონისანი, სიტუვისა-ებრ წინასწარმეტყველისა იერემიასსა. „მოვიდაო ნაბუზარდან მთავარ-ქონდაქარი და წინაშე მდგომი მეფისა ბაბილოფნისა, იერუსალიმად, და დაწვა სახლი უფლისა, და სახლი მეფისა, და ყოველნი ხალხნი ქალაქისანი, და ყოველი სახლი დიადი მოტეცხლა ტეცხლითაო.“ ესე ყოველივე ჩვენდა მომართ აღასრულა უწყალო-მან ლანგ-თემურ და სჳათა მისთა, რამეთუ სრულ ჭევეს ყოველივე ბრძანებულთა მისი.

ამის შემდგომად აღიძრნეს და წარვიდეს მუნიო-გან, და ჩავლეს კახეთი, იგიცა წარმოსტევენეს, და იავარ-ჭევეს, და მრავალი ტევე ჭევეს, და რომელნივე მოსრეს ზირითა მახვილისათა, და შენობანი ყოველნივე მოტეცხლნეს, და წარვიდეს ლანგ-თემურისა თანა, მიუღოცეს განმარჯვება. ხოლო ვამსა-მას მივიდა ლანგ-თემურ შაქის, და მიერთნეს ყოველნივე მკვიდრნი მის ადგილისანი, მიიძღლავრნა და ვერ-ვის ძალ-ედვა წინა-აღმდგომად მისა, და ყვნა ყოველნივე საბრძანებულსა ქვეშე თვისსა. მაშინ შემოიკრიბა და მიერთნეს ყოველნივე კავკასიანნი და ლეკნი, შირვანელნი და გილან-

მზანდარელები, და თანა ჭევა ზურობილად მეფე ბაგრატ, და უფლებნივე მის-თანა მეფენი ქართველები. რამეთუ დიდად მოქენი იყო, და ღონე ჭეოფდა ლანგ-თემურ, მიქცევად ჭსჯულის მისსა ზედა მეფისა ბაგრატიისსა, აღუთქმიდა მრავალსა ნიჭსა და ზატივისა დიდ-ძალსა, და კვლად მინიჭებასა საქართველთა, და უკეთუ არა სარწმუნო მექმნა, და არა ისმინო ჩემა, ვბრძანო ბოროტითა სიკუდილითა სიკუდილი შენი, და უფველთავე ქართველთა რომელებიცა ზურობილ არიან ჩემ მიერ“.

ხოლო მეფე მან ბაგრატ არა-რას მზრუნველ-მან თავისა თვის-სა-მან, და ვითარცა სურვიელ-მან მწარისა სატანჯველისა და სოკვდილისა-მან, ქრისტეს სარწმუნოებისა-თვს, არა ინება და არცა სათნო უნდა მოჩილება მათი და დატეგება ჭსჯულისა თვისისა. არამედ გამოკნისა-თვს ქართველთა, რათა არა მიხეზათა მისითა იქმნას აღსასრული მათი, მის უწყალობასა მძლავრისა მიერ. ამის-თვსცა მოიზოვა ღონე რამე კელოვნებით, ძვინად მათდა, აღმჩენველ-მან რცა-თუ ზირ მოჩილ ქმნილ-მან ნებასა მათსა-მან, ხოლო გულითა შორად განშორებულ-მან მტერჯდსა უამსა შინა უმჯობესისა საქმისა წარმართებისა-თვს, რათამცა ხსნილ და განტეგებულ იქმნენ მათ მიერ. და ამის-თვსცა მიჭევა ნებასა ლანგ-თემურისსა. ხოლო ლანგ-თემურს რა ესმა მოჩილება მეფისა ბაგრატიისა, განიხარა სიხარულითა დიდითა, და მსწრაფლ წარავლინა კაცი, და თავის-უფალ ჭეო ზურობილებისა-გან, და მიიუჭანა სახიდ თვსად, და შეიტკობა და დიდად ზატიუ-ჭსცა, და ეგრეთვე ქართველებიცა განათავისუფლნა კრულებათა-გან. მაშინ მიანიჭა მეფესა ბაგრატს წყალობა, და უბოძა საბოძვარი მრავალი, და მოთენილობა სახლთა, და სარეცელები და სხვანი მრავალნი საკმარნი, და სამკაულნი უფველებნივე შემსგავსებულნი სიმდიდრისა-ებრ კელმწიფობისა მისისა. და მრავლითა ნიჭითა და საბოძვართა სიმრავლითა აღუსრულა გული. და უფოფდა ძმებრივსა ზატივისა და სიუვარულსა უზომლას, მიქცევისა-თვს მისისა ჭეოფლსა მაჭმადისსა. ხოლო მეფე ბაგრატ დაღაცათუ ზირითა აღიარებდა ჭსჯულსა მათსა, არამედ მტკიცედ ეგო გულითა მეურველითა სარწმუნოებას ზედა ქრისტესსა, და საიდუმლოდ თვს-

გან ევედრებოდა ღმერთსა, ცრემლითა მდუღარითა, რათა განტყუებულ იქმნეს მათ მიერ. მაშინ ქართველთა უოველთავე დაატყუებინეს იძულებით ჭჭუელი მათი, და მიიქცეს ჭჭუელსა მათსა, და უფრცხლად მას ზედა მწუხარე იყო მეფე ბაგრატ, მიდრეკისა-თვის და დატყუებისა-თვის ქართველთა ჭჭუელისა ქრისტიანობისასა.

და უამსა-მას დიდად სათნო უნდა ლანგ-თემურს მეფე ბაგრატ, და უსმენდა და ჭმორჩილებდა სიტყვასა მისსა, და არდა რა უფრცხლად საიდუმლოსა სვინიდიისისა თვისისასა, და იყო თანა-გამზრახნი ლანგ-თემურისა. ხოლო უამსა-მას დაეპურა ეოველივე აღმოსავლეთი ლანგ-თემურს, და არდა-რა-ვინ საეჭველ უნდა წინა-აღმდგომი. ვინათ-გან მეფე ბაგრატ თან-ჭყვა, და სულიად საქართველო საბრძანებელსა მისსა ქვეშე იუწუნეს. და ესრეთ მოქადულ იყო დაპურებისათვის საქართველოსა, და მეფისა ბაგრატისა, რათამცა კელ-ეწითა პურობად პირი ეოველისა ქვეყანისა. და ამის-თვის დიდად პატივი-ცემულ იყო მის მიერ. ხოლო დღესა ერთსა, თღეს იუწუნეს მხოლოდ თვის-გან თვთ მპურობელი მძლავრი ლანგ-თემურ და მეფე ბაგრატ, და ზრახვიდენ ურთიერთას, მაშინ ჭრქვა მეფე-მან ბაგრატ ლანგ-თემურს, სიტყვითა ლიქნითა: „ვინათ-გან ესრეთ ვსტან სიმტკიცე ჭჭუელისა თქვენისა, და აწ მეცა საწმუნო მიჩნს, და ესრეთ მნებავს რათამცა სულიად მორჩილ ვუწუნე ჭჭუელისა თქვენისა მკვიდრნი საქართველოსანი. და უკეთუ გნებავს მოქცევა მათი ჭჭუელისა თქვენსა ზედა, აწ მომეც სიმრავლენი სხათა თქვენთანი, და მე წარვალ სამეფოსა ჩემსა საქართველოსა, და მე მოვხადო ეოველთავე მკვიდრთა ქართლისათა, დიდებულთა და მცირეთა, მთიულთა, ოვსთა და დკალოთა, სვანთა და აფხაზთა. ამათ ეოველთავე მე დავარწმუნო ჭჭუელთა თქვენნი, და იგინი ვუწუნე მოხარვე და მორჩილ საბრძანებელსა თქვენსა ქვეშე“.

მაშინ ვითარცა ესმა საქმე ესე ლანგ თემურს, დიდად მხარულ იქმნა, და საწმუნო იქმნა განზრახვასა მისსა ზედა, კვალად უმეტესად პატივი სცა, და მიანიჭა საბოძკარი დიდ-ძალი, და განძა და საჭურჭლე საკელმწიფო, და აღამხადა სხანი რჩეულა, კაცა ათ-ორ-მეტა ათ-ასა, და უჩინა მათ საკლავა და ათ ასის თაუნა, და ამცნო

მათ ლანგ-თემურ, რათა ჭმორჩილებდენ მეფეს ბაგრატს, და არა ურჩ ექმნენ სიტყვასა მისსა. ხოლო წარმოვიდა მეფე ბაგრატ, და მის თანა მეფობი ქართველნიცა, და სხანი ლანგ-თემურისნი ათორ მეტი ათასი, და ესრეთ იქმნა წინა-უკმო აღრჩევა ესე მეფისა ბაგრატისა, ვითარცა პირველ აქიტოფელი აბესალომის თჳს, და ესე არა-თუ თანა-განმზრახ იქმნა საქმედ სიბილწისა, არამედ შურისძიებისა-თჳს პირველთა-მათ სიბოროტეთა და უკეთურებათა ლანგ-თემურისთა, რომელი ჭყო საქართველოსა შინა. მაშინ წარმოემართა და მოაწია არეთა და მზღვარეთა საქართველოსათა, და იმარჯვებდა უამსა, თუ ვითარძი საბრკე უდგას სხათა ლანგ-თემურისათა. ხოლო უამსა-მას დაეპურა სულიად საქართველო გიორგის, ძესა პირ-მშოსა ბაგრატისასა. მაშინ წინა აღრჩევით იღუმალ წარავლინა მეფე-მან ბაგრატ კაცი ერთი მკუდავთაგანი, საწმუნო გულისა თჳსისა, მალე მსროლად, წინაჲ ძისა თჳსისა გიორგისა, და მიუწერა ესრეთ. „განვერი საბრკისა-მის-გან ლანგ-თემურისა, ძალითა უოფლად ძლიერისა დუთისათა, და აწ მოვალ შურის-გებად და ძიებად პირველთა სიბოროტეთა, რომელი ჭყო მან ჩვენ-ზედა და საქართველოსა ზედა. აწ ესე-რა მომეფეს სხანი ლანგ-თემურისანი, კაცი ვითარ თორმეტი ათასი, დიდად რჩეულნი და წარჩინებულნი მისნი, სავსენი განძითა და საჭურჭლითა მრავლითა. და ესე იყო წადილი და სურვილი სვინილისისა ჩემისა ესრეთ“.

და ვითარცა მიუძღნო ძესა თჳსსა გიორგისსა, მაშინ მოვიდა მეფე გიორგი ლიხთიმურეთით, და ესმა დავათა-გან დალატი ქსანთ ერისთვისა. განჭრისხნა და განლასქრა მათ-ზედა, და შემოვიდა გზასა აჩაბეთისასა, და იწყო ტყვეება და აოკრება მათი, და მოაოკრა სულიად დავაღეთი. მაშინ მოუწოდა სხათა საქართველოსათა და შემოიკრიბნა უოფელნივე, და წარმოემართა და მოვიდა. და დაიბანაკა ერთსა ვიწროთაგანსა, გზასა სიმაგრისასა, სადაცა წინასწარ ბირებულ იყო მეფისა ბაგრატისა მიერ. ხოლო ოდეს მოიწია მეფე ბაგრატ ადგილსა-მას სადა იგინი მზირად განწყობილ იყვნენ, უქმნეს წინა-უკანა სპათა ლანგ-თემურისათა. მაშინ მიეტევნეს ქართველნი ვითარცა ხანძარი აღტყინებული, ქართა მიერ განძვინებული, მდელო-

თა ველებისათა, ანუ მადნარათა შინა. და ვითარცა ხე ცუდითა და-  
კოდნეს ბეჭნი მათნი, და ზირითა მახვილისათა მოსრნეს იგინი, და  
მოიწია მათ-ზედა რისხვა ღვთისა სპინელი, ვითარცა-იგი ილცა  
ეხეკია მეფე-მან ღვთისა მიმართ, სენექერემისა-თჳს. და გამოვიდა  
ანგელოსი უფლისა, მოსრა ბანაკისა-მის-გან ასურსიტანელთასა ას-  
ოთხ-მეოც და ხუთი ათ ასი, კაცთა-გან მთავართა. ესე-ვითარი რისხვა  
ღვთისა მოიწია სპათა ზედა ლანგ-თემურისათა, და მიუწიეს მათცა  
საწყალი იგი რომელ მოუწიეს საქართველთა. ვითარცა იტყვის და-  
ვით: „ასულთ ბაბილონისათ, უბადრუკთ, ნეტარ არს რომელ მან  
მიგაკოს შენ მისაკებელი-იგი რომელ შენ მომაკენ ჩვენ“. და  
შემდგომი.

ხალთ მოსრეს ზირითა მახვილისათა უოველივე სპანი ლანგ-  
თემურისნი, ვითარ ათ-ორ-მეტი ათ-ასი, და ერთიცა მათგანი არა  
განკრა, და წარიდეს ქართველთა ნატუვენავი და იავარი მათი, და  
იუენენ სიხარულით და შუებით განმარჯვებულნი. და უფროსდა მო-  
ხარულ იუენენ ხილვისა-თჳს მეფისა ბაგრატისა და მის-თანა მეოფ-  
თა ქართველთასა. რამეთუ ესრეთ განმარჯვება მისცა ღმერთ-მან  
ქართველთა, რომე თორმეტის ათ-ასის რჩეულის ლანგ თემურისა  
სპისა მომსრველთა თორმეტი კაცი არა დააკლდა მათ მიერ საქარ-  
თველთა, ამა წყობათა შინა. მაშინ ვითარცა მიესმა ლანგ-თემურს  
ამავი ესე, ესრეთ შეუძნდა, ვითარცა სულად მიღებულ ქმნილ იყო  
მის-თჳს უოველივე საკელმწიფო და განსაკებელი თჳსი. იშთვებოდა  
სულითა, და განიხერხებოდა შურითა, და იმძლავრებოდა ბოროტთა  
გულის-სიტუვათა-გან. მაშინ დაღაიდუმა საქმე იგი, დაიზამთრა  
მუნვე, შაქის, ბანაკითურთ თჳსითა, და იყო მუნ უამსა რა-ოდენსა-  
მე. და ვითარცა მოიწია თვე მარტისა, შემოკრიბნა სიმრავლენი  
სპათანი, უმრავლესი ზღვისა ქვიშისა, და უმეტესნი ზირველთასა.  
მაშინ მოუწოდა შირვან-შაჰს, ბანაკითურთ თჳსით, და მოვიდა იგიცა  
სიათა ურიცხვითა, და წარმოვიდა ლანგ-თემურ, ძალითა მრავლითა  
და სპინელბითა, ზარის სკიდელითა, საუვირითა და დაბდაბთა  
ცემითა, და ბუკთა ტკრციალითა. და ესრეთ მოიწია ბარდავს, და  
მუნ დაუტევა საჭურჭლენი და ბარგნი სამძიმარი რომელი არა კემა-



რებოდა. და დაარჩია სხანი მეომარნი, და ესრეთ წარმოემართა, და მოიწია მდინარესა მას-ზედა მტკვარსა, და გასდგა კიდი ნავებითა, და განვლეს მას ზედა. რამეთუ მას უამსა იყო გაზაფხულის ზირი და წვიმა, და მოსთხოვდა \*) მათათა ჭეროვნებისა-გან, და არღა-რა ჭეროვნეს მუნ, არამედ მოისწრაფეს შენობათა შინა.

ხოლო მეფე მან ბაგრატ და ძე-მან მის-მან გიორგი-მ შემოიკრიბა სხანი საქართველასანა, რომელთა მანდობითა და სარწმუნებობითა ღვთისათა არა ჭრიდეს სიკუდიდ განწირვად თავთა მათთა, დაღატაუ უმრავლეს იუწინეს იგინი უმეტეს ასითა ათ-ასითა შემოითა. არამედ არა შეშინდეს არცა მომედგოდეს. ხოლო მეფე-მან ბაგრატ და ძე-მან მის მან გიორგი-მ, და ერთ-გულთა სხათა მისთა ქართველთა, მუის მიისწრაფეს მათდა მიმართ. აწ მიხედეთ მაშინ-დელსა-მას საქველისა და მკეც-ქმნილებასა, და ჭჯულისა სიმტკიცესა, მკვიდრნო საქართველასანო, ჩინებულნო და რჩეულნო, და თუ ვითარნი ახოვებთა და გულს-მოდგინებთა აჩვენეს უსჯულთა ზედა, არა დაკნინებისა-თჳს საქართველასა. რამეთუ ესრეთ ჯერ-უჩნდათ მაშინ ბრძოლა მათი, ვითარმცა მკეცთა სრფა და შექცევა ყარაიასა შინა. მაშინ მივიდეს ქართველნი სდა იგინი დაბანაკებულ იუწინეს ზირველ შემოსულამდე მათსა შენობათა შინა ქართლისათა, ესენი მიეგებნეს წინა, და მიეტევნეს სხათა ქართველთანი, ვითარცა ღამი ჯოგთა მიმართ განჯართასა, და ვითარცა მკელი ფართათა მიმართ თხათასა: და ეკვეთნეს ურთიერთარს და იქმნა ბრძოლა ძლიერი, იმიერ და ამიერ, აჭა მიხვდეს რჩეულებსა და ქებულსა ჭაბუკთა ქართველთასა დდე და უამი სისარულისა და განცხრომისა. და ზირველსავე კვეთებასა ზედა მიდრკეს იგინი და შეანარცხეს ურთიერთ-თარს. ვითარცა შავარდენტა მიერ განქრეული გუნდი ჭილუვათა, ეგრეთ საგონებელ იუწინეს ბანაკნი ღანგ-თემურისანა. არამედ, სიმ-რაფლისა-გან მათისა, ვერა აგრძნეს ბოლოდ კერძოთა მეოფთა ბანაკთა მისთა ესე-ვითარნი ძლიერი ბრძოლა ახემს რაზმთა წუთ-ბისა მათისასა. რამეთუ მაშინ ფრიად სანატრელ საგონებელ იყო

\*) Lis მოსთხვედა.

შორით მჭერტელთა კაცთა მიერ ახალ მოასაკეთა მათ მოყმეთა ქართველთა ჭაბუკთა სიქველუ და მკვირცხლ მორბედობა, რომელიცა იყო ძველთა განცა გოლიათთა და ჭაბუკთა ომად, რომელთა ზე და მათ მიერ მივადოდეს სიმწვავენი დამკვეთებელნი ისართანი, მფეთებელნი კრმალიანნი და მხეთქებელნი ორთქთანი, და უშრამელობანი და სიმაგრენი მკლავთანი. და ამას შინა გაგრძელდა ომი ხოლო ლანგ-თემურისა მიერ ზარველვე განწესებულ იუჟნეს მტველნი, რათა არა-ვის უტევებდენ მელტოფარეთაგანსა, და მაშინდა შეკრბეს ზოგად ერთ გუნდათ. რამეთუ სიფიცხისა-გან ომისა ფრიად შეძწუნებულთა ეგულგებოდათ სივლტოლს და უკან-ქცევა. ხოლო ლანგ-თემურ აღიჩნია განწირკა თავისა თვისისა, და სიკუდილი და არა უკუნ-ქცევა. მაშინ იკადა მახვილი და თუთ განვიდა წინა განწყობად. აღიზანს კმითა დიდითა სზათა მიმართ თვისთა, და განმკნდეს სზანიცა მისნი, და მიეტევენს მიმყოფრებასა თანა ომისასა. რამეთუ სზანი ქართველთანი ფრიად დამაშერალ იუვენს, და დავლეწეს აბჯანნი სომარენი. არამედ კვალადცა ფიცხლად იბრძოდეს და სრვიდეს სიმრავლესა მათსა, და დასთხევდეს სისხლსა მათსა, რომელ უოგელნივე მეწამულად იხილვებოდეს სზანი ქართველთა, ცხენით კაცითურთ, და მოისრა ორ-კერძოვე ბანაკი ურიცხვი, და უფროსდა ხუთი ზომი სზანი. ლანგ-თემურისნი მოისრნეს. რამეთუ განგრძობასა თანა ომისასა, ვერდა-რა ძალ ედვათ ქართველთა წინა განწყობად. მათი, დიდისა სიმაშვრალისა-გან, და არცაღა იარაღი შერჩომოდათ, არცაღა ცხენთა მათთა ძალ ედვა სრბა. რამეთუ მე გგრეთ ვერ ძალმიძს აღწერად და შესხმა ქებისა აკოვნებათა მათ ჭაბუკთა ქართველთასა, ვითარ-იგი სზარსთა წიგნთა შინა წერილ არს ქება სზათა ქართველთასა. მაშინ უკუნ-ქცა მეფე ბაგრატ და ქართველნი, და მიმართეს სიმაგრესა მათასა, და დევნა უყო უკანა მათსა ლანგ-თემურ და სულად სზათა მისთა. ხოლო წინათვე წარსრულ იუჟნეს ხიზანნი სქართველთასანი სიმაგრეთა შინა, რომელნიმე მათთა შინა კავკასიისათა, რომელნიმე სხვათა სიმაგრეთა მიმართ იმერთასა, და არდა-რა-ვინ დაშთა სქართველთასა, არცა იზოვებოდა ხიზანი შენობათა შინა. უოგელნივე შელტოფვილ იუჟნეს მათთა მიმართ.

ხელთ მეფე-მან ბაგრატ და ძე-მან შინ-მან გიორგი-მ შინსწ-  
კათეს სიმაგრეთა შინა, და წარვიდეს ქართველნიცა თვს თვსად,  
მასშინ შემოვიდა საქართველთა შინა, რისხვითა დაუხურბელითა.  
და ვითარ იგი ჭკონებდა ვერ მიემთხვივა ნებასა გულის-თქმისა  
თვსისასა, ვერ ჭბოვა ხიზანი, და მოვლეს სულიად ქართლი, მთა-  
ფარეს და დაწვეს უოველნივე შენობანი, და უფროსდა წმიდანი ეკ-  
კლესიანი და მონასტერნი დააქციეს და დაწვეს ცეცხლითა. ესე  
მეორე ბოროტი მოაწია წმიდათა ეკკლესიათა ზედა. და შემდგომად  
მცირედისა უამისა წარვიდა ლანგ-თემურ, და მიიქცა მუნვე, უარ-  
ბადს, და იყო მუნ ხანსა რადენსამე. ხელთ მეფე-მან ბაგრატ  
კვალად იხურა სამეფო თვისი, და განაკებდა კეთილად, და მცირედსა  
ხანსა შინა მიიცვალა, საქრწმუნობასა და სინანულსა შინა, მეფე  
ბაგრატ და დაჯდა შინ-წილად მეფედ გიორგი, ძე მისი, ქრის-  
ტეს აქეთ.

ო. შესაბოცდამეთუ \*) მეფე ქართლისა, გიორგი, ძე  
ბაგრატ მეფისა, ბაგრატოანი.

და ამასვე უამისა მიიცვალა უოვლად სანატრელი კათალიკოზი  
ელიოზ, და დაჯდა შინ-წილად კათალიკოზად გიორგი. და დაჭყო-  
კლავა დიდი მეფე მან გიორგი-მ, და აღასრულეს წესი დაფლვისა.  
და შემდგომად ამისა დაიხურა მეფე მან გიორგი-მ უოველივე ს-  
ქართველთ, იმერნი და ამერნი, და მეფობდა ერთობით სულიად  
საქართველთა ზედა. და ვითარცა ესმა საქმე ესე მძლავრსა-მან  
ლანგ-თემურს, საკუდილი მეფისა ბაგრატისა და განმეფება ძისა ში-  
ნისა გიორგისა, კვალად აღივსო შურითა და რისხვითა დაუხურბე-  
ლითა. რამეთუ ესე-რადენი ბოროტი და უკეთურება არა მოეწეინა,  
და არცა დააცხვრო გულის-წერობა თვისი. მასშინ გამოაყენა მოწინა-  
ვეთ სარდარი თვისი სახელთ უარლათი და შემდგომად თვთცა წარ-

\*) Suivant mon M-it 75. roi. J' ai donné à cette rubrique la même forme qu' aux autres, pour la régularité.

მოვიდა, სიათა ურიცხვითა. ხოლო გასცა საბოძარი მრავალი სხათა  
თჳსთა ზედა, და დასცაღნა საღარონი და საჭურჭლენი თჳსნი უო-  
ველნივე, და ესრე დაიერთგულნა სხანი თჳსნი, და აღაზრდინნა  
იგინი ვითარცა მხეცნი, განრუწნად ქრისტეს სამწესოთა, და აღრ-  
ჭენდეს შეგინებულთა კბილთა მათთა ქრისტეს შემოსილსა მეფესა  
ზედა. მაშინდა წარმოემართა და მოაწია უარბადს, საშინელებითა და  
დიდ ძალითა ბანაკთა სიმრავლითა. რამეთუ ვერ იტევდა ვერცა ქა-  
ლაქნი და ვერცადა დაბანი სხათა მისთა, არამედ სიმრავლისაგან  
ბანაკთასა არა იყო რიცხვი, და ესრეთ წარმოვიდა გულისწერამით,  
აღძრული, და მოაწია მზღვართა საქართველოსათა, და დაიბანაკა მუნ.  
და წარავლინა კაცი ერთი, და მიუწერა მეფესა გიორგის ესრეთ,  
ვითარმედ „მამა-მან შენმა-მან, მეფე-მან ბაგრატ, არა საწმუნო  
ქმნილ-მან მორჩილებისა ჩემისა-მან, ქმნა ბოროტი, და ზაკვით  
განხეთქა ზოგი მეფობისა ჩემისა, და ვითარცა ქურციკი საბრკით  
განერა მახეთა-გან ჩემთა, და მოსრა პირითა მახვილისათა სხანი  
ჩემნი რჩეულნი, რიცხვით თორმეტი ათ-ასი, რომელ არცადათუ ერთი  
განერა. და უკეთუ შემდგომად ამისა საწმუნო თუმცა ქმნილ იყო  
მორჩილებად ჩემდა, არამცა შეძიებულ ვიყავ შურისა-მის პირველისა.  
არამედ ვინათ-გან აწ შენ დაგიპურინან საქართველო თჳნიერ ბრძანე-  
ბისა ჩემისა, რამეთუ ქვეყნა ესე კრმლითა ჩემითა დამიპურის და  
საბრძანებულსა ქვეშე ჩემსა არს, აწვე მოვედ ჩემდა და იყავ მორ-  
ჩილ ბრძანებისა, ეგრეთ ვითარცა არს წესი მონათა თჳსთა უფალთა  
ზედა, და მეცა კეთილის მოქმედ ვიყო შენდა მომართ, და იყოს  
მშვიდობა ურთიერთარს შორის. ხოლო უკეთუ არა ინებო მორჩი-  
ლება ჩემი, ვუო მრავალი ბოროტი შენ-ზედა და თემთა შენთა ზე-  
და, უძვირეს პირველისა, და ესრეთ სულადა იავარ ვუო სამეფო  
შენი“.

მაშინ ვითარცა ესმა ესე მეფესა გიორგის, განბასრა ამხარტა-  
ვანება და ქედ-მადლობა მისი, და შეუთვალა, მეტეველ-მან ესრეთ:  
„დადაცათუ სარკინოზ ხარ და ბარბაროს ჭკუდითა, და არა უწვი  
წინასწარმეტყველთა მიერ თქმული, თუ ვითარ იტევის. უფალი  
ამხარტავანთა შემუსრავს. ხოლო მდაბაღთა მოსტის მადლი. ესე

უწოდეს, რამეთუ მე მეფობისა შენისა არა უმცირეს ვარ, არცა უდარეს. არა უწოია, რამეთუ ზირთა-გან დავით წინასწარმეტყველისათა აღმოცენებულ ვართ, არცა უდარეს. და მის-გამო ღვთისა მიერ ცხებით განეგების მეფობა ჩვენ ბაგრატიონთა, და ტომნი ვართ დავით მეფისა და წინასწარმეტყველისა, რომლისათვის ბრძანა ღმერთ-მან, ვითარმედ ერთ-გზის ვეფუტე წმიდასა ჩემსა დავითს, და მე არა ვეცრუო მას, ნაყოფისა-გან მუცლისა შენისა დასვსა საედართა შენთაჲ. და ესე დავით იგი არს, რომელ-მან ერთითა შურდუღითა მოკლა გოლიათი და შემუსრა ქედ-მადლობა მისი, ამის-თვისცა, განგებითა მრავალ-მოწყალისა ღვთისათა, მეფედ დამკვიდრებულ ვართ სულად საქართველსა ზედა, და ესრეთ განთავისუფლებულ ვართ, და სხვა მეფე არა უფლებულ არს ჩვენ-ზედა, გარნა მეუფე-იგი ზე-ცათა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ხოლო მეფობა შენი აქაც მსწრაფელ წარმავალ არს, და უმკვიდრო. და მუნ საუკუნოდ გეგულები ცეცხლი უშრეტო, რომელი გამზადებულ არს ეშმაკთათვის, და შენებრ მსახურთა. ყოველთათვისცე და მზაკვრებითა მაგით, და კელაფნებითა ბელზებულთათა დაგიზურავს სულად აღმოსავლეთი, და გუავს სიმრავლე ბანაკთა, და სხანი ურიცხვნი. და ესე სამ-გზის მოსრულ ხარ, და იავარ გიუოფიეს სამკვიდრებელი ესე სამეფო ჩვენი, და წილ-ხდომილი ესე სამწესო წმიდასა დედოფლისა ჩვენისა ღვთის-მშობელისა. და ესე არა-თუ ძალისა შენისა მოქმედება-არს, არამედ ცოდნათა ჩვენთა განმრავლებისათვის სამართლად გვწყარათნა ჩვენ ღმერთ-მან, რამეთუ ესე-ოდენი ბოროტი გიუოფიეს. და არა განსკელ სისხლითა ჩვენთა-გან, და კვალად გნებავს შეჭმად გორცთა ჩვენთა, ძვალთა თანა. და აწ, ვინათ-გან ეგვივითარითა სილადითა მოქადულ ხარ, ჩვენდა მომართ მომავალი, მოვედ, თუმცა არა ხარ სეფე-ქალ და დიაც. და თუ შენ არა მოხვალ, მე მოვალ. ძალითა ღვთისათა, რჩეულითა სხითა ჩემითა. რამეთუ სამ-გზის შენცა გინილავს, და სიმრავლეთა სხათა შენთათა უწიან მკეტ-მქნილობა და გამოცდილება ომსა შინა ჭაბუკთა ქართველთასა. დადაცათუ, სიმრავლისა ძალისა შენისათა, მრავალი ბო-

რეტი გიუოფიეს ჩვენდა მამართ, არამედ უვნებელად არცა ჩვენ მიერ წასრულ ხარ.

და ესრეთ წარგზავნა მონაქელი ლანგ-თემურისა. ხალხ მუ-  
ფე-მან გიორგი-მ მწრათელ შემკრება სულიად საშუალო თვისა, სხანი  
რჩეულნი, იმერნი და ამერნი, და მესხნი და კარნი, და ყოველნივე  
საქართველო, და წარმავიდა. მაშინ მივიდა მონაქელი-იგა წინაშე  
ლანგ-თემურისა, და წარმოუთხრა ყოველივე თქმული მეფისა გიორ-  
გისა, და დიდად აქო სიმენე და სიჭველე მეფისა გიორგისა და  
სხათა მისთა. და სიტყვას-მას ზედა უფროსდა განძვინდა, ვითარცა  
შეკეტი ბორბოტი, და აღიყარა სიმრავლითა ძალისა თვისისათა, და  
წარმავიდა იგიცა. და შეემთხვინეს-რა ურთიერთარს, მაშინ ფიცხ-  
ლად შეეტევნეს ქართველნი, ვითარცა ცეცხლი თივათა, და აჭა შე-  
იქმნა ომი ძლიერი იმიერ და ამიერ, და დიდად სახელთვნად გა-  
მომხდეს სხანი ქართველთანი. სრვიდეს და იზურობდეს, და განგრ-  
ძელდა ომი, და შეძრწუნეს სხანი ლანგ-თემურასანი, და სიმრავ-  
ლისაგან ბანაკთა მათისა ძრვა ვერ ძალ-ედვათ. რამეთუ ესე-ოდენი  
სიმენე სხათა საქართველასათა, ვითარმედ შეკადიან კისკისად შუასა  
შინა რაზმთა მათისა, და ეკრეთ მახვილ-წვდილი სრვიდეს, და  
განვიდიან თავით-გან ვიდრე ბოლომდე, და კვალად მათ-გან უვნე-  
ბელად უკმოიქცეოდინს, შორის ბანაკისა-მის ისმარტელთასა. და  
ესრეთ სახელთვნად განმარჯვებულნი მოვიდიან დკთივ კვრკვინისა  
მეფისა გიორგის წინაშე, და მოულოცოდინს განმარჯვებასა.

მაშინ ფრიად შეწუნა მძლავრა ლანგ-თემურ, ესრეთ რამე  
ამის-თანა მარცხი და ზიანი მას არა-ოდეს შემთხვევია. და ესე-ვი-  
თარითა სიმენითა, ლომებრივითა გულითა, შებმა უუვეს, და ურიც-  
ხჷნი სხანი მოისრეს ზირითა მახვილისათა, ქართველთა მიერ. არა-  
მედ სიმრავლისა-გან მათისა არა აკლდებოდათ. ხალხ ლანგ-თემურ  
გამოცდილ იყო, და უწოდა ქართველთა ომისა სიფიცხლე და აღრე  
სიმაშქრალე. ამის-თვისცა დადაითმინა ვიდრემდის დიდად დაშვრნეს  
ომისა-გან ქართველნი. ხალხ ოდეს მიმეოვრდა ომი, და მზეცა  
მიდრკა შთასსვლელად, ჰტნა ლანგ-თემურ ფრიად სიმაშქრალე და  
დადალვა მკლავთა, და დალქა აბჯართა საომართა სხათა ქართველ-

თასა, მაშინდა განიწირა თავი თჳსი მოსიკუდიდ, და აღუზახა კმითა დიდითა სზათა თჳსთა, და განმკნდეს იგიინიცა, და ესრეთ მიეტკუნეს სზათა ქართველთასა, და რაღ რდენ ძალ-ედგათ კვალად შებმა უუგეს, არამედ ვერღა-რა ძალ-ედგათ წინა დადგომად, ფრიადისა სიმაშვრას-ლისა და მოჭირვებისა-გან. და მაშინდა ჰქძეს ბახაკ მან ისმაიტელ-თა-მან, ლანგ-თემურ და აგარიანთა, და მიდრკეს ქართველნი, და ივლტოდეს მათათა მიმართ და სიმაგრეთა. მაშინ ლანგ-თემურ წარ-მოვიდა ჰირველად და მოადგა ციხესა ტფილისისასა. მაშინ დიდად განმაგრებულ იყო ციხე იგი ტფილისისა, რამეთუ მდგომარე იუჴნეს შანა-გან ციხისა სზანი ქართველთანი, და ბრძოლა უყო ძლიერად, და ეგრეთვე ძლიერად იბრძოდეს მეციხოვნნი. და მოიცვა ლანგ-თემურ სულაად გარემონა ტფილისისანი, და მაშინდა მძლავრებით ინებეს შემუსრვა ციხისა, და ეგრეთცა შემუსრნეს ზღუდენი, და ხანთა რა-ოდენთამე შინა აღიდეს ციხე-იგი ტფილისისა. და ეგრეთვე ყოველნივე სიმაგრენი ქართლისანი აღიდეს, და დაიპურა ქართლი, და შეაყენა ციხესა შინა ტფილისისასა სზანი ხოცასნელნი, და თჳთ აღიყარა და წამოვიდა, და დადგა მუხნარს. და შემუსრნეს კვალად წმიდანა ეკკლესიანი და მონასტრები, და შენობანი ყოველნი აღაოკრეს და დაწვეს ცეტხლითა. და მაშინდა მოვიდეს ზოგი რამელიმე ქართველთაგანიცა, რომელთა არა აქჴნდათ ძალი სიმაგრისა.

ხოლო იყო ვინმე მთავარი და დიდად წარჩინებული ქართლსა შინა, სახელით ჯანი-ბეგ, ამა ჯანი-ბეგისა მამულსა ჩაუდგა ლანგ-თემურ, და აღაოკრა, დაწვა და დაქცია, და მოუვიდა იგიცა და შეურიგდა, და იყო ხანსა რა-ოდენსამე შინა მუნ. და მოკლეს სულაად ქართლი, და მოაოკრეს და დაწვეს, და დიდად დონე ჰყოფდა, და წადიერ იყო შეპურობად მეფისა გიორგისა, და ვერ შეუძლო. ხოლო რა-ჟამს მოუვიდა ჯანი-ბეგ, აღიყარა და წარვიდა, და მივიდა სადაც ჰქონდა ბარგი და სამძიმარი თჳსი. ხოლო არცაღა მაშინ დასცხრა ბოროტისა-მის-გან შურისა, და გულის-წყრომისა-გან მეფისა გიორგისათჳს. რამეთუ ჰგონებდა კვალად შთამოსლვასა ქართლად და დაურბასა. ამის-თჳსცა გამოაყენა ამირ-სზასაღრათ ხოჯა-მისალი და ამირჯან-შა. ესენი წარმოავლინა საქართველსა ზედა ღ

წარმოატანს თანა სხანი ურიცხუნო, და უბრძანა თვითოეულსა თვითესა არესა მტკიცედ დგომა, და სულიად მოკრება, დაწვა და დაქცევა უოველთავე, რათა არდა-რა დაემკვიდრენ მკვიდრნი საქართველსანი მუნ. და წარმოვიდენ იგინი, და მოვიდეს ქართლსა შინა. კვალად იწეეს უკეთურებად და ბოროტის უოფად, წვად და ქცევად, ტყვენვად და სრვად, და უფროსდა წმიდათა ეკკლესიათა ზედა ეგეს მრავალი ბოროტი. მაშინ დიდად წადიერ იუვნეს კელ-გდებად და შეხურობად მეფისა გიორგისა, არამედ ვერ შეუძლეს, და ესრეთ მოვლეს დიდითა თკრებითა ქართლა. მაშინ შეიხურეს რამელნიმე შინა-უმანი მეფისა გიორგისანი, და ეკითხვიდეს სდა უოფასა მისსა, და მათ არა უწყოდეს, და ვერცა შემძლებელ იქმნეს მათ-გან ცნობასა საქმისსა. ხოლო მაშინდა წარმოვიდენ, და მოვიდენ წინაშე ლანგ-თემურისა, და აუწეეს ვერ შეხურობა მეფისა გიორგისა, და მაშინ დაჭმუნდა და დიდად მწუხარე იქმნა. და შემდგომად მცირედისა აღიფარა და მივიდა ფარაბადს, და დაიბანაკა მუნ.

ხოლო იყო ვინმე მუნ კერძოთა არეთასა, სახელით თირ-სულთან, ქვეყანისა ჯალაისა, და ესე იყო ჭსჯულისთა მამადიანი. მაშინ ოდეს მოვიდა ლანგ-თემურ ყარაბადს, ესე თირ-სულთან ფრიად წინა-აღუდგა ლანგ-თემურს, და მრავალი ბოროტი შეამთხვია თვით ლანგ-თემურს და სხათა მისთა, და იყო განდგომილ მათ-გან, და არა ჭმორჩილებდა ლანგ-თემურს, და რა-ოდენ ძალ-ეღვა ბრძოლას მათ. ხოლო ვერდა-რა შეუძლელ წინა-აღმდგომად მისსა, და ესრეთ ტოლვილა წარმოვიდა, და მოვიდა მეფისა გიორგისა თანა. ხოლო მეფე-მან დიდად ზატივ სცა და კეთადად ისტუმრნა იგი, და იყო თანა-განმზრახ მისა, და ისმენდა მისსა, და იყო მის-თანა უამ რა-ოდენიმე. და ამას შინა კვალად უფროსად განმძღავრდა ლანგ-თემურს, ჭსცნა ესე მეფე-მან გიორგი-მ, და დიდად მოურნეობდა საქმის წარმართებასა საქართველსასა, და მაშინდა, უმჯობესისა წარმართებისა-თვს, ინება მორჩილებად ლანგ-თემურისა, და ჭკითხვიდა დიდებულთა თანაგანმზრახთა თვსთა, და განიგულეს წარგზავნად კაცი-სა, მშვიდობის უოფასა-თვს. მაშინ ჭსცნა-რა ესე სულთან-თირ, რად ოდენ ძალ ეღვა, დიდად წადიერ იყო არა ქმნად და დაშლად საქმისა-



მის, რამეთუ არს ენება მორჩილება ლანგ-თემურისა: არამედ არს უსმინა მეფე-მან, და წარავლინა კაცი, და იკმო პირველ მოსრული-იგი მოციქული, რომელი წარველინა ლანგ-თემურს მეფისა გიორგის თანა. რამეთუ ესე იყო შეშეცნებულ და ცნობილ მეფისა მიერ. ესე იყო ჭსჯულითა მაჭმადიანი, სახელით ისმაილ, და თანა-განმზრასი ლანგ-თემურისა. ამას მოუწოდა და წარავლინა, შერიგებისათჳს და მშვიდობის უოფისა, წინაშე ლანგ-თემურისა, და შეუთვალა სიტუჳანი მორჩილებისანი. ხალხ ვითარცა ესმა ლანგ-თემურს, განიხარა სიხარულითა დიდითა, და მართლ-უკუნ აქცია იგივე მოციქული, და ესრეთ მიუმცნო მეფესა გიორგის, ვითარმედ „ფრიად კეთილი საქმე აღიძრევე თავისა შენისა-თჳს და სამეფოთა შენთა-თჳსცა, და ესმა არს დაცადება ესე-ოდენისა სიბოროტისა. ამიერთ-გან ვუოთ მშვიდობა, და უკეთუ მოხვალ ჩემდა, არცაღა მე მოვიხსენებ გარდასრულთა-მათ ჭირთა რომელნი გიქმნიან ჩვენ-ზედა, არამედ, ნაცვლად სიმდაბლისა და მორჩილებისა შენისა, მეცა მრავალი ვუო შენ-ზედა, და მიიღო ჩემ მიერ მრავალი საბოძვარი და ძმებრივი ზა-ტოვი“. და ვითარცა წარავლინა კაცი-იგი, მაშინ განიზრახა თჳს-გან, და თქვა. „ესე უწყო, ვითარმედ ესე საქმე კელღვებითრე განუზრახავს და ჭნებავს ცთუნება ჩემი, ვითარცა ჭყო პირველ მამამან მისმან მეფე-მან ბაკრატ, და მოსრნა პირთა მახვილისათა რჩეულნი სზანი თორმეტი ათ-ასი, ესე ვერ \*) ეკების, და არცა საწმუნო მიჩნს საქმე ესე, არამედ ზაკვით ჭნებავს ცთუნება ჩემი.“

მაშინ აემზადა, და წარმოვიდა სზითა ურიცხვითა, საათაბაგოსა ზედა, ამის-თჳს რომე პირველსა ომსა შინა ახლდა სზითა რჩეულითა ათაბაგი ივანე მეფესა გიორგის, და იყო მორჩილ მისა. ამა პირველსავე შურსა იგონებდა მსლავრი-იგი, და წარმოემართა ძვირის უოფად ივანე ათაბაგსა ზედა, და მიაწია, ჩაუდგა შიგან ზემო-ქართლსა, რომელ არს საათაბაგო, და ვერცა-რა წინა-აღუდგა ათაბაგი, და იფლტოდა სიმაგრეთა შინა. მაშინ მრავალი ბოროტი მოიწია,

\*) Je lis ainsi, au lieu de ვითარ; on pourrait encore admettre ენე-ვითარო

და მისრა ზირითა მანვილისათა სულნი მრავალნი, მრავალი ტუვე  
ჭუო, და დაქცინნა წმიდანი ეკკლესიანი, და დაწვნა ცეცხლითა უო-  
ველნივე შენობანი, თემნი და დაბანი, და სულიად იავარ ჭუვეს  
ზემო-ქართლი, და წამოჭსტუვენა, და წარიღო მრავალნი საკმარნი  
წმიდათა ეკკლესიათანი, ხატნი და ნაწილნი უოველნივე შეკიეს და  
უკმარ ჭუვეს. და რა-ოდენნიცა შეიპურნეს კაცნი ქრისტიანენი, რა-  
მელნიმე მოკლეს, და რომელთამე დაუტოვეს ჭსჯული-თჳსი. იგინი-  
თანა წარმოიყვანნეს, მაშინ წარმოვიდა მუნით-გან, გარდმოვლო მთა  
კლარჯეთისა და მოიწია მანგლისს, და დაიბანაკა მუნ თვესა ორსა.  
ხოლო მოვიდეს კაცნი რომელნიცა მსხემ იუჴნეს საზღვართა საქარ-  
თველოსათა, ისმაიტელნი, ჭსჯულითა მამადიანნი. ესენი მოვიდეს  
ლანგ-თემურისა თანა, ძვინად მეფისა გიორგისა და სპათა საქართვე-  
ლოსათა, მეტუველთა ესრეთ, ვითარმედ „ამიერი-გან ვერდა-რა  
ძალ-გვიძს მკვიდრ უოფად საზღვართა საქართველოსათა, არამედ გან-  
გვასახლნეთ სხვათა ქვეყანისა კერძოთა, და მუნით-გან ვიქმნებით  
მოხარვე თქვენდა. რა-ოდენნიცა ბორცოთი თქვენ მიერ ქმნილ არს  
მათ-ზედა, იგინი უმრავლესისა ბორცოთისა მეოფელ არიან ჩვენდა  
მომართ. და აწცა, რა-ჟამს წარხვალთ ამიერ, უეჭველად იგინი ჩვენ-  
და მომართ მედომ არიან, და აღრჭენენ ჩჴსნ-ზედა კბილთა თჳსთა“.   
ხოლო ვითარცა ესმა ესე, შეეწყალა იგინი ლანგ-თემურს დიდად.  
მაშინ უბრძანა ამირ სპასალარსა თჳსსა ამირ შიხ ნურადინს, და წა-  
რატანა თანა სპანი მრავალნი, და უბრძანა სულიად მოკერება კერ-  
ძოთა-მათ საქართველოსათა, რომელნიცა იუჴნეს მოსაზღჳრენი ის-  
მაიტელთანი, და წარავლინა ესენი მათ-ზედა ბორცოთის უოფად. და  
ვითარცა მივიდა მუნ, ბრძოლა უევეს ურთიერთ-არს, და დიდად  
კარგად შემოკებეს ქართველნი, და მრავალი მოკლეს და ამოსწუვი-  
დნეს. კვალად წარავლინა სხვა ამირ-სპასალარი თჳსი ლანგ-თემურ,  
და გაატანა მრავალნი სპანი, და მივიდეს იგინიცა, და შეიბნეს და  
ჭსძლიეს სპათა ლანგ-თემურისთა, სიმრავლითა. რამეთუ ძლიერად  
წინ განეწუვენეს ქართველნი და იბრძოლეს დღესა ხუთსა, და ვერდა-  
რა დაუდგეს, და ართვეს სიმამრენი და ციხენი. რამეთუ არა იუჴნეს  
მუნ სხვანი ქართველნი, არცა მეფე გიორგი, არამედ იგინი ჭბრძო-

დეს რამელები იუწენს მკსამზღჳრენი თათართანი, და იგინი უკდე-  
ბოდეს მათ. ხოლო რაჟამს წარვიდეს იგინი სიმაგრეთა შინა, ვერ-  
ცაღა ჰმკვეს ხიზანი, და დაწვეს შენობანი უოველებივე, და მოვიდეს  
წინაშე ლანგ-თემურისა, და ამას შინა მოვიდა ლანგ-თემურისა თანა  
ელნი ფრანგისა, და მოართვეს ძღვენი საკელმწიფო. და კვალად ამავე  
ხანთა შინა სპათა მისთა ძღვესა მოედო ბერძენთა ზედა, და მაშინ  
შეეპურათ ძე ზირ-მშო კეისრისა, და მოართვეს ძე-იგი კეისრისა  
ლანგ-თემურს, და განიხარა დიდად, და უბოძა საბოძვარი მრავალი  
სპათა მისთა. და რა-ჟამს იხილა ძე-იგი კეისრისა, იგიცა დიდად  
შეიუყარა და ითვისა, და შეიწყალა სიჭაბუკე და შეენიერება მისი,  
მისცა და მიანიჭა საბოძვარი მრავალი და სამოსელი საკელმწიფო,  
და ეკრეთვე წარგზავნა იგი სამეოფლსა თჳსსა, და მშვიდობით გა-  
ნურტევა.

ხოლო შემდგომად რისა თვისა აღიყარა იგიცა მანგლისით,  
წარვიდა და მივიდა იგი კევისა არაგვისსა, და დაიპურა იგი, და  
დაამტვრია, და აღიღო ციხენი და სიმაგრენი, და უოველებივე ად-  
გილნი იავარ ჰქო და მოათკრა, და ხიზანი ვერა იპურა. და რამეთუ  
უოველებივე შელტოლვილ იუწენს სიმაგრეთა შინა მათათსა, და ამი-  
სა შემდგომად წარმოვიდა მუნით-გან, და ხანსა რა-ოდენსამე უკან  
განილასქკრა, და დაიპურა ქვეყანა სიასი, და სხვანიცა მრავალნი ქვე-  
ყანანი თჳსად მიიშობდნარსა, და უოველებივე მოხარკე ჰქუნს. ამისა  
შემდგომად კვალად იპურა მეფე-მან გიორგი-მ საქართველო, და  
ვითარცა ესმა ლანგ-თემურს, არავე დასცხრა შურისა და ბოროტისა  
გულის წყრომისა-გან. კვალად აღამზადა სპანი ურიცხენი, და წარ-  
მოგზავნნა ძენი თჳსნი სულთან უსეინ, ფირ-მაჳმად, ამირ შინ-აბუ-  
ბექირ, და სხვანი თავადთა მისთაგანნი, და თემურ-ხოჯა, ადბუდა,  
სეიდ-ხოჯა შიხალი შვილი, და სხვანი მრავალნი თავადთაგანნი, და  
სპანი ურიცხენი. წარმოვიდენ და მოვიდენ ერინჯანგს, და შემოად-  
გნენ ციხესა-მას ერინჯანგისსა, რამეთუ მას ჟამსა ეპურა იგი მე-  
ფესა ქართლისსა, და ბრძოლა უეგეს ძღვირად მეციხოვანთა-მათ.  
და ზირველად ვერა ართვეს ციხე, და იუწენენ მუნ ხანსა რა-ოდენ-  
სამე, და შემდგომად ხანსა რა-ოდენსამე აღიდეს, ამით რამე არა-

ვინ ჰქვია თანა-მწე, და დიდად შეწუხდენ, და თვითვე დაანებეს, გამოვიდნენ მეციხოვნე და ციხის თავი, და მოაჯე ექმნეს, და მაშინ წარმოიყვანეს ციხის თავი, და უფროსნი მეციხოვნე, და მიგვარეს ლანგ-თემურს. ხოლო ძენი ლანგ-თემურისანი წარმოემართნეს საქართველოსა ზედა, მივიდეს მანგლისს და დაიბანაკეს მუნ. ხოლო სცნა საქმე ესე მეფე-მან გიორგი-მ, წარგზავნა მოციქული და შეუთვალა სიტყვა საჯჯო სიმშვიდისა, ითხოვა მათ-გან მშვიდობა, და აღუთქვა მოწილება და ურთიერთარს დაგება. მაშინ უსმინეს ძეთა ლანგ-თემურისათა, და მათ მიუმცნეს და აუწიეს ლანგ-თემურს.

ხოლო ვითარცა ესა ლანგ-თემურს მოწილება შეთვის გიორგისა, მანცა იხება მშვიდობასა უფთა ურთიერთარს, და მიუმცნო ძეთა თჯსთა, და იგმო იგინი თჯს-თანა, და წარვიდენ. მაშინ წარგზავნა ლანგ-თემურ ძენი თჯსნი, ძალითა მრავლითა, ბადდადსა ზედა, და მივიდეს და აღიღეს ბადდადი, და დაიხურეს არაბისტანი. მრავალნი თემნი დაუქნა საბრძანებელსა ჰქვეშ თჯსსა, და წარმოიღეს მრავალი ნატყვენავი. მაშინ იდგა ლანგ-თემურ თავრიზსა, და წარმოვიდა, რათამცა იხილოს ციხე-იგი, რომელი ზირველ აღიღეს ძეთა მისთა, ციხე-იგი რომელსა ეწოდა ალინჯა, და წარმოვიდა სზითა ურიცხვითა, სიმრავლითა ბარგისათა და კარვებითა მრავალ-თვერითა, და მივიდა და ნასა ციხე-იგი ალინჯა, და კვალად განამაგრა იგი და წარვიდა, და დადგა ტბასა-მან გელაქუნსა. ჰსცნა-რა ესე მეფე-მან გიორგი-მ, მაშინ წარმოუგზავნა ძმა თჯსი და ძღვენი მრავალი, და მიუმცნო ესრეთ, ვითარმედ „ზირველცა მოგვიხსენებია, და აწცა მასვე ზირობასა მოგახსენებთ. ვითარცა გნებავს, ეგრეთ მოწილნი ბრძანებისა თქვენისა, და სადაც გნებავსთ გილაშქრებთ, და ამიერთ-გან ვუფთა მშვიდობა, და ურთიერთარს ერთობა. და ამიერთ-გან კმარს დაცხრომა გულის-წერომისა, და არდა-რა მოხსენებად კარდასრულთა-მათ საქმეთა“. ხოლო ლანგ-თემურცა მოწილ ექმნა და უსმინა, და მიუმცნო. ვინათ-გან სარწმუნო ქმნილ ხარ მოწილე-ბასა ჩვენსა, არცადა მე ვინსენებ შურსა ზირველსა-მის საქმისასა, და ამიერთ-გან ნუდა-რამცა კადრებულ არს თქვენ მიერ და სზათა

შენთა წყინობად, და კდომად, და რბევად მათდა რამელებიცა არიან  
საზღვართა საქართველოსათა ჭეჭულითა მაცმადიანნი, და ვიუჩნეთ  
მშვიდობის მეოთველ ურთიერთარს“. მაშინ აღიყარა და წარვიდა  
ბარდაუს. და იყო მუნ წელიწადსა ერთსა. მაშინ განაგო უოველივე  
საქმე თვისი ლანგ-თემურ. და კვალად ინება წარსლვა ქართლსა ზედა,  
და წარმოვიდა და მოვიდა მუნვე მანგლისს. მაშინ იყო ადგილსა-  
მას, კერძოთა სომხითისათა, თავადი ერთი, რამეჟსა ეწოდა სასე-  
ლი ადგილსა მას მარტინი, ხოლო სახელად ეწოდა თავადსა-მას  
ესაია, და ამას მიეცა ზირობა ლანგ-თემურისა-თვს, მისლვად მის-  
თანა, და ვერდა-რა მისრულ იყო, და იგონებდა ბორცუსა მის-თვს.  
ხოლო ესმა-რა თავადსა მას ესაიას, შეწუხდა ფრიად. მაშინ წარ-  
ვიდა, შიშითა შეზურბილი, და მივიდა ძისა თანა ლანგ-თემურისსა,  
და ევედრებოდა რათამცა თანა-შემწე ექმნას მამისა მისისა თანა, და  
აღუთქვა ნიჭად ლარნი დიდ-ფასისანი. მაშინ შეეწყადა ძესა-მას  
ლანგ-თემურისსა შარუსს, და მივიდა-რა, დიდად შემწე ექმნა, და  
მიმადლა იგი მას. მაშინ უძღვნა ძღვენი მრავალი და ლარნი სა-  
კეჟმწიფონი ლანგ-თემურს, და მიიუვანა იგი შარუს, ძე-მან ლანგ-  
თემურისა-მან, დაგებად მამისა თვისისა. იხილა-რა იგი ლანგ-თემურ,  
მიუგო მრისხანებით: „გითარ იკადრე წინა-ადღვომად და ურჩებად  
ჩემდა“. მაშინ ფრიად მოაჯე იგი წარსდგა წინაშე მისსა, და სათ-  
ნობისა-თვს ძისა მისისა მიუტევა და შეიწყადა, და უბოძა ხალათი.  
რამეთუ ჭევა თავადსა-მას ესაიას ასრული მშვენიერი, და რა ჭსტნა  
ძე-მან ლანგ-თემურისა, მან აბუბეჭირ, ეტრფიალა იგი და ჭსტნოვა  
ცოლად, და მისცა, და იუჩნენ მიერთ-გან წყალობის მიმნიჭებელ.

კვალად წარვიდა ადბუღას ძე ათაბაგი ივანე, და მრვიდა იგიცა  
ძღვნითა მრავლითა ლანგ-თემურისა თანა, და შეიწყადა იგიცა, და  
ჭსტნა ზატოვი, და უბოძა საბოძვარი მრავალი. და მიუვიდნენ უო-  
ველებივე თავადნი სომხითისა, სამცხისა და კარისა. მაშინ ცნა ესე  
მეფე-მან გიორგი-მ, წარავლინა ძმა თვისი კოსტანტინე. ძღვნითა  
მრავლითა, და იყო ფრიად მოაჯე მის წინაშე, და ისმინა მისი, და  
შეიწყადა იგი, და აღიყარა მუნით-გან და წარვიდა ქვეყანასა-მას

ქრისტეანისსა \*), და დაიპყრა ქურთისტანი. და კვალად აკსენებდა ქვირსა და ბორბტსა საქართველოსა-თჳს, და წადიერ იყო გათათ-რებისა-თჳს მეფისა და სულთა ქართლისა. მასინ წარმოგზავნა ჰატრანი შირვანისა, სახელით შიხ ბარაჯიმ, საქართველოსა შინა, რათა მივადეს და შეიტყოს უოველივე ბეგარა და გამოსაღები ქარ-თლისა. და შემდგომად მტირედისა თჳთცა წარმოემართა, და მოვიდა კარსა, და ცნა-რა ესე მეფე-მან გიორგი-მ, წარმოავლინა ესაია, თავადი-იგი სომხითისა. ესე წარავლინა წინაშე ლანგ-თემურისა, რა-თამცა არა შემოვიდეს იგი ქართლსა შინა. და რამეთუ იყო ჟამი შკისა, და მოსავლის აღებისა, შეუთვალნა სიტყვანი სააჯრანი ესრეთ. „ვინათ-გან გვიყოფიეს \*\*) ერთობ, მიერი-ტ-გან არა-რა ურჩება გვიქმნიან, და არცა ჯერ არს თჳთ-მპყრობელთა შარავანდელთა-გან განტყნა პირობისა. და აწ შეიწყალე ქვეყნა ესე, და ნუღა-რა გან-რეჴნი, რომელსა გვიბრძანებთ მზა ვართ აღსრულებად სამსახურისა და მოჩხილებისა ქვეყანისა“. წარავლინა და წარატანა თანა ძღვენი მრავალი და ფეშქაში საკელმწიფო. და რა მივიდა ესაია, თავადი-იგი მეფისა გიორგისა, და მიართვა ძღვენი და ფეშქაში, მოასხენა სიტყუნი მდაბალნი და სააჯრანი. ხოლო ლანგ-თემურ არა უსმინა, და არცა მიირთვა ძღვენი და ფეშქაში, რამეთუ ფრთად განრისხე-ბულ იყო, და სურვილ იყო მოაგრებისა-თჳს საქართველოსა. მას-შინ შეუთვალა მეფესა გიორგის: „უკეთუ გნებავს მშვიდობისა უო-ფა და არა იავარ უოფა საქართველოსი, და სიტყცხლე თავისა შე-ნისა, აწვე მოვედ ჩვენდა და იპყარ ჭკული ჩვენი, და იყო ჩვენ მიერ დიდად ჰატვიცნემულ დასაყვარელ, და არცა წავაკდენ სამეფო-სა შენსა, და არცა აღვიღებ ხარკსა, და მიიღო ჩემ მიერ სხვადა მრავალი ნიჭი და საბოძკარი, და იუთს უკუენისმდე მშვიდობა შო-რის ჩემსა და შორის შენსა. და უკეთუ არა მოჩხილ შექმნა, მო-ვაკრო და ვყო სულთად უმკვიდრო ქვეყანა-ეკე შენი. ხოლო უკეთუ ჭსჯულისა ჩემისა რწმუნება არა გნებავს, მოვედ ჩემდა, და დაიდევ

\*) Je lis et traduis ქურთისტანისა.

\*\*) Ici je petrauche და et, qui suppose un mot précédent, omis dans le M it „paix et union“.

ხაკი რაც ოდენ ძალ-გედვას, და შემეცნებულ ვიქმნნეთ მშვიდობით და კვალად, და ვითარცა გნებავს, ეგრეთ წარვედ სამეფოდვე შენდა, ჩვენ მიერ მინიჭებითა: სიმრავლითა ნიჭთა საბოძვართათა. და ვითარცა განუტევა ძე-იგი კეისრისა, ეგრეთვე შენ წარვედ მშვიდობით“.

და ესრეთ წარავლინა მოციქული, და ვითარცა წარვიდა იგი, მაშინცა არავე დასცხრა ზაკვისა და შურისა-მის-გან ბოროტისა, არამედ იტყოდა: „უკეთუ აღიღონ და შეიკრიბონ მოსავალი და საზრდო თვისი მკვიდრთა საქართველსათა, მიერთ-გან ვერდა-რცა შემძლებელ ვარ ვნებად მათდა. რამეთუ წარვლენ სიმაგრეთა შინა“. და აღიყარა, და წარვიდა, და დადგა მახლობელად საზღვართა. მაშინ უფელთავე ისწრაფეს და აღიღეს მოსავალი თვისი, და იფლტოდეს სიმაგრეთა შინა მათათა მაგართა. და მივიდა მძლავრიცა ღანგთემურ, სპითა მრავლითა და ურიცხვითა, და შეუფლო ქვემო-ქართლი, დიდითა ოკრებითა, წვითა, დაქცევითა. და წარვიდა მეფე გიორგი სიმაგრეთა შინა, და მივიდა ღანგთემურ შიდა-ქართლს, და ჩადგა და მოაოკრა უფელნივე შენობანი, და შემუსრნეს წმიდანნი ეკკლესიანი. არამედ ვერ ეწაფა ბოროტსა-მას გულის-თქმასა თვისსა. რამეთუ ენება შეზურობა მეფისა გიორგისა, და დატყვევება ტყვეთა, და ვერცა ერთსა-შემძლებელ იქმნა ზოგნად.

და იყო ხანსა რა-ოდენსამე მუნ, და აღიყარნენ, და წარვიდენ, და მიადგნენ ციხესა ბირთვისსა, და იყო იგი დიდად განმაგრებულ, და იუწნენ შიგან ციხესა მას შინა ბირთვისსა თავადნი წარჩინებულნი საქართველსანი, რიცხვით ოც და ათნი. და იყო ციხის თავად სახელით ნაზალ, და სხვანი მრავალნი აზნაურნი და მსახურნი საქართველსანი. ხოლო სპანი ღანგთემურისანი, შიშით მოწოდდნენ, თრიად მჭმუნვარე იუწნეს, და უარ-ჰყოფდეს ციხისა-მის აღებასა, რამეთუ მრავალ-გზის ვნებულ იუწნენ მათ მიერ, და უწყოდენ ციხისა-მის სიმტკიცე და საზრდელთა სიმრავლე, და უფროსდა ციხისა-თა მათ მკეც-ქმნილობადა ომისა შინა სიფიცხლე. რამეთუ მრავალი სპანი მოესრათ, და მათ მიერ მრავალნი ჭირნი შემთხვევოდათ ციხისა-მის-გან. ცნა-რა ღანგთემურ ესე-ვითარნი სიმტკიცე,

შეძრწუნდა ფრიად, და ჰკითხვიდა თანა-განმზრახთა თვისთა: ხოლო დაასკვნეს მიდგომა, შეტუველთა ესრეთ. „არა-სადა დაშთომილ არს სიმაგრენი და ციხენი, რომელი არა აღგვედოს, და იგიცა აღვილ არს თქვენ მიერ:“ მაშინ მიადგეს ციხესა-მას სიმრავლენი სპათანი, და გამოვიდეს ციხისანიცა-იგი, ჭაბუკნი ჰრჩეულნი, მიეტევნეს და განეცვნეს შიგან, ვითარცა მახვილი ლესული, ორ-პირად მკვეთელი მძოვრისა რასამე: და მრავალნი სულნი მოსრნეს. პირითა მახვილისათა, და დასჩაფრნეს ხარბად სისხლნი, ვითარცა ღვარნი ჰერად აღძრულნი ფიცხელთა წვიმათა მიერ: და ცნეს-რა ესე-ვითარი შეკეტქმნილება სპათა ლანგ თემურისათა, მუის იკმიეს სიფლტოლსა და უკუნ-იქცეს მუნით. რამეთუ ჰქვა ერთ-კერძო ბანაკი ფარულად, აღვიდეს ერთსა, და ღვენა უვეკს უკანა მათსა ქართველთა, და შეანარცხეს იგინიცა ურთიერთარს და ივლტოდეს ორ-კერძოვე განწყობილი სპანი ისმაიტელთანი, და ამოსწყვიდნეს და უვეკს მრავალი ზიანი. და ესრეთ შემოიქცეს, გამარჯვებულნი, და აღვსილნი საშოვრითა მრავლითა შევიდეს ციხესა შინა, ხოლო სცნა-რა ესე ლანგთემურ, წარმოვიდა თვტცა, ძალითა მრავლითა, განძვინებულნი გულთა მრისხანითა, მივიდა და მოიცვა სულად გარემონი ციხისანი: და აღუშენა გარემოს ციხეები, საფრად, და შეაყენა სპანი მრავალნი და თვტ მიადგა წინა-კერძო ბჭესა მის ციხისასა, და მუნცა აღაშენა ციხე, და განავლინა ბრძანება რათა მტკიცედ ბრძოლას უყონ: და მოიცვეს კუთხნი ორ-კერძოვე ციხისანი, და მტკიცედ ეგნენ შიგან მეციხოვნნი უზრუნველად, და იბრძოდნენ მსგავსად შეძლებისა მათისა. და გამოკდა მსგეფსი ერთი, და ვერ შეუძლეს აღებად.

ხოლო იუო კლდე ერთი, და მუნით-გან ჰხრავეს მცირე რაღმე აღსავალი. და იუო ვინმე სპათა შორის ლანგ-თემურისათა კაცი, სახელით ბეგიჯან. ესე იუო მეგვიპტელი. ამან მოიკელოვნა და შეიპარა დამე შიგან ციხისა-მის, და აღიფანა თანა თხა ერთი, და დაკლა შინა-გან ციხისა, და დაუტევა იგი, და თვტ წარმოვიდა. ამის-თვს ჰყო საქმე-იგი, რათა საცხარე იქმნას ციხისა მეფეთა მიერ კადნიერება მათი. სცნეს-რა ესე შინა-გან მეფეთა ციხისათა, კვალად უფროსად განმტკიცდეს და იუვნენ უშიშრად. ხოლო აუწევს



ლანგ-თემურს აღსავალი-იგი კლდის-მის. მაშინ განიხარა ფრად, და უბრძანა ყოველთავე შეწინა კიბეთა ბაბისთა, და კვალად წარგ-ზავნეს კაცი-იგი მეგვიპტელი აღსაძრომელსა-მას კლდისსა, და მ-აბა წვერი-იგი დაწნულისა კიბისა თავსა კლდის-მის მტკიცედ. და მასვე ღაშესა შეუვიდეს თვითთუელად სხანი ლანგ-თემურისანი მრავალნი, რომელი ვერა აგრძნეს მეციხოვნათა. კვალად მიიწივნეს შინათ გამოცინისა კარსა, და უგრძნობელად აღახუნეს კარნი ციხის-მის, და ესრეთ მიეტევენეს შინაგანნიცა და გარემოფენი თათარნი. და მაშინდა ჰსცნეს ქართველთა, და შეიბნეს ფიცხლად, და ერივნეს ქართველნი, გულისთა სისხლითა მღვრელითა, და განაჰეს მრავალ-კეცნი-იგი რაზმი მათი, და მსგავსად ქუხილთა იხილგებოდა მსმენელთა-გან ცემანი და კვეთებანი აბჯართანი. და ძლიერად ბრძოლას უყვეს ქართველთა, და უმრავლესნი მოსრნეს და დაკვეთნეს, და ბოლოს ეგრეთვე დარჩათ გამარჯვება და ძლიერა ლანგ-თემურს, სიმრავლისა-გან სპათსა. მაშინ ადამო ციხე-იგი ბირთვისისა, და მ-ართვეს შეპურობილნი მრავალნი დიდებულნი, და აზნაურნი კელ-პურობილნი, და თვთ ციხის თავი-იგი, სახელით ნაზარ, პურობილად მოჭგვარეს, და ყოველთავე წაჭკვეთეს თავნი მათნი. და მისცა ცოლი ციხის თავისა ნაზარისა სულთანსა შარვანისსა, და სხვათაცა სხვა მიანიჭა წყალობა მრავალი სპათა მისთა, და უფროსდა მას რომელ-მან იკელაუნა ალება ციხისა-მის. და რომელნიცა იუწნეს ციხესა-მას შინა მრავალნი ამოსწუვიდნა, და უმრავლესნი ტყვედ წარიყვანა. მა-შინ განაწესა ციხის თავად ერთი წარჩინებულთა თვსთაგანი, რომელსა ეწოდა მაჰმად, და მისცა მას სხანი მრავალნი, და შეაყენნა იგინი ციხესა-მას შინა ბირთვისისსა, და უბრძანა მათ დაწვა და მოკრება მუნ მკვიდრთა, და უფროსდა წმიდათა ეკკლესიათა დარ-ღვევა, და თვთ წარვიდა შამს. ხოლო ტყვე და ალაფი ყოველი გაგზავნა სამარუანს, ქორთნიკონს ყ. და მიერთ-გან ვერღა რა შემ-ძლებელ იქმნა კვალად მოსლკად საქართველოსა შინა, რომელი ნუმცადმ ქმნილ არს მოქცევა მისი, ძალითა ღვთისათა, ვითარ კე-თილის მოქმედ და მოწყალე კელის ამპურობელ იყო წმიდათა ეკ-კლესიათა და ქვრივთა და ობოლთათვს მკვიდრთა საქართველოსათა.

რამეთუ შვიდ-გზის იავარ ჭეო საქართველო ბორცტ-მან და ღუთისა მიერ რისხვეულ-მან, და ამიერთ-გან დაადა.

ხოლო წარვიდა-რა ლანგ-თემურ, მაშინ მეფე-მან გიორგი-მკვალად იბურა საქართველო მოკრებული, და იწეეს შენობად. და მას ჟამსა წარვიდა მძლავრი ლანგ-თემურ, და დაიბურა თურქისტანი, ინდოეთი, სპარსეთი, შირაზი, ადრახადაგანი, და შეიბურა ბურსის მჯდომი ხვანთქარი, რომელსა სახელად ეწოდებოდა ბაიაზით. ესე იყო თესლი ოსმანისა. და შემდგომად ექჱს-ასისა წლისა მაჰმადის გამოჩინებისა, ამას ჟამსა შინა გამონდა კაცი ერთი, სახელით ოსმან \*), და ესე იყო ჭსჯუღითა სუნი. ამან იწეო შეგობრობად, და შემოიკრიბნა მრავალნი სხვანი შეგობრენი და თანა-შემწენი, და გამდიდრებულ იქმნა ფრად, სიმრავლითა ნატაცობათა, და დაიბურა ხუდიად არაბისტანი და ანატოლი, და დასტად ებურა ბურსა, და მის-ზედა განილაშქრა ლანგ თემურ. რამეთუ ამა ოსმანის ძეთა ებურა ბურსა, და ესე ბაიაზითცა თესლი იყო ოსმანისა. ხოლო ლანგ თემურ ბრძოლა უყო და სძლო, რამეთუ შეიბურა ბაიაზით-ხვანთქარი, და ჩასხვა რკინისა უაფაზაში, და ეგრეთვე ჰატიმრად თანა ჭევა, და დაიბურა ბურსა და სანახები მისი. ხოლო კვიხარ-მანცა ჭეო მოჩი-ლებსა მისი, მიართო ძღვენი მრავალი და მისცა ხარაჯა ლანგ-თემურს. კვალად რუსეთიცა დაიბურა, და ამისა შემდგომად წარმოვიდა და მოვიდა თურქისტანს, და მუნ საღმობიერ იქმნა, და ბორცტ-იგი ბორცტად წარწემდა.

რამეთუ მაშინ განუყო ძეთა თვსთა ქვეყნანი, რომელსამე მისცა ინდოეთი, რომელსამე ხორასანი და რომელსამე ადრახადაგანი, და მიერთ-გან ვერღა რა შესძინეს ძეთა მისთა მისლვად საქართველოსა შინა. რამეთუ იქმნა მათ შორის შური და კდამა. და მას ჟამსა განისვენა საქართველო-მან და იწეეს შენობად. და მეფობდა მეფე გიორგი, და მიიცვალა. და მოკლეს მეგრელთა მეფე გიორგი იმერეთისა, ამასვე წელსა გარდაჰკვდა დიდი მეფე ბაკრატი იმერეთი-

\*) ოე. მეფე გიორგი ვახუშტისა აქ ნახე, ამ ადგილს, იგიც ამოწმე ხონთქრის გვარიო. N. de mon M-it.

სა, და დაჯდა მეფედ ძე ბაგრატისა კოსტანტინე, და იმეფა შვიდ წელს, და მოკლეს ჩაღადს. ხოლო ოდეს ლანგ-თემურ მოვიდა, და მასინ შეინახეს დიდეთს ძე ბაგრატისა და ძმა გიორგისა დავით, და ოდეს აღესრულა მეფე გიორგი, მასინ შთამოიყვანეს ქართველთა და კახთა დიდეთიდაჲ, და გააბატონეს ქართლსა და კახეთს.

ოა. მესამოცდამეათემეტე მეფე ქართლისა, დავით, ძე ბაგრატისა, ბაგრატონი ობ. მესამოცდამეათორმეტე მეფე ქართლისა, გიორგი, ძე აძავე დავითისა.

და მას ჟამსა ჰმწესიდა საქართველსა კათალიკოზი ბასილი, და იმეფა დავით კეთილად და მშვიდობით. და შემდგომად ჟამსა რაოდენსაჲ შინა მიიტყვალა, და დაჯდა მის-წილ მეფედ ძე მისი გიორგი. და ესვა ცოლად ამირ.ეჯობის ქუცნას ასული ნათია. და შვა ძე სამნი. ალექსანდრე, ბაგრატ, და გიორგი. და დაჯდა კათალიკოზად ელიოზ. და დაჯდა მიქაელ. და მოკჳდა კათალიკოზი მიქაელ, და დაჯდა დავით. ხოლო მეფობდა მეფე გიორგი კეთილად და მშვიდობით, და ჟამსა რა-ოდენსაჲ შინა მიიტყვალა იგიცა, და დაჯდა მის-წილად ძე მისი ალექსანდრე, ქორციკოზსა რა \*).

ოვ. მესამოცდამეათსამეტე მეფე ქართლისა, ალექსანდრე, ძე გიორგისი ბაგრატონი.

და იყო ჟამსა-მას კათალიკოზი დავით. და მიიტყვალა იგი, და დაჯდა ელიოზ. და მიიტყვალა ელიოზ, და დაჯდა კათალიკოზი თეოდორე. და მოკჳდა კათალიკოზი თეოდორე, და დაჯდა კათალიკოზი შიო.

\*) აქ ვახუშტი სწერს: და დაჯდა ძმა მის გიორგისა კოსტანტინე. და მერმე სამეოცდამეათშვიდმეტედ მეფედ იტყვის, და დაჯდა შემდგომად კოსტანტინესა ძმის-წული მისი და ძე გიორგი მეფისა, ალექსანდრე, N. de mon M-it.

და ამან მეფე-მან კარდამატა სხვათა მეფეთა საქართველსათა. და იყო კაცი სახიერი და განსწავლული, ყოვლისავე სადმერთოსა და საეროსა ზნეობითა აღსავსე, და გული უთქმინა კვლად გებად ზირველსავე საზომსა ზედან მოყვანებად წმიდათა ეკკლესიასათა-თჳს და საქართველსა. რამეთუ იყო მაშინ ყოველი ესე საქართველო უსჯულოსა თემურისა-გან უნუგეშის-ცემოდ განსრული, და სულიად აოკრებული დედა-ქალაქი მცხეთა, დიდი წმიდაჲ კათოლიკე ეკკლესია, და ეგრეთვე ყოველნივე ეკკლესიანი, საუდარნი და ციხენი ყოველნივე სულიად საფუძველითურთ დაექცია, და მოეოკრებინა, და ყოველნი სულნი ქრისტეანენი დედა-წულითურთ ტყვე ექმნა. ესე იავარ ნაქმარ ქართლზე მეფე იქმნა. ამის მეფობამდე მუდამი ტყვენვა, რბევა და მოოკრება ჰქონდა ქვეყანასა ჩვენსა. ძალი ქართლისა შემცირებულ იყო მრავლის ტყვეებისა და რბევისა-გან, და არა-სადათ აღუჩნდათ ნუგეშის-მცემელი, ვიდრემდის არა მეფე იქმნა დიდი აღექსანდრე. ამან იწყო ბრძოლა უსჯულოთა-მათ, და მრავლის ბრძოლითა და ზეგარდმო შემწეობითა განასხნა ყოველნი უსჯულონი საზღვარ-თაგან საქართველსათა. ქორონიკონსა რბ, მეფე აღექსანდრე, ივანე ათაბაგი, კობტას შიბნეს, თურქთა ხალ-ციხე ამოსწვიდეს. ამ მეფის მღექსანდრეს აღმზრდელ-მან მრავლის ჭირნახულობითა, ბებია მის-მან, ქუცნა ამირ-ეჯიბის მეუღლე, ყოფილმან რუსა, ამან იწყო მრავლის ღვაწლითა და გულს-მოდგინებით აღშენებად წმიდასა სვეტის-ცხოველისა. ზირველად გამოკაზმა და იწყო შენებად სვეტთა საუდრისათა, და ვერდა-რა სრულ ჰყო აღშენება მისი. ეგრეთ მიიცვალა ამიერ სოფლით, და ვითარ ეგულებოდა მეფესა აღექსანდრეს, ეგრეთვე იგულა და იგულისმოდგინა, ოც-და-ოთხისა წლისა მან იწყო აღშენებად სვეტისა-ცხოველისა, და აწ ახლად აღაშენა და განავრცო, და განასრულა, და ყოვლითა მოკაზმულობითა შეამკო და განაშვენა, და დაადგინა ჰატრიაქად მიქაელ, და მრავალნი წმიდანი და ჰატრიოსანნი მონაზონნი, მღჳდელნი, მკალობელნი და მოწესენი შეკრიბნა, და რომელნიცა ძველთა-გან კარიგებული შესავალი ჰქონდა, გინა კარიგებულნი აღაზნი და სხვანი საეკკლესიო საკმარნი ანუ ქვეყანანი ჰქონდეს, მას-ზედა მრავალი შეუ-

მატა, და უფროსად განავრცელა, და კვალად ქართლსა და კახეთსა, და სადაცა უოფილ იყო მკვიდრი მისი მამულნი რამელებიცა ძველთა კელმწიფეთა მამა-პაპათა და დედა-შვილთა გაერიგებინეს და გაესაზღვრეს, და შეეწირეს, ეგრეთვე ამანცა ჯერ-ინინა, და უოველნივე შესწირნა. და ეგრეთვე სადაცა მოკრებულნი აკარაკნი ჭქონდა, უოველნივე აღუშენნა, და უოველნივე საქართველოს უდაბონი, მონასტერნი და ეკლესიანი, სოფელნი, აკარაკნი, აზნაურნი და გლეხნი, და განუწესნა და შესწირნა. და კვალად აღაშენა მცირე ეკვტერი მთავარ-ანგელოსისა, მცხეთას, სამარხად. ქრონიკონსა რით, მეფე-მან ალექსანდრე-მ ღორე აღიღო, და კვალად ინება აღშენება უოველთა საქართველოს ციხეთა და საუდართა. აღაშენნა და განავრცნა. მას უამსა შემოსავალი არ-საით იყო ხალხისა მისისათჳს, და ამითი საქართველოს კვამლსა ზედა ორ-მეოცი თეთრი მალად განაჩინა.

ას ოც და რვა ქრონიკონ-ზე, საქართველოს ციხენი, საუდარნი და მონასტერნი უოველნივე სულად იხილა, აღაშენნა და შეამკვნა, და სულად მის-გან დადებული მალი ამანვე ამოჭკვეთა, და უოველნი ქრისტიანენი ფრიადსა მშვიდობასა და მუდრკობასა შინა ამოფნა. თათართა-გან კაცთ მოსხმიდა და დასასხლებდა, და ჭკუენა ესე საქართველო ესრეთ...

ქრონიკონსა რელ, დასვა მეფე ქართლსა და იმერეთს ჰირველი შვილი ვახტანგ, და შეირთო ფანასკერტლის ქალი, და დათაჳს ფანასკერტელისა, დედოფალი. სითი-ხათუნ. ხოლო თჳთ მეფე-მან ალექსანდრე-მ სახე მონაზონებისა შეიმოსა, და უწოდეს სახელად ათანასე, და აღაშენნა მის-თჳს სენაკნი და სახლნი დიდნი ჭკით-კირისანი, მცხეთას, მისგან აღშენებულს მთავარ-ანგელოსის ეკვდართანა. და მუნ დადგა ვიდრემდის ცხოვრებდა, სასოებითა და მოღვაწეობითა.

ოდ. შესამოცდამეთოთხმეტე მეფე ქართლისა- ვახს-  
ტანგ, მე ალექსანდრესი, ბაგრატონი.

ხოლო ოდეს დასვა პირველი შვილი ვახტანგ ქართლსა, და  
იმერეთს მას-თან დააყენა უმრწემესი ძმა მისი დიმიტრი, და დასვა  
კახეთს, ქორციონსა რაგ, მეფედ, უმრწემესი ძმა დიმიტრისი გი-  
ორგი. და შერთვეს ნესტან-დარეჯან, იმერელ მეფის ქალი. მასინ  
ოდეს დაიპყრა ალექსანდრე-მ იმერეთი, განაძეს ძე კონსტანტინესი,  
მეფე იმერეთისა, ბაგრატ.

ხოლო შემდგომად სიკუდილისა მძღაფრისა ლანგ-თემურისა  
კვალად იპურეს არაბისტანი, ანატოლი, ძეთა-მათ ბაიაზით-ხვანთ-  
ქრისათა, და კვალად იპურეს ბურსა ტახტი, და უოველი სამკვიდრო  
მამულნი მათნი, და უმეტეს განძლიერდენ, და იწვეს ბრძოლა ქრის-  
ტიანეთა ზედა, და მცირედ-მცირედ კადნიერ ქმნილთა მათ-ზედა,  
ძლევის-მოქმედებდნენ უოველთავე საბერძნეთსა ზედა. ამისა შემდგო-  
მად განიგულეს ბრძოლა დიდისა ტახტისა და სამეფოსა დედა ქალა-  
ქისა კონსტანტინეპოლისა, და იყო ურთიერთაჲს შორის დაუცადე-  
ბელი ბრძოლა ძლიერი, და ჭსდლეს ოსმალთა და ხვანთქარ-მან სულ-  
ტან მავლად, და მიდრკეს ბერძენნი, შეაწირეს ფრიად კეისარი,  
მძვინვარედ ზედა-დასხმითა, რომელნი გარემოადგეს კონსტანტინუ-  
პოლის, ქალაქსა-მას სამეფოსა, სძლეს და ადიდეს კონსტანტინუ-პო-  
ლი ოსმალთა. ქორციონსა რაგ, ქრისტეს აქეთ, ჩუმდ \*): და იყო  
ჟამსა-მას კეისარი სახელით კონსტანტინე პოლეოლოდოს, და იყო  
პატრიარქი აღსრულებულ. მასინ აღახუნეს და დაიპურეს სულიად სა-  
ბერძნეთი ოსმალთა: და ოდეს ადიდეს კონსტანტინეპოლის, მას  
ჟამსა დაბნელდა მზე, რომლისა ამბავნი ვრცელად წერილ არს ცხი-  
ვრებასა ბერძენთასა, და იყო სამარადისოდ ბრძოლა ძლიერი. და  
კვალად იყო შური და კდომა ძეთა შორის ლანგ-თემურისათა, რა-  
მეთუ ფრიად მოშურნე იუწეს იგინი ურთიერთაჲს შორის. და ჟამ-

\*) Mon M it porte ჩუმე, 1145, erreur manifeste que j'ai du  
corriger; v. la Traduction..

სა ამას განთავისუფლებულ იუწენს მკვიდრნი საქართველოსანი, და იუწენ მშვიდობით, განსვენებასა შინა.

ამასვე ქორნიკონსა, ჯან-შა-უაენი ახალ-ციხეს მოუკდა.

ამასვე ქორნიკონსა, ივანე ათაბაგი მიიტვალა.

ქორნიკონსა, რაგ, მეფე-მან ალექსანდრემ დასვა კახეთს უმრწემსი ძმა დიმიტრისი გიორგი, და მისცა ზემო-კერძონი მთის-ალაგნი მუნით-გან არაგვის გამომართი, კევ-ძმარამდის. გაუფლი-ლი, ლილას სერამდინ, რა-ადენი ლილას სერას წყალი გასდის, და შეერთვის მარტყოფის წყალსა, გაუფლით ვიდრე ამართულად-მდე და ამართულას გაუფლით, ვიდრე მტკვრის შესართავამდე. და მას ქვემოთ მტკვარს გაღმართი და შაქისი, ვიდრე შირვანის სამ-ზღვრამოდ. დაჭყო მცირე რამე ხანი, და აღესრულა, სავსე დღითა. მას ჟამსა იჯდა კათალიკოზი შიო.

ოდეს აღესრულა მეფე ალექსანდრე, მაშინ მოვიდა იმერეთს ძე იმერელ მეფის კონსტანტინესი, მეფე ბაგრატ გამოაძო, ძე ალექ-სანდრე მეფისა, ვახტანგ, და დაიხურა იმერეთი.

ქორნიკონსა რაგ, აღბულა და უვარუვარე შეიბნეს. ამავ ქო-რნიკონსა, მეფე ვახტანგ მიიტვალა.

---

ოე. მესამეოცდამეათხუთმეტე მეფე ქართლისა, დიმიტ-რი, ძე ალექსანდრესი ბ ძმა ვახტანგისი, ბაგრატოანნი.

და არა ესვა ძე, და დაჯდა მის-წილად უმრწემსი ძმა მისი დიმიტრი. და ჰყვა მეუღლედ დედოფალი გულანშარ, და მეუობდა კეთილითა და მშვიდობის მეოფეობისა მეუობითა. და მოკუნდა კა-თალიკოზი შიო და დაჯდა კათალიკოზად ძე მეფისა ალექსანდრე-სი დავით.

ქორნიკონსა რმა, მიიტვალა მეფე დიმიტრი, და დარჩა ძე მისი კონსტანტინე. ამისა შემდგომად იქმნა ბრძოლა კახთა უფლისა გიორგისა და ბაგრატს შუა, მეუობისა-თჳს ქართლისა. რამეთუ იყო მეფის ალექსანდრეს ძმა ბაგრატ, და შვილი რამედი ზემო ვახსე-

ნეთ გიორგი კახთა უფალი ჰსძღოთ გიორგი-მ ბაგრატს, და დაჯდა ქართლს მეფედ და იყო მტირე რამე ხანი, და გააძეს გიორგი, და დასვეს ძმა ალექსანდრე მეფისა, და ძე მეფის გიორგისა, ბაგრატ. ხოლო კახთა უწოდეს მეფედ. ამიერით გან უწოდენ კახნი კახთა უფალსა მეფედ. ხოლო რა-ჟამს იხურა მეფობა ქართლისა მეფე-მან ბაგრატ, მოიმოწინა ქართველნი და მესხნი, შეიყარა ლაშქარი, შთავიდა კახეთს, დაიმოწინა კახნი და განაძო ძმის-წული მისი, და დაიხურა კახეთი.

სახელითა ღვთისათა აწ ვიწყოთ ცხოვრება ბაგრატო-  
ნიანთა მეფობისა. <sup>1)</sup>

ოვ. მესამეოცდამეათეკვამეტე მეფე ქართლისა, ბაგრატ,  
ძე გიორგისი, ბაგრატოანი.

დაჯდა მეფედ ძე გიორგისა ბაგრატ და ძმა მეფისა ალექსან-  
დრისი, და ჰქვანდა ცოლად დედოფალი ელენე, და ესხნეს ამით ძე-  
ნი, ალექსანდრე და დავით. და იყო მეფობასა შინა მეფეთ მეფისა  
ბაგრატისა დიდი მოსვენება ქრისტიანეთა, ამისა ჟამსა შინა იყო  
ყენი სახნ ბეგ, მორჭმული და ორისავე საყენოსა მშურობელი. არა-  
ოდეს დარბეულ იყო ქართლი. დიდსა თემურის უკანის იყო შენება,  
განსვენება. ამას ჟამსა შინა არა იყო ხარჯი და არცა მალი ქართლსა  
შინა, არამედ განთავისუფლდეს უოველნი სამეფონი და არენი ქარ-  
თლისანი მონების-გან თურქთასა, ესე მეფე ბაგრატ იყო მორჭმუ-  
ლი, სახელთვანი. ამას ჰქონდა ქართლი, სომხითი, და მონებდეს  
ლორის ზატიახშნი, კახეთისა, შირვანისა და სამციხისა, და ჰქუეშს  
იმერელნი, ოდიშარნი, გურიელნი, აფხაზნი, სუანნი, ჯიქნი და  
მთიულნი, კავკასნი.

<sup>1)</sup> La chronique qui commence ici ne se trouve que dans le M-it Phalawandof, original du mien.



ამას შინა უკუ-დგა დადიანი, გურიელი, და უკუ იტანეს  
ოდიშარი და აფხაზნი. შეჭყარნეს ერთად და ალა-რა მსახურეს ბაგ-  
რატ მეფესა, იწინა მეფე-მან და შეიყარა, მივიდა და დადგა ცხე-  
ნის-წყალსა ზედა. იქით ისინი მოადგეს. ქნეს რაზმი და შეიბნეს.  
იზრანა დმერთ-მან და გააიქცეს დადიანი, ოდიშარი დაკონეს და  
დაატუჭეს, და მოსწყვიდეს. ქართულთა მიჭუჭეს, თანა ჩაუ-  
დგეს, შინა-გან დაწესეს და დაქციეს ციხენი, სიმაგრენი. მობრუნ-  
დეს გამარჯვებულნი და წარმოიტანეს თანა ტუჭ და მძევალი. ამა-  
ზედა ალა-რა ქქონდა თავი კელთა მეფესა, ღიბთა იქით იყო და  
ქართულნი თანა იახლეს.

ქორნიკონსა რმდ, შეიყარა ყანი უზუნ-ასან და მოვიდა სომ-  
ხითს. მოადგეს ბარათიანთა, და ორბეთის ძირსა დიდად კარკად  
დახვდეს ბარათიანნი, და გამაგრდეს, და ვერა უჭუჭეს რა, მოვიდეს  
და ტფილისი აიღეს. თვით ყანი მუხრანს <sup>1)</sup> დადგა, აღივსო ქარ-  
თლი ღაშქრითა, მოკურდა სრულ ქართლისა ადგილი. იკმნა ყან-  
მან ბარათიანნი, მოინდუნაჲ, ნახნაჲ და შეიწყალნა, მოსცა მრავალ-  
ნი და აავსნა ზირთამდის. ამას ზედა აიყარა ყანი და წარვიდა, და  
გამოუშო ბარათიანნი შეწყალებულნი, და უბოძა მრავალნი მისაცემელნი.

ამისა შემდგომად გარდაკდა წელიწადი. ქორნიკონსა რნ, კვა-  
ლად უზუნოს-ყანი მოვიდა სამცხეს, ვვარეყარეს უშუჭლა. ჩიხორს  
შეიბნეს მეფე ბაგრატ იმერეთისა, და ათაბაგს ვვარეყარეს გამარჯვა.

ქორნიკონსა რნა, ქართულთ მეფე-მ <sup>2)</sup> თავრეზს გაიღაშქრა მა-  
თემურა <sup>3)</sup> ააკრა.

ქორნიკონსა რნგ, მეფე ბაგრატ იმერეთისა დაიჭირა ვვარ-  
ეყარე-მ ტუგეთ, და დაატუგევა ციხესა შინა.

ქორნიკონსა რდგ, ათაბაგი ბაადურ გარდაიცვალა, წლისა კა.  
ოკდომბერსა, დასაბამით-გან ქორნიკონსა ექვსი ათ-ას ცხრა ას  
ოთხ-მოც-და ორსა.

<sup>1)</sup> Forme moderne de l' antique მუხნარი, seul régulier.

<sup>2)</sup> Il faut lire. მეფე გიორგი სძლეს, comme dans les Dates de Wachoucht.

<sup>3)</sup> Ajoutez, comme dans les Dates ქართლი, სომხითი და სავა ნძურნი მეფისა.

\*) ქორნიკონსა რად კვალად შეიკრიბა ერთი ურიცხვი და წარმომართა უზუნ-ასან ძალითა დიდითა სამცხესა ზედა. ესმა ესე უვარუვარეს და ერთა ძეთა მისთა, რამეთუ ზირის-ზირ განწეობა ვერ ძალ-ედეკა სიმრავლისაგან ურიცხვობისა სმართათასა და ჰქმნეს განზრახვა, რათა სამ-თაგან ერთი წასრულ იყო და დაეცხრო გულის-წერომა მძლავრისა მის, რათა არდა-რა მოსრულ იუქნეს ჰქეუანასა სამცხისასა. მფიდა სამცხეს და მერმე მოიწივნეს აწუგერს და მოსრნეს მრავალნი ქრისტეანენი, მღუდელნი და მონაზონი და ერის-კაცნი და წარსტევეგნენ სრულიად სამცხე, აიყარა უანი და წარვიდა საყენელსა თვისსა და ტევე-ჰევეს ხატი აწუგერისა ღმთის-მშობელი და წარიუვანეს ჰქეუანასა მათსა და იქმნა დიდი გლჳა და მწუნარება მიუთხრობელი სრულიად მესხთა ზედა. აღდგეს უფელნი და შთავიდეს ქართლს, ვიდრემდის მწირობდენ მუნ შვიდ წელს. მიიცვალა ძე მეფის ალექსანდრესი მეფე გიორგი კახთა და დაჯდა მის წილ ძე მისი ვახტანგ და კარდასდეს მცირე რამე ხანი და წარვიდა კოსტანტინე თათარ შიგან და სხვა-მან ვერა-ვინ გაბედა ქართველ-მან დარბაისელ-მან წარსლვა თათარ-შიგან და ბატონის ხლება, დიდად ერთ-გულად და კარგად იუქნეს ბარათას-შვილნი, იგინივე წარუგეს თანა და მსახურეს და წარუგეს მზე-ჭაბუკმცა ზირ-მშო შვილი უვარუვარესი, იზრიანა დმერთ-მან და იწყინა ამწუგეტა საქრისტეანელს, შეედვა უენსა სენი სასიკუდინე, ქმნა დმერთ-მან და მკაჟდა უანი უზუნ-ასან და მიიღო ზატრონობა ძე-მან მის-მან სულთან-მან და ძმა მისი აღუბ ეშურებოდა მიღებად ზატრონობასა.

დააგდეს თათართა ტფილისი და სომხითი და დაიჭირა მეფე-მან ბაკრატ, ჩაუხდეს ბარათიანი, დაიფორიაქეს ელი და დაჭხოცეს მრავალი თათარი: ხოლო სულთანი და მკითხველი ჰსჯულისა თათრისანი უქადაგებდენ ჰსჯულსა თვისსა. ხოლო იცოდა მზე-ჭაბუკ

\*) აქედამ ბოლომდის გამოტოვებულია „ქართლის ცხოვრების“ პირველ გამოცემის პირველ წიგნიდამ, მოთავსებულია შეცდომით „ქართლის ცხოვრების“ II წიგნში, რომელიც დ. ჩუბინოვმა გამოსცა. ეხლა, ჩვენ, ეს გაგრძელება მეორეს ტომიდამ პირველ წიგნში მოვაქციეთ თავის რიგზე, ასე და ამ გვარად პირველ გამოცემელთ შეცდომა ავაცდინეთ. ზ. შ.

არაბული და სპარსული და თათრულიცა. ესეოდენ სწავლულ იყო  
ენითა და წიგნითა მათითა, ვითარმედ ყოველსავე ღრმათა სცნობდა  
და მის-გან ესრეთ აღმოვიდოდეს საღმრთონი სიტყვანი პირით მი-  
სით და ჭსჯულისა მათისა-განცა ყოველივე ზედა-მიწევნით უწყოდა  
და მათისავე ჭსჯულისა წიგნთა-გან დაუყოფდა მედგარსა პირსა მათ-  
სა და მიერ დღით-გან ვერღარა-ვინ იკადრა ამის პირისა-სკის სი-  
ტყვისა ყოფად წინაშე მასსა: ხოლო მიეტა ძლევაცა ესე-კითარი,  
რამეთუ იყო უსჯულოსა მის მთავრისა კაცი ერთი, ფალავანდთა თა-  
ვი, დიდი და გოლიათი, რომელსა სახელად მალანი ეწოდებოდა და  
ჭმატდა ყოველთა კაცთა სიდიდითა, ვითარ წურთა ერთი ანუ უფროს-  
ცა და არა-ვინ გამოჩინებულ იყო სიმრავლესა მას შინა მკრინობელ  
მისსა. ამან ინება ოდესმე განმტდელობა მზე-ჯაბუგისი და ვითარცა  
ცნა ესე არღარა-ცა ჭყოვნა. არამედ ვითარცა ლომ-მან მსწრაფელ შებმა  
უყო და მინდობილ-მან ღუთისა და ყოვლად-წმიდისა ღუთის-მშობე-  
ლისა-მან აღიუგანა და უპატოოდ მიწასა ზედ დასცა. ესე-რამ იხილეს  
ყოველთა მათ ლაშქრათა, დიდებულთა ერთა, დიდად განკვირვებულ-  
იქმნნეს და თქმად რასამე უღონო იუწნეს, ესენი და სხვანი უმრავ-  
ლესნი მხნე-ქველობანი მოენიჭნეს, ბრძანა ღმერთ-მან და წარმოავ-  
ღინა დიდითა პატრივითა სულტან-მან კონსტანტინე და წარმოატანა  
თანა მზე-ჯაბუგცა და მოვიდა კონსტანტინე თათართათ, ყაენის-გან  
შეწყალებული: მას უკანის მძლე-ექმნა სულტანსა იადუმს, დაიპურა  
პატრონობა და დაჯდა ყაენად ასანბეგის-შვილი იადუმბეგ, განზრ-  
ხვითა ეშმაკისათა. ამას შიგან გამოხდა ხანი და სოფელ-მან მისი  
ბეგარა არ დაიკლო. მიიცვალა მეფე ბაგრატ რაჭასა და იყო დიდი  
გლოფა და მწუნარება სამეფოსა ზედა, აღიღეს და დამარხეს გელათს  
მათსა სამარხოსა შიგან, ამასვე შიგან გამოხდა ხანი.

ქორანიკონსა რაჟ დაჯდა მეფე ალექსანდრე მეფის ძის დი-  
მიტრის-შვილი კონსტანტინე და მეფობდა კეთილითა მეფობითა,  
არღარა იყო წყენა თათართა-გან, მოიმოწინილხა იმერელნი, ოდი-  
შარნი და აფხაზნი, მსახურებდა ათაბგანი და მოწინილებდეს კასნიცა,  
არა სადათ იყო წყენა ქრისტიანეთა, იყო მოსუენება და დაწენარება,  
არამედ პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ. მაშინ ოდეს მოვიდა უზუნ-

ასან მძლავრითა ღაშქრითა და წარიყვანეს ხატი იგი აწუვერისა ღუთის-მშობელი ქვეყანასა მას უცხო-თესლთასა, ესე ვითარი რისხვა ღუთისა მიაღწინა, არცა შობა დედაკაც-მან, არცა ზირუტყუ-მან, არცა ჭეო ხე-მან ნაყოფი, არცა მიწა მან აღმოაცენა და იქმნა დიდი გამძობიება მათ შორის უცხოსა ამის თვის საქმისა და იტყუადეს: „რამე არს ესე!“ რამელნიმე იტყუადეს: „შეცდომით იქმნა.“ ხოლო სხვანი სხვასაცა რასამე მიზეზსა მოიღებდეს. ხოლო უბრძნესთა კაცთა მის ქვეყანისათა ესრეთ თქვეს. „ოდეს იგი საქართველს ვილაშქრეთ, მაშინ ერთისა დიდისა საუდრიდადემენ ფიცარი ერთი, შემკული მრავლითა ჰატვიითა ვიხილეთ და წარმოვიდეთ და მგზავრობასა მას ჩემსა უცხო სასწაულთ ვიხილეთ მას-გან, რამეთუ მწუხრსა ჩავსვენით უღრმესა ადგილსა ბარკისსა და ვითარცა განთენდის აღმოვიდის სიღრმისა-გან და მადლად მჯდომარე იხილუებოდის და ვითარცა მზე ბრწყინვებდის და საქმე ესე უეჭველად მის-გან იქმნა ქვეყანასა ჩვენსა და თუ გნებავსთ განჩინება ჭირისა მის-გან, იგი მოვიძიოთ და ქვეყანასა მათსა განუტოთ.“

მაშინ მოძიეს წმიდა ესე ხატი და ჰპოვეს რა, ესრეთ განიზრახეს: „მოკვდით და დავაკრათ კიცვსა უხედსა და უკეთუ წარვიდეს მართლად გზასა თვისსა უწუოდეთ, რამეთუ ამის გან არს ესე უოველი და უკეთუ მიიქციოს სხვით კერძო, მაშინ შესდომით რამე იქმნა და არა ამისგან:“ და ვითარცა დააკრეს კიცვსა მას ზედა წმიდა ესე ხატი, ესრეთ მართლად წარმემართა გზასა სამცხედ მიმეფანებულსა, ვითარცა საჩინო მხედარი და აღვირითა მხერობელი და მმართველია. და ვითარცა იხილეს უცხო თესლთა საკვირველებსა ესე განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად და წარმოგზავნეს ჰატვიითა და თანა წარმოჰყვა სიმრავლე ცხენებისა ფრიადი, რომელთა ზურგები ჩადრეკილები დღესცა ჰქადაგებს საშინელსა სასწაულსა. ხოლო უცხო თესლთა მათ არა რა იზრუნეს ცხენებისა მათისა-თვის. ვინად გან უზომოსი მის ჭირისა-გან ხსნას მოულოდეს. და განკობითა საღმთოთა მცირედთა ჟამთა სამცხეს მოიწია ადგილსა, რომელსა აწ ელავსი ეწოდების და იქმნა დიდებული სასწაული. რამეთუ მუის განათლდა სრულიად სამცხე და განბრწყინდა წესისა-ებრ ჰირ-

ველისა და ვითარცა იხილეს ყოველთა ანსდათი იგი შეცვალებუბნელებისა ნათლად და მიხედნეს ადგილსა მას და სახედ ელვისა ჰბრწყიავიდა ხატი ყოვლად-წმიდისა, განკვირვებულთა თქვეს: „რამე არს ესე ელვის სახედ ბრწყინვალე!“ და მიერთი-გან ეწოდა ადგილსა მას ელავსი.

და შეკრბეს ყოველნი და მივიდეს და იხილეს ხატი ესე ყოვლად-წმიდისა ღმთის-მშობელისა ბრწყინვალედ მჯდომარე კიცვსა ზედა და სიძრავე ცხენებისა გარემოს მისსა, განჰკვირდეს უცხოსა მას ზედა საკვირველსა და ადიდეს ღმერთი და ყოვლად-წმიდაღ ღმთის მშობელი და ცრემლითა მსურვალითა დადად-ჰყუკეს მისსა მიმართ: „კურთხეულ არს მოსვლა შენი, დედაჲ სახიერისა ღმთისაჲ, რასათვის დაგვიტყუენ ესეოდენტა ჟამთა ბნელსა შინა, რომელთა შენ-მიერ ვიხილეთ საღმთო ძისა შენისა“ და ვითართა ესმა ხატისა სასწაულითა მოსვლა მესხთა ქართლს მეოფთა, ვითარმედ სამცხე განათლდა, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად და თქვეს: „უეჭველად ხატი ყოვლად-წმიდისა მოსვენდა. აღვსდგეთ და წარვიდეთ ქვეყანასა ჩვენსა. ხოლო მეფე კოსტანტინე აყენებდა და არა უტევებდა წარმოსლვასა და ვითარცა ჰბრავეს წამი მარჯვე აღსდგეს დამესა ერთსა და წარმოემართნეს ყოვლით სახლეულით მათითურთ და ესმა მეფესა, ვითარმედ მესხნი წარვიდეს, აღიმხედრა დაშქრითა თვისითა და დევნა უყო, ვითარცა იგი ოდესმე ფარაჲ ისრალითა და მოეწივნეს ადგილსა, რომელსა არადეთი ეწოდებინ. ხოლო მესხნი მოუბრუნდეს სახელსა ზედა ყოვლად-წმიდისა აწუურისა ღმთის-მშობელისასა და განეწუენეს ურთიერთარს და შეიბნეს კოსტანტინე მეფე და უვარყვარე ათაბაგი და მესხნი.

ქორწინებინსა რაჲ, თათქლსა ჰგვისტოსს იგი, ათაბაგს და მესხთა გამარჯვება და ესე ვითარი ძლევა აღადგინეს მესხთა ქართველთა ზედა, რომელისა მსგავსი არა სიდა სმენილ არს და მოსრნეს მრავალნი წარჩინებულნი მეფისანი. ხოლო მეფე ლტოლვილი მცირედითა მხედრითა განერა და უკუნებდა სახედ თვისად: ხოლო მესხნი უკმობიქტეს ძლევა შემოსილნი მშვიდობით და მადიდებულნი ყოვლად-წმიდისა ღმთის-მშობელისანი და მოვიდეს სამცხეს. ამისა შემ-

დგომად გარდახცეს წელნი ორნი, მერმე ვითარცა წესი არს და ჩვეულება ეშმაკისა აღძრნა ეშმაკ-მან, მოძულე-მან თათარნი ქრისტიანეთა, შეკრბა სიმრავლე ურიცხვი თურქმანთა და მომართეს სამცხეს, ქორთიკონსა რთვ მოვიდეს და მოადგეს ტაშირ-ზედა, მოუმცხეს მეფესა ქართლისათა, რათა ქვემოთ ქართველნი შეუხდენ სამცხეს, ვითარცა ესმა ესე უვარუვარეს და ძეთა მისთა მზე-ჭაბუგს და ბაადურს შემოჭკრიბნეს სზანი და დაადგურეს ადგილსა ქვიანის მთისასა, რათა უკჳს მიიწივნენ მათდა, მუის განეწივნენ და შებმა უყონ და სხვათა ყოველთა თემთა და ქვეყანათა მათთა უბრძანეს ციხეთა სიმაგრეთა შინა ყოფა და გამაგრება, ვითარცა იგი ეპისკოპოსსადა წმიდისა ამის დედა-ქალაქისასა უბრძანეს, რათა ხატი ყოფილად-წმიდისა აწურისა დუთის-მშობელისა ციხესა სსჭურჭლესა შინა დასსვენონ.

და ვითარცა ესრეთ იქმნა ქორთიკონსა რთვ მოვიდა ყაენი იაღუბ, ურიცხვითა ერთთა და უბრძანა ერთსა თავადს და ლაშქარსა მისსა: „რათა ჩაუდგნენ და მოიცვეს სრულიად და იავრ-ჭევეს ქვეყანა სამცხესა და მერმე მოადგეს ციხესა და ქალაქსა ახალ-ციხისასა. ჰბრძოდეს დიდხან და ვერღა-რა დაუდგნა სიმაგრე-მან, გატეხნეს ციხე და დაწვეს ქალაქი და დაიპურეს კელთა მესხნი დარბაისელნი ციხიდანნი. მერმე აიყარნეს და მოადგეს ციხესა და ქალაქსა აწურისასა და მოწვეს აწური და მოახრეს ქალაქი და ციხესა ვერ უძლეს ბრძოლითა აღებად და წარსლვა ინებეს, მაშინ ეზრახნეს ციხიდანთა და უქადეს მშვიდობა და არა დაქცევა საუდრისა და ციხისა. ამას ზედა გამოენდვნეს, შესცთენ მცველნი იგი ციხისანი და მწყურელი და მას-თანა სხვანიცა ჩინებულნი განიზრახნეს, აღიხუნეს კლიტენი ციხისანი და თვინიერ თხავისა და ბრძოლისა უღთოსა მას მთავარსა მართვეს და მან განიხარა ფრიად და აღუთქვა ვითარმედ: „არა რა ავნოს მათ და გამოენდვნეს ციხესა მას შინა მიეტეგნეს, ვითარცა მხეცნი და იავარ ჭევეს ყოველი სსჭურჭლე საუდრისა და ერი ურიცხვი დედებით და ყრმებით-თურთ, რომელებივე მოსრნეს მახვილითა, ხოლო სხვანი ტყვედ წარიყვანნეს. ხოლო ხატი ყოფილად-წმიდისა სასოისა ჩვენისა, შემკობილი თვალთა მიერ ზატიო-

სანთა და ცოდვათა ჩვენთა-გან ტუვე-ჭევეს და მიჭკვარეს უსჯულთს მას მთავარსა, ხოლო მას ფრიად განუკვირდა შემკობილება ხატისა მის და ჰატოცხება თვალთა და ბილწითა კელითა თვისითა განჭს-ძარცვა შემკობილება ხატისა და შემდგომად ამისსა ადაგზნა ცეცხლი ფრიად დიდ-ძალი და მას შინა შთააგდეს, ხოლო ცეცხლი იგი დაშრტა და ხატსა უოჟლადვე არა შეეხნო, არცა-თუ ნაბრძვილი აჩინა, რომელი ესე მრავალთა-გან და თვით თვალთა-ცა ჩვენითა სხილველი იქმნა, ესე-რას სსწაული იხილა ერთმა ვინმე ლაშქართა მათ შინა შეოფთაგან-მან ქრისტეანე-მან და ჰსჯულითა არა მართლ-მადიდებელ-მან აღიპარა ხატი იგი უოჟლად-წმიდისა და წარახვია ფაკელსა წმი-დასა ამას შინა. მასშინ ბრძანა ყაენ-მან, რათა სომხითი მოაბოინ, ბარათა-შვილი გაუზახს და მისი უკეთესი ლაშქარი მალვით მივიდეს და დაესხნეს შეუგრძნად დმანისს და ქვეშის-ხევისა, წარმოიდეს ტუვე-აღაფი უაძრავი, დაუვარდა ხმა ბარათიანთა, გარდაუდგეს წინ ცოტა-თა ლაშქართა, იბრინა ღმერთ-მან ესე, გაემარჯვათ, რომე ერთისა ქართველისა-გან ასი და ორასი მოიკლა, დახოცეს და ამოჭსწევი-ტეს, დაატუვევეს და ცოტა რამე გარდამოქევეწა ცხენ კეთილი და თავად კარგი, კარგად იყო სუფხან ბარათა-შვილი, ერთი ასეთი დარბაისელი მოკლა, ყაენის კარ-ზედ მის-თანა არ იყო და სხვის ნახოცისა ანგარიში არ იქმნებოდა, რანილც გარდაიხევეწეს მივიდეს ყაინთან ერთობ, ეწეინა და დამძიმდა ლაშქართა ამოწევეტა და ამას ზედა აიყარა ყაინი სამცხით და წარმოვიდა და დატუვევედა აწურისა ღმთის-მშობელი თთვესა სეკდეშბერსა კე და მოქალაქენი და რაცა ციხესა შიგან იყო დიადი სული წასხეს და წარვიდა ყაენი მისსა საყაენოსა.

ხოლო რომელი ზემო ვახსენეთ კაც-მან ქრისტეანე-მან და სჯულითა არა მართლ-მადიდებელ-მან წარასვენა ქვეყანასა მათსა; ვითარცა ესმა ესე ვვარუვარეს და მეუღლესა და ძეთა მისთა ვანრის-ხეს გამცემელთა-თვის ციხისათა და სიკვდილად დასჯა ბრძანეს მასწ-ევერლისა და სხვათა უოჟელთა, რომელნი შინა-გამცემელ იქმნეს და იძლია ბუნებითისა მოწყალეების-გან არდა-რას სიკუდილ დასაჯნა. არამედ ექსოროია უგნა. ამისა შემდგომად მოიძიეს სხვა ეპისკოპოსი

თიან და მიეტა ძლევა ქართველთა და გამარჯვა მეფესა სვიმონს,  
ამოწუვიტეს მრავალნი სმანი ოსმალთანი და შეიპურეს ურიცხვი.  
კინდა განერა თვით ფაშა და იუღტოდა მცირედითა კაცითა და  
შეიხვეწა ციხესა ტფილისისასა ქრისტეს აქეთ ჩივბ. ხოლო მეფე  
სვიმონ მოვიდა დიდომს და მოაწვია მუნ უფველნი თავადნი ქართ-  
ლისანი \*) უაღბიანად და შემოკრბეს უფველნივე დარბაისლის ცო-  
ლები დედოფლის-თანა და აღიუარნეს დიდომიდანდე, განვიდეს ტბა-  
სა ლილასასა და დაადგნენ მუნ მას ზედა, რომელ არს გორა მა-

\*) ალაბიანად მგონია იყოს.



დადი, რამეთუ მუნ ახდეს უოველნივე დიდებულნი და მტირენი სხანი ქართველთანი, თვით დედოფალი და ჯაღაბნი თავადნი თავადთანი. ხოლო გამოვიდა ტფილდისი ციხიდაჲ მრთველნი ზრახათა, მაშინ გაუძახა მეფე-მან სვიმონ მტირედნი სხანი თვისნი და წარმოიღეს მრთველი იგი, ხოლო კაცნი იგი ივლტოდეს და გამოვიდა ციხი-დამ მრავალნი სხანი ოსმალთანი და იფუნეს განწოვბილნი მეფე და სხანიცა ქართველთანი, მსწრთელ მიეტევნეს ივინი, ვითარცა ღომი და ზირგელსა კვეთბასა ზედა წარიქცივნეს სხანი ოსმალთანი და მოსწუკიტნეს მრავალნი მათკანნი და უმრავლესნი შეიპურეს და უქპ-რეტდეს თვით დედოფალი და დარბაისელთა ჯაღაბნი თვალთა, და მისდევდეს ოტებულთა ოსმალთა სხანი ქართველთანი და ვიდრე ცი-ხისა კარამდე სრვიდეს და იპურბდეს და ესრეთ გამარჯვებულნი გამობრუნდეს, და მოვიდა მეფე სვიმონ სიხარულითა და ნაშოვრი-თა დედოფლითა-თანა და იფთ შეება და კანცხრომა ზოგად უოველთა შორის.

ქორთნიკონსა ხო ზატრონს მანუჩარს უღალატეს ურუმთა, ზატ-რონი მორსა, ორივე ფაშანი მძიმედ დაიკოდნენ და გაიქცეს და თუმი ჩვენსე დაგვრჩა. და უაქიო განჯას მოვიდა, და ზატრონს მანუჩარს ჩაღაბუთი მოსცა და ზატრონს დედის-იმედს ხუთი დიდი სოფელი, ქორთნიკონსა ხოა. თვალ-შეენიერი ორმოდამ ამოიფანეს და უაქ-თან მოიფანეს, ამავე ქორთნიკონსა, მარტს კდ, კვირას დდეს, ბზობას. ზატრონმა მანუჩარ მეფედ-მეფის ზატრონის სვიმონის ქალი, ზატრონი უღენე მოიფანა. ქორთნიკონსა ხობ მიიცვალა ბარათს-შვილი, კათალიკოსი სიკლავოზ და სუბითა და ბრძანებითა დჳთი-სათა კათალიკოს-იქმნა, ძე კახთა მეფისა დეონისა, თვეს თებერ-ვალსა კზ, დდესა შაბათსა. ამასვე ქორთნიკონსა სარდალი ვარად ფაშა მოვიდა და ახალ ციხეს სსშენებლად გედარ დადგა, წავიდა და თუმი ჩვენსე დაგვრჩა. შემდგომად მტირედისა კვალად შეიფარა სხა თვისი და წარვიდა ღორეს. რამეთუ ოსმალთა ეპურა იგი და ვი-თარცა მოვიდა, მაშინ გამოვიდა ფაშა სპითს მრავლითა და ეწევნენ ურთიერთარს და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მისცა კვალად გამარჯ-ვება დმერთმან მეფესა სვიმონს და ამოსწუკიტნეს მრავალნი ოსმალ-

ნი, რიცხვით ოთხას სამეოცდა ოცეტი, ქრისტეს აქეთ ჩემგ, ქო-  
რნიკონსა სუგ \*) და ადილო სიმაგრენი და ქვაბუბა, ვითარ ცხრა  
ლორისანი, რამელი ეპურა ოსმალოთა და თვით დაიპურა, თვინიერ  
ციხისა მის და იგი მხლოდ ეპურათ ოსმალოთა. მაშინ მიადგა ციხე-  
სა მას ლორისსა, ა და ადილო ივნისსა ი.

ამსრე ქორნიკონსა უაენმა სამცხე ამოსწყვიტა, ხოლო დაიპ-  
ურა მეფე-მან სვიმონ სრულიად ლორე და წარმოვიდა გამარჯვებუ-  
ლი სახიდ თვისად. ხოლო შემდგომად მცირედსა, კვალად შეიყარა  
და მოვიდა ტაბახმელას. მაშინ ქსენა რა ასან-ფაშამ, იღუმელ გა-  
მოვიდა იგი ციხისაკან სწითა მრავლითა, აგრძნა ესე მეფე-მან და  
ეწუვნეს ურთიერთად, იქმნა ომი ძლიერი და მისცა დიერთმან გა-  
მარჯვება ქართველთა და მაშინ მეფე სვიმონ, გალომებულნი მიეტე-  
ვა ერთსა წარჩინებულსა ბეკსა ოსმალსა და წარიქცია იგი და მივი-  
და კაცი იგი და შთაიჭრა დიდსა მას ხეგსა ტაბახმელისსა ცხენი-  
თურთ და ესრეთ თქმულად არს, ვითარმედ არა მომკვდარ არს კაცი  
და იფლტოდნეს ოსმალნი და მოისრა მაშინ ოსმალი კაცი, ვითარ  
ხუთასი. ხოლო მიადგა ციხესა მას ტფილისისსა და ადილო კვალ-  
განი ტფილისისა და უკან ციხე და შემდგომად ამისა ადილო დი-  
დი ციხე იქით ტფილისისა და ქალაქი ტფილისისადა და მოსრნა  
ეოგელნივე, რადენიცა იუვნეს ციხესა მას შინა და თვით დაიპურა  
ეოგელნივე, მაშინ მიესმა რა საქმე ესე ხვანთქარსა შეუძნდა ფრიად  
და წარმოაგდინნა უმრავლესნი სხანი თვისნი და უწინა ამირ-სხასა-  
ლარი ერთი ვინმე წარჩინებულთაგანი და მოვიდა ლორეს და ადი-  
ლო ციხე ლორისა და დაიპურა ლორე, მოვიდა და დაიბანაკა ხატის  
სოფლისა ბოლოსა.

მაშინ მეფე-მან სვიმონ შეკურა სხა თვისი, მივიდა და დაი-  
ბანაკა ხრამის ვადმა, რამეთუ მოიპოვა ღონე რამე მეფე-მან სვი-  
მონ, და მოირთო ელხად თვით და მივიდა ფაშას-თანა სვიმონ მე-  
ფისა მაგიურად და მიუთხრნა სიტუგანი დიქნისანი: ვითა თქვენცა  
გასმინ, თუ რადენნი ჭირნი და პურობილებანი და ტუგობანი

\*) სოდ უნდა. დ. ხ.

მწვეგნულ არიან უიზილბაშთა მიერ ჩემ-ზედა და აწ არდა-რა ძალ-  
მის ესე-ოდენი სისხლი და ბრძოლა ხვანთქრის და სხათა მისთა,  
რამეთუ საქმე ესე არა ნებითა ჩემითა მიქმნიან. არამედ მძლავრები-  
თა უიზილბაშთათა. ამიერით-გან არდა-რა მნებაჲ მონება უიზილ-  
ბაშთა და აღმირჩევიეს მორჩილება ხვანთქრის უფრეს უიზილბაშთა  
და აწ უკეთუ თქვენცა გნებაჲს შევრიგდეთ ღ ვიუფნეთ მშვიდობით,  
და აუწუეთ ხვანთქრსა დამონება ჩვენი, და ამიერით-გან ვიქმნებით  
მორჩილ ბრძანებისა მისისა.“ ხალხ ვითარცა ესმა ფაშასა მას სა-  
ქმე ესე განიხარა ფრიად და მიუმცნო შეუფსა სვამონს: „ვითარმედ  
კეთილად განგიზრახავს და ჩვენცა სარწმუნოდ გვიჩნს სიტყვა შე-  
ნი, აწვე გავრიგდეთ და ამიერით-გან იუფს მშვიდობა, ერთობა  
შორის.“ და წარმოვიდა მეფე სვიმონ სხათა თვისთა თანა. მაშინ  
განმისტრო ბანაკი იგი ოსმალთა და იხილა ყოველივე საქმე ესე  
და სიმაგრე მათი და სიმრავლე მებრძოლთა მათთა და მასვე დამე-  
სა წარვიდა მათ-ზედა, შემოვლთ ხატის სოფლის გორასა და დაეს-  
ხა თავსა ოსმალთა და მოსწუფიტნა მრავალნი ჰიროთა მახვილისათა,  
სხვანი შეიპყრნეს, უმრავლესნი და გაემარჯვა ძლიერად და იავარ-  
ჯუვეს ბარგი მათი და წარმოიღეს საშოვარი ურიცხვი და მოვიდეს  
გამარჯვებულად ტფილისს და განისვენა მცირედ და კვალად შემო-  
იყარა სხანი ქართველთანი და იუფ მაშინ ათაბაგიცა მანუჩარ სიძე  
მისი მის-თანა, წარვიდა და მიაღვა ციხესა დმანისსა, რამეთუ მა-  
შინ ოსმალთა ძლიერად ეპყრათ დმანისი და ციხეცა დმანისისა. ხალ-  
ხ აღიდა ციხე და დაიპყრა დმანისის ხევი და გარემონი ადგილ-  
ნი, რომელი ეპყრათ ოსმალთა. მაშინ წარვიდა ათაბაგი მანუჩარ და  
კვალად იპყრა საათაბაგო და განძლიერდა ფრიად მეფე სვიმონ.

ხალხ უამსა ამას შინა იყო მოსვენებით მეფე და ხრულიად  
საქართველო, რამეთუ გერდარა ძალ-უძქეს ოსმალთა მოსლვად საქარ-  
თველსა ზედა. ქორთიკონს ზედა სოე, აქა შა-ხუდაბანდის შვი-  
ლი ამზაი-მირზა \*) დალაქმა მოჰკლას. აქა მაწყოფრელი კაკზავნეს  
კასტანტინებლას და მესაპატონი კაცნი მძევლად მისცნეს. შალი-

\*) ჰამზა-მირზა. ჰსწერია სხვას. დედანშია. დ. ჩ.

კა-შვილი ედიშერ, შალიკას-შვილი ელია და ამილახვრის-შვილი ქა-  
იან და მძევლები დაუჭირეს და პატრონი მანუჩარ ველარ მიენდო.  
ამავე ქორონიკონსა ახალ-ციხე და გორი ადაშენეს ურუმთა, აგვის-  
ტოსა, დასაბამით-გან წელთა შვიდი ათას ოთხმოცდა ოთხმეტსა.  
მეფე სვიმეონ საშველად მოვიდა, ადარ-შეაბეს, მესხთა თემი დარ-  
ბიეს და წარვიდეს, ბევრ რიგი მოღალატე შემოადგეს პატრონს  
მანუჩარსა, ველარ დაუდგნა, და ახალ-დაბას ცოლი წაიფანა და წა-  
ვიდა პატრონი დედის-იშედი დედა, პატრონის უვარყვარეს-შვილი,  
პატრონი ქაიხოსრო, საკანაფეს ციხეში დადგეს და დიასამიძე-მ  
ელია დეომითას ციხეს საგაღინა-შვილი საღალატოდ შეუყენა, უღა-  
ლატეს, ციხე წაართვეს და ბევრი საქონელი და საღარო დაიჭირეს  
და გოგორის შვილმა ბეჟან ციხის-ჯვარი უკუ იჭირა და მისცა ფა-  
შასა, შემოგვიყენეს მოღალატენი და ველარც ჩვენ დაუდგოთ და  
ჩავედით ახალ-დაბას. მარტის ჩახვევარს გაზაფხულს უახეი ხუდაბანდის-  
შვილი, აბასი მირზა გამოვიდა, არდაველს მოვიდა, ოზ ბეგნი ხყა-  
რასანს წამოეჭიდნეს, დაბრუნდა, იქითვე წავიდა და თვალ-შვანიერს  
სამ-ჯერ გაემარჯვა, კიდევ დახოცნა, ხელთაც დაიჭირნა, უახეს მიუ-  
სხა, უახემა მამულიც დიდი მისცა და ჯილდოცა. მერმე პატრონი  
მანუჩარ ველარ მიენდო, ღონე ველარა მოიგონა რა, დაგვიწყეს მო-  
ციქულობა პატრონი დედის-იშედი და პატრონი ჩემი \*) შვილის-  
შვილი, პატრონი ქაიხოსრო გამოუგზავნე ახალ-ციხეს ფაშას-თანა,  
შობის წინა დღეს.

უიზილბაშთა განდევნეს შახხუდაბანდა უახეი, და დასდგეს მის  
წილად ძე მისი შაბაზ და გამოვიდა ესე შაბაზ და აღიღო თავ-  
რიზი და უოველივე ადარბადაგანი, თვინიერ ერევნისა და ბაღდადი-  
სა და იყო ფრიად მწყალბოულ შაბაზ მეფის სვიმონისა, და კვალად  
უფორსად გამდიდრდა მეფე სვიმონ და განძლიერდა და არდა-რა  
იყო მტერობა, რამეთუ ჭევეს მშვიდობა ალექსანდრე-მ, შხრობელ-

\*) უნდა პატრონისა ჩემისა, ან პატრონი მისი შვილი, ბატონი  
ქაიხოსრო. ნახე. Chr. Georg. p. 27. Paris 1892, publié par M  
Brosset.

მან კახეთისა-მან და მეფე-მან სვიმონ. რამეთუ უამის ამას მოკვდა  
ზატონი იმერეთისა გიორგი და დაჯდა კოსტანტინე, და მცირესა  
ხანსა შინა მოკვდა კოსტანტინე და დაჯდა ძმა მისი ჯეონ, ღ მტე-  
რობდენ ურთიერთას დადიანი მანუხარ და ჯეონ, მზერობელი იმე-  
რეთისა. რამეთუ ესვა ცოლად დადიანს მანუხარ ასული კახის ბა-  
ტონის ალექსანდრესი ნესტან-დარეჯან და ჰყვა დადიანს მანუხარს  
მას-თანა ძე ერთი, რომელსა ეწოდა ჯეონ. ამას უამის შინა მოკვდა  
ცოლი დადიანისა ნესტან-დარეჯან და შეერთო ასული ათაბაგისა თა-  
მარ.

ხოლო რაჟამს განძლიერდა მეფე სვიმონ, მაშინ განიზრახა  
დაზერობა იმერეთისა, შემოიყარა სხანი ქართველთანი და წარვიდა  
ზერობად იმერეთისა. სცნა რა ესე ჯეონ, მზერობელ მან იმერეთი-  
სა-მან, შეიყარა მანცა სხანი იმერთანი, თვინიერ დადიანისა, და გუ-  
რიელისა და წარვიდა და დაიბანაკა გოფანთოს და ეწევნენ ურთი-  
ერთას, იქმნა ბრძოლა ძლიერი და გაემარჯვა მეფესა სვიმონს და  
იფლტოდა ჯეონ, მზერობელი იმერეთისა. მაშინ დაიზერა მეფე-მან  
სვიმონ იმერეთი და გამოართვა დიდებულთა თავადთა მძევალნი და  
წარმოვიდა ქართლს. რამეთუ მას უამად გორის ციხე ეზურა ოსმალ-  
თა. ამის-თვის ვერა დაადგრა იმერეთს და ოდეს წარმოვიდა მეფე  
სვიმონ. მაშინ კვალად ჯეონ დაიზერა იმერეთი და აღიღო შურად  
დადიანზედა, რამეთუ არა თანა მწე ექმნა იგი მეფესა სვიმონს ზე-  
და, დაიწეეს მტერობა ურთიერთას, შეიყარა სამიერ მზერობელი  
იმერეთისა ჯეონ და იმიერ დადიანი მაძია, ეწევნენ ურთიერთას  
და გაემარჯვა დადიანსა და შეიზერა მზერობელი იმერეთისა ჯეონ  
და ზერობილ-ჰევეს იგი ოდიშს, ციხესა შხეფისასა და მუნ მოკვდა  
ჯეონ, ქრისტეს აქეთ ჩეფობ, ქორონიკონსა სულ \*).

სცნა რა ესე მეფე-მან სვიმონ შეიყარა სხანი თვისნი და გარ-  
დავლო მთა ღიხისა და ჩავიდა ქუთაისს, ქრისტეს აქეთ ჩეფობ, ქო-  
რონიკონს ხუთ \*\*). მაშინ ძმის-წული ჯეონისა ბაგრატ იყო ციხესა

\*) ცთომით არის წელიწადი იყო სოც, ქს. აქეთ ჩქ.

\*\*\*) სოთ. უნდა, ქს. აქეთ ჩქა.

შინა ქუთაისისა განმაგრებულე, მიაღგა მეუე სვიმონ ციხესა მას და ადიღო იგი, გამოიყვანა ბაგრატ, ძმის-წუელი ლეონისა და სხვანიცა მრავალნი თავადნი იმერეთისანი და გამოართო მსკულები და დაიზურა მტკიცედ იმერეთი და წარმოიყვანა ბაგრატ თანა და ოდეს მოკვდა მზურობელი იმერეთისა ლეონ უძეოდ, რამეთუ არა დაშთა თესლი მისი და არღარა-ვინ სხვა იყო სახლსა შინა მათისა, თვინიერ ძე კოსტანტინესი როსტომ. და რაჟამს წარვიდა მეუე სვიმონ ქართლს, ამან როსტომ შოიუნა დადიანი შამია ჭ მისცა ქალი და დიანსა და წარმოიყვანა იგი და გაბატონა და დაიზურა იმერეთი როსტომ, მიაღგეს ციხესა ქუთაისისასა და ადიღეს იგიცა.

ხოლო რაჟამს ესა მეუეს სვიმონს საქმე, შეიყარა და წარმოვიდა ამასვე ქორციონისა, გარდაღლო მთა და მივიდა რაჭას და ადიღო ციხე ჯვარისა და ციხე სკანდისა და ციხე კაცხისა, მივიდა ქუთაის და ადიღო ციხე და დაიზურა კვალად იმერეთი და ვერღარა დაუდგა როსტომ და წარვიდა ოდიშს დადიანისა თანა, მაშინ წარვიდა მეუე სვიმონ დადიანსა ზედა, ჩავიდა და დაიბანაკა ოფიშკვიტს დიდებითა და ძალითა მრავლითა და წარიღო თანა ზარბაზნები დიდ-დიდნი, სახელთანი, რომელი აწცა არის ზუგ-დიდს და უდიდესი ზარბაზანი ერთი არს რუხს დღესაცა. მაშინ დადიანმა მოუგზავნა მოციქული მეუეს სვიმონს: „და რა, რათამცა ჰატვი-სდვას მას და შეირიგოს სიძე მისი როსტომ და მისცეს საჩხო მამული, და იყოს დამონებულ ჭ მოჩილ ბრძანებისა თქვენისა, და მეცა ვიქმნები დამოჩილებულ, ვითარცა ერთი თავადი შენი ერთ-გული და მონა, მოჩილი ბრძანებისა თქვენისა და ესრეთ ერთობით დაიშვიდრო საქართველო, ვითარცა პირველ დავით აღმაშენებელმა“. ხოლო მეუე-მან სვიმონ არა მოიხსენია განლაღებულ-მან თქმული იგი სოლომონისა ვითარმედ: „რაჟამს ამდღედ ღუთისა მიერ, მაშინდა უფროს ჯერ-არს შენდა დამდაბლება თავისა შენისა“. რამეთუ არა უსმინა დადიანს განზრახვა იგი ფრიად სარგებელი მათი და უმჯობესი ზოგად უფუელთა-თვის. მაშინ სილადით და კადნიერებით მიუძნო მეუე-მან სვიმონს: „ვითარმედ ვერ ეგების საქმე ეკე, არამედ მოვსრულ ვარ ბრძალად თქვენდა, უკეთუ ძალ-გაძის

წინა-განწყობად ჩვენდა, აჭა უამი სიმხნისა თქვენისა“. ჰსცნა რა ესე დადიანმა მამია-მ შემოიყარა სრულიად ოდიშარნი და რომელნი თავადნი იმერელნი, თანა კარდაყოფილნი როსტომისანი, წარმოადგინა მართნეს მსწრაფელ და განთიადისა უამსა დაესხა თავსა მეფესა სულ მონს უგრძობელად. მაშინ მეფე სვიმონ და სპანი მისნი შესხდ და იქმნა ბრძოლა ძლიერი. არამედ ჰსძლო სამართალ-მან დადიანსა-მან და მიეცა გამარჯვება ქართულთა ზედა. რამეთუ ჰყვანდა ცხელი ორი რჩეული, ერთსა ეწოდა ფალავანი და მეორესა შურდანი, რამეთუ იყო მეფე სვიმონ მრავალ-გვარად გამოცდილი ბრძოლასა შინა და პირველსავე ჯარის მიდგომას სცნობდა, უკეთუ გამარჯვებოდ მაშინ შეჯდებოდა ფალავანზედა და უკეთუ დაუმარცხდებოდა, მაშინ შეჯდებოდა შურდანსა ზედა და წარმოვიდოდა და არა-ვინ უწყობდა ესე. კარსა საამ და თურქისტანის შვილი და მზერდა ესე თურქისტანის-შვილი საქმესა მეფისასა, რომელსა ცხენსა ითხოვნოდა და ესე იყო ჩვეულება მისი. მაშინვე მოითხოვა შურდანი. ჰსცნა რა ესე თურქისტანის-შვილ-მან, რომელი იყო კაცი ურმა, ახალ-ვაჟ-კაცი მზერდა საქმესა მეფისასა, მოახსენა: „რა არს მიზეზი შურდან-ზედა შეჯდომისა თქვენისა, ნუმცა მიხილავს თავლითა ჩემითა ლტოლ მრავალ ჯერ განმარჯვებულისა და სასკლავანისა თავისა თქვენისა და მე აქედამ შუბ-მოუქნეველი ცოცხალი არ წაკალა“. მაშინ მიმტკევა, გამარჯვებული შეისწრაფა რაზმთა შინა, ჰსცნა ოროლი და გარდაადგო კაცი და ქმნა სახელი დიდი დამარცხებულსა ოდიშის შინა, ხოლო მეფე-მან სვიმონ სცნა რა გაჭირვება ომისა და გამარჯვება მამია დადიანისა. მაშინ უკუნ-იქცა და წარმოვიდა მარტო თავ-კაცად, ამოვლო იმერეთი და მოვიდა კოლიბაურს. ხოლო ოდიშის წარმოემართა მეფე სვიმონ და წარვიდა ბრძოლად მამია დადიანისა მაშინ დაიბანაკა კოლიბაურს. მაშინ ერთ-მან ვინმე დედაკაც-მან კოლიბაურელ-მან მიაჩნოდა მეფესა სვიმონს შვილი თვისი და უკუნ-ევედრა დედა-კაცი იგი, რათამცა იახლოს და წარიუვანოს შვილი მისი. ხოლო მეფე-მან სვიმონ არა იახლა იგი და უარძანა: „დაელო ესე არა უწყვი, რომელ კაცითა მთვრალი ვარა“. და რაჟამ ოტებული მხოლოდ წარმოვიდა, მივიდა მუნვე კოლიბაურს. მაშინ

დედა-კაცი იგი სთონნიდა ახლს და იხილა დედაკაც-მან მან მეფე  
ვიმონ, მამავალი მარტო უკაცოდ, მიეგება დედაკაცი იგი და იცნა  
მეფე სვიმონ და ჰსცნა დედოფალ-მან მან დამარცხება მეფისა სვი-  
მონისა. მაშინ მთახსენა: „კელმწიფეო კაცისა-გან რომ მთვრალი  
ყო, ვეჭობ ახლს-კი გამოგთხიზლებია“. და რა ესმა მეფესა  
ვიმონს გაუკვირდა და მადლობა შეწირა ღმერთსა და წარვიდა. მა-  
შინ წარმოვიდა თურქისტანის-შვილიცა და ყოველნივე ქართველნი  
და მრავალნი ამოსწევიტეს მუნ და დაშთა მუნ მრავალი საუნჯე და  
დიდნი თოფნი და ზარბაზანნი, რომელი არს დღესცა ზუგ-დიდს.  
ხოლო მეფე-მან სვიმონ გარდავლო მთა ლისისა, ჩავლო ზემო-  
ქართლი მხლო-მან, თვინიერ კაცის და მივიდა კავთის-ხევის, რა-  
მეთუ დაშკრა და ვერდა-რა ძალ-ეფვა სჯვა, მიაღვა ერთსა მუნ  
მევიდრსა მტირეთაგანსა გლეხსა და ინება მუნ მტირედ-ჟამ განსკე-  
ნება და გამოვიდა სახლისა მის-გან ქალი ერთი და ვერა იცნა მეფე  
სვიმონ. მაშინ აწვია და უსადგურა კეთილად და მოუმზადა სერი და  
მართვა მას და მართვა მტირედი სასრდელი და მერმე მთახსენა  
ქალ-მან მან და ჰკითხა ამავი ლაშქრისა და მეფისა: „თუ მეფე რა  
იქმნ, ანუ ცოცხლებით არისო, ანუ გამოვიდა ომისა-გან მშვიდობი-  
ო“. ხოლო მეფე-მან უბრძანა: „არა უწეო რა მეფისაო“, ამისა  
შემდგომად ჰკითხა ქმრისა თვისისა და ანიშნა ნიშანი ქმრისა თვი-  
სისა და უბრძანა: „არა უწეო-რა მათი. თუ რა შეემთხვია ლაშქართა  
მეფისათაო“. ხოლო ქალი დიდად მწუნარე იქმნა და ტირიდა მე-  
ფისა-თვის უფრო, ვიდრე ქმრისა თვისისა და იტყოდა: „ნეტარ  
იუმცა ღმერთ-მან მიხედოს წყალობითა და გვადიხსოს მეფისა სვი-  
მონის ცოცხლებით გამოსლვა და სხვანი ყოველნივე სხანი მისნი  
ქმრისა მისისა სასაცვლო იუოსო“. მაშინ ფრად მხიარულ იქმნა  
მეფე გულსა შინა თვისსა ერთგულობისა-თვის დედაკაცისა მას და  
მარტო წარვიდა სახიდ თვისად. ამისა შემდგომად მოვიდა ქმარი ქა-  
ლისა მის და უყო წყალობა ფრადი მეფე-მან სიტყვითა მით ქა-  
ლისათა და უბრძანა ემა და სახელო და სხვა საბოძვარი მრავალი, და  
ერთ-გან აზნაურ-იქმნა კაცი იგი, რომელ აწცა არიან ქვლივი ძენი.  
ხოლო ესმა ღმრის ციხესა დამარცხება მეფისა სვიმონისა,



მაშინ გამოვიდეს და იავარ ჰუეეს რომელნიმე კერძონი საქართველო-  
სანი და დაიბანაკეს ტაშირ-ზედა და იყო სიხარულთ დიდი ოსმალ-  
თა შორის.

ხოლო მეფე-მან სვიმონ ჯვალად შემოიყარა მცირედი რამე-  
სხანი ქართლისანი, რადღეინცა დაშთამილ-იუენეს და წარვიდა ღო-  
რეს ოსმალთა ზედა უგრძობელად და ეწევნეს ურთიერთარს და იქმ-  
ნა ბრძოლა ძლიერი და გაემარჯვა მეფეს ციხე ღორისა და მარსის-  
იგინი შრითა მახვილისთა და დაიპყრა ღორე და წორ მრვიდა  
გამარჯვებული სხილ თვისდა ამის შემდგომად წარვიდა ზემო-ქართლს  
და მივიდა გორის-ჯვარს, რამეთუ უამს მას ეპყრა ციხე გორისა  
ოსმალთა. მაშინ მეფე სვიმონ დაჯდა მას ზედა გორის-ჯვარისსა  
და სმიდა ღვიხას- და სჭამდა თრიაქსცა, რამეთუ ესე ხვეულებს  
ესწავა ეიწილბაშთა შინა. ხოლო ოდეს განმხიარულდა ღვინითა და  
თრიაქითა, გახელა გორის ბოსტნებსა და იხილა ახალი მწვანვილი,  
მაშინ უბრძანა მეფე-მან მუნ მეოფთა. „აჲ რჩეულნო სხანო ჩემნო,  
ქართველნო, მნებას ახლადმოცნებული იგი მწვანვილი მალედად  
ჩემს წინაშე და რა საკადრებელს არს ესე სიმინის თქვენისა. ა-  
ესმა რა ესე ქართველთა, შეის ისწრაფეს და განვიდეს გად-  
მა გორის ბოსტნებსა შინა, დაგლიჯეს მწვანვილი. მაშინ დაუ-  
შინეს ოსმალთა თათართა დიდნი ზარბაზნი და მოკლეს კაცნი მრავ-  
ლანი, დიდნი და მცირენი, რამეთუ მუნ მოკლეს ბატონის-შვილი  
გონა, რომელი იყო ზანის-ძმის-წული მეფისა სვიმონისა და სხვა-  
ნიცა მრავალნი თავადნი და აზნაურ-შვილნი, ამასწუვიტეს მწარეს  
სახისა-თვის და მაშინ განკმეს მეფე სვიმონ და ამა სვიმონსა უწი-  
ნაცა სძრახველენ ჭკუასა ტყვეობას უკან, და ეიწილბაშნი და ოს-  
მალნი დულე სვიმონს უწოდდენ, რომელ არს ხელი. ხოლო შე-  
უძნდა ფროდ საქმე ესე და შემდგომად მცირედისა შემოიყარა სხანი  
ქართველთანი და გარე მოადგა ციხესა გორისსა და ბრძოლა უყო-  
ციხესა გორისსა, და აღიღო იგი და ამოსწევატნა უოველნი. ე-  
მალნი მეოფნი ციხესა შინა.

ხოლო ესმა-რა საქმე ესე ხვანთქარსა გარისსა და ფროდ ესეოდენისა  
სხათა მისთა ამსწუვიტისა-თვის, არა-თუ ერთ-გზის, არამედ მრავალ-გზის

დ წარმოვლინა ამიერ სპასალარი თვისი ვეზირი ჯაფარ-ფაშა დ გამო-  
ატანა თანა სიმრავლენი სპათანი ურტყვი, წარმოვიდენ და დაი-  
ბანაკეს ნახიდურს, მაშინ მეფე-მან სრულიად შემოიყარა სპანი თვის-  
ნი, მივიდა და დაიბანაკა თავსა სადირაშნისსა და მეტე განიზრახა  
თვის-გან საქმე არა კეთილი და არა აუწყა სპათა თვისთა, არამედ  
მინდობითა თავისა თვისისათა ჭეო საქმე ესე და არა ითხოვა ღუ-  
თისა მიერ შეწყვნა, რამეთუ ესრეთვე ქმნა მეფე მან სვიმონ და  
წარვიდა ათითა ცხენოსნითა მარტო, და წარიტანა ერთი საუვირისა  
მცემელი და მექანარე ეგულებოდა განმსტრობა ბანაკისა მის ოსმალ-  
თასა. მოვიდა და გადაადგა თავსა ნახიდურისსა, რამელ არს მცირე  
ეკვლისა, და მუნით-გან განიხილა ბანაკი იგო ოსმალთა. მაშინ  
ბრძანა მეფე-მან და აღრიგნეს სპანი მათნი. ხოლო ვითარცა ესმა  
ოსმალთა ხმა საუვირისა, თქვეს უცდილოდ მოსლვა მეფისა სვიმო-  
ნისა, შეიჭურნეს მემს და აღსხდეს ჭუნეთა ზედა, მოეტევენს ამიერ  
კერძოდ, სადა მდგომარე იყო მეფე. და რა ჭსტნა მეფე-მან მოის-  
წრაფა სპათა თვისთა-თანა. ხოლო მათ დევნა უუვეს ძლიერად, მიე-  
წივნეს და იხილეს მეფე სვიმონ, რამეთუ ცხენი მისი შთაფლულ  
იყო ღიასა შინა ბოლქს-ფარცხისსა და თვით მდგომარე იყო. ამას  
ზედა მივიდეს ოსმალნიცა და კარე-მოადგეს და იწყო ბრძოლად  
მხოლო-მან და რაოდენ ძალებდა აჩვენა სიმხნე თვისი, არამედ  
სიმრავლენი ოსმალთანი ზედა-დაესხნეს და შეიპურეს იგი, ქრისტეს  
აქეთ ჩქ. მაშინ ჭცნეს რა მეფობა მისი განახარეს ფრიად და  
მსწრაფად იხმიეს სიფლტოლა, აიყარეს და წარვიდეს ღორეს. მაშინ  
მიესმა ქართველთა საქმე, რამეთუ ვიორგი ძე მეფისა სვიმონისა  
მუნ იყო ქართველთა შორის, წარმოუტკეს ოსმალთა უკან და დევნა  
უუვეს ძლიერად და ვერდა-რა მიეწივნეს. მაშინ ოსმალთა აღიდეს  
ციხე ღორისა და შეაუენნეს მცველნი თვისნი და წარვიდეს და წა-  
რიუვანეს თანა ხოლო მეფე სვიმონ და მიიუვანეს სტამბოლს.

ხოლო ვიორგი ძე მისი განაკებდა ქართლსა, წარავლინა კაცი  
სტამბოლს და აღუთქვა სახსარი მამისა თვისისა. ხოლო მათ ჭსტოხ-  
ვეს სახსარი მრავალი და აღუთქვეს განტეგება მეფისა სვიმონისა.  
ხოლო ხვანთქარ-მან მიუმცნო მეფესა სვიმონს დადება ხარკისა სა-

ქართველსა ზედა, დამოწმებულ ბრძანებისა მისისა. ხოლო მე-  
ფე-მან სვიმონ არა ნება ჰქცა. ამის-თვის რომე უაენის ბეგარა  
ქართლსა შინა ამან განაწესა კომლის თავს გლეხ ზედ მარხილი ასი  
რამეთუ ამა თეთრითა იუიდეეს ტუგესა შვიდსა და წარუგზავნიდეს  
უაენსა. მაშინ გიორგი-მ, ძე მან მეფისა სვიმონისა-მან აღიღო ურ-  
ველივე საუნჯე მამისა თვისისა, ანუ რომელიცა თვისი ჰქონდა დ-  
სხვა, სადაც მონასტრებისა, საქონელი იყო, ანუ რომელიცა ქართ-  
ველთა დარბაისელთა ჰქონდათ, მოჰკრიბეს ზოგად და წარგზავნიდეს  
სახსრად მეფისა სვიმონისა, და ვიდრე საქონელისა მისლგადმდე  
მიცვლილ იყო მეფე სვიმონ საზურობილესა შინა და ესე-ოდენი სა-  
უნჯეცა მუნ დაშთა.

ხოლო იყო მუნ სტამბოლს ერთი გორელი ვაჭარი, რომელს  
ეწოდა დიაკვნის-შვილი და ამან იშოვა ძვალნი სვიმონ მეფისანი და  
წარმოიღო იგი და მოართვა გიორგის და დედოფალსა ნესტან-დამ-  
რეჯანს და ჰეგეს გლგოფა დიდი და დამარხეს სამარხოსა თვისსა მცხ-  
თას. ხოლო რომელმანცა მოიღო ძვალნი მისნი, იგი დიაკვნის-შვილს  
ყოფლი-თურთ სახლეულთ მისით გაასატეს და შესწირეს ბატონ-  
სანსა და ცხოველს მეოფელსა ჯვარის-მონასტრისა, საღვინებულსა  
და სახად მეფისა სვიმონისა და არაან აწცა გორს დიაკვნის-შვი-  
ლები ემანი ჯვარის-მონასტრისანი.

ხოლო გიორგი-მ დაიპყრა ქართლი და შეთობდა კეთილად  
ამისა შემდგომად შემოიყარა ქართველნი და წარვიდა ლორესა ზედა  
და აღიღო ციხე და დაიპყრა ლორე მეფე-მან გიორგი-მ. და ამ-  
უამსა შინა მიიცვალა მზურობელი იმერეთისა როსტომ, ქრისტ-  
აქეთ ჩქიდ და არა დაშთა როსტომს ძე. ხოლო ჰევა ნაშობი მხე-  
ლისა, რომელსა ეწოდა გიორგი და ესე გააბატონეს იმერელთა  
ამავე უამსა შინა მოკვდა დადიანიცა მამია და დაუშთა მას ძე ერთ-  
სახელით ლევან. ესე იყო ნაშობი კახი ბატონის ასულის ნესტან-  
დამრეჯანისა. ესე ლევან წარმოიფხვანა კახმა ბატონმა ალექსანდრე-  
ზაზა-მან მის-მან და აღზარდა კახეთს. ხოლო შემდგომად მამია  
დადიანისა, ესე ლევან ძე მისი წარმოიფხვანეს ოდიშართა და  
დადიანად. ამასვე უამთა შინა წარმოემართა უაენი შაბაზ

ერევნისა. მაშინ იხმე უაენ-მან მეფე გიორგი და კახი ბატონი ალექსანდრე სპითა მათითა, ღ წარვიდა და რა მოვიდენ დიდად მოეწონა შაბაზს სპანი ქართველთა და კახთანი, და უბრძანა უფელთა სპათა მისთა იერაშა ერევნის ციხისა. მაშინ სიმხნე დიდი აჩვენეს ქართველთა უმეტეს უზიღბაშთა და მივიდეს მეწინავედ და აღიდეს ციხე ერევნისა და დაიბურა შაბაზ ერევანი და შეაუენსა ციხესა შინა სპანი თვისნი. ხოლო სთხოვა შაბაზ მეფესა გიორგის ლორე და ციხე ლორისა და შემოუძნდა თრიალ და რამეთუ არა ეძლო უარი შაბაზისა, დასება ლორე და დაიბურა ციხე ლორისა შაბაზ და შეაუენსა სპანი თვისნი და მიიქცა სახილ თვისად.

რამეთუ იყო უაენი შაბაზ კაცი მზაკვარი და აღსავსე უოფლითავე სიბოროტითა- ზბრკულად ესე წყალობა უყო მეფესა გიორგის ერთგულობისა ნაცვლად მამისა თვისისა. მაშინ წარმოვიდენ მეფე გიორგი და კახი ბატონი ალექსანდრე საყოფსა თვისსა და შემდგომად მცირედისა წარმოვიდეს ძენი კახი ბატონის ალექსანდრესი და ვით და გიორგი და ესტუმრნეს მეფესა გიორგის, მამიდას შვილსა თვისსა. მაშინ მიეკებნეს წინა ავლახარში მეფე გიორგი და განიხარეს დასვა ურთაერთარს და წარმოუძვია და დააუენსა და ისტუმრნა იგინი კეთილად და უმზადა სერი დიდი და იყო ღზინობა და გამოჩვენება დიდი და ესრეთ იუვნენ დღესა რადენსამე და მერმე კვლად შინაგან თვისად მოაწვივნა იგინი და წარვიდა და ვით და რადენსამე კახნი იახლნეს თანა. ხოლო გიორგი მიზეზ-ჭყო სნეულება ბევრთა ღვინისა სპათა მიერ და არა წარვიდა. მაშინ შეექცეს ღზინსა იგინი. ხოლო გიორგი-მ უმცირეს-მან ძმა-მან დავითის-მან განიზრახა ზრან-ტა ბოროტი აღჩეკა, განდო ერთგულთა უპათა თვისთა, რამეთუ იყო ესე გიორგი კაცი გამცემი და მოუვარე უმათა და იუვნენ კახნი უმრავლესნი ამის კერძო და ერთგულნი დიდად. ხოლო უხუცესი ძმა მისი დავით იყო კაცი კადნიერი და მრისხანე. ამისთვისცა დიდად ერთგულ-იუვნენ გიორგისა კახნი. მაშინ შემოიფიცა ერთგულნი უმანი თვისნი გიორგი-მ ღ დასკვნეს დალატად სიკვდილი დავითისი და მესა მას, რამეთუ ეგულუბოდათ ღვინითა მთვრალსა დალატი დავითისი და იმარჯვებდა უმისა აღსრულებად ძმისა მკვლელებრთა გუ-

დის-სიტყვათა, წარმწემედელთა სულისათა ხელთ იყო ვინმე მათ შინა მეოფი ღმრთის-მოყვარე კაცი, ჩოლოყა-შვილი და ამან არა თავს-იღვა დათარგვად საქმე ესე, არამედ წარვიდა და აუწყა დავითს და-ლატა იგი, მის-თვის განმზადებული. მაშინ დავით ადგა მუის სკრისა მის-გან და წარმოვიდა, რამეთუ ვერა აგრძნა საქმე ესე მეფე-მან გიორგი-მ და მივიდა დავით კარავსა ძმისა თვისისა გიორგისსა და იხილა ძმა თვისი აღჭურვილი კარავსა შინა და ჭრჭყა დავით: „ძმაო, ვის-ზედა აღჭურვილ ხარ, ანუ ვის ზედა მიმავალ ხარ ბრძო-ლად“. ხელთ მან ვერა რა სიტყვა უგო და შეიხურა იგი და მის-თანაცა შეთქმულნიცა იგი კახნი, და წარიყვანა იგი ღმრთის-ციხისა შინა თორღასა და თორმეტნი უმანი მისნი ჭეთის-ციხიდანა გარდმოყარნა და დახრცნა, ღმრთით დაიხურა კახეთი და იქმნა ურჩ და წინა-აღმდეგობა მამისა თვისისა აღექსანდრესი, რამეთუ მძლავრე-ბით მიუღო კახეთი და თვით დაიხურა და იბატონა თთვესსა ექვსსა, და მეტე ურჩებისა მის-თვის ეწია მსწრაფელ გულის-წყრომა ღმრთისა და მოკვდა იგი და შემდგომად კვალად იხურა კახეთი აღექსანდრე-მ და გამოიყვანა ძე თვისი გიორგი, ზატომარი ციხისა-გან და რამეთუ სხვა არდა-რა ჭევა ძე თვინიერ მისსა.

ხელთ დავითს ესვა ცოლად ასული მუხრანის ბატონის აშო-თანისა, და ესე იყო ღვაწლ-მრავალი და სამ-გზის სანატრელი, დე-დათა შორის ახვანი, დედოფალი და მოწამე, უოვლად-ქებული, ქეთევან და ამას დაუშთა დავითის მიერ ძე ერთი, უმა მცირე, თე-იმურაზ და ფრიად შიშნეულ იყო და ზრუნვიდა ქეთევან მხელად-შობილისა ერმისა მამისა-თვის: „ნუ უკვე ძვირი იხსენოს გიორგი-მ“. რამელ ჭეო ძვინად მის-ზედა დავით. ამის-თვისცა ქეთევან იხმია გონიერება კეთილი და წარგზავნა ძე თვისი თქამურაზ შაბაზ უაენ-თანა და წაჭრევა თანა შეკმისან ჩოლოყა-შვილი. ხელთ მივიდეს რა დიდად ზატოე-ჭისცა შაბაზ და ითვისა, ვითარცა ძე თვისი, რამეთუ მაშინ დიდად წადიერ იყო შაბაზ და ღმრთე ჭეოფოდა დახურობად საქართველოსა. ხელთ აღექსანდრეს, მხურობელსა კახეთისსა. ზიკველ-ოდესმე მიეცა ძე თვისი კოსტანტინე შაბაზ უაენისა-თვის და აღე-ზარდა ჭსჯულსა თვისსა ზედა. ესე კოსტანტინე წარმოგზავნა შა-

აბაზ და წარმოატანა თანა სპანი შიკვანისა და უარაბადისანი და ხელითა კოსტანტინესითა წარმოეგზავნა მამისა მისსა ალექსანდრეს ხალათი. მაშინ შაბაზ მზაკვარებითა თვისითა აღჭურა და ამცნო კოსტანტინეს: „ვითარმედ არღარა-ვინ დაშთომილ არს სახლსა მამის შენისსა, თვინიერ შენსა, წარგედ და უღალატე მამისა შენსა და ძმისა შენსა, დაიჭარ შენ-თვის კახეთი და მეცა ვიუო თანა-შემწედ შენდა და მიიღო ჩემ-გან ჰატივი და წყალობა ურიცხვი“. ესე აცთუნა ბორცო-მან მან და წარმოგზავნა მკვლელად მამისა და ძმისა თვისისა. ხოლო მან უბადრუკმან ირწმუნა განზრახავი ესე ბორცოტი. ჰი! დიდი ესე უგუნურება, რამეთუ ვინ სადა იხილა, თვინიერ სუფულთა და ხელ-ქმნილთა, რათამცა საწმუნო იქმნა განზრახვათა მტერისათა. მაშინ წარმოემართა კოსტანტინე და რა მოიწია საზღვართა კახეთისათა, მაშინ წარავლინა კაცი და მოუმცნო მამისა თვისსა ალექსანდრეს: „ვითარმედ წარმოვედ დასტურითა შაარითა შაბაზისათა, რამეთუ ფრიად მსურის ხილვად შენდა“. მაშინ ფრიად განიხარა ალექსანდრე-მ და წარვიდა და თანა წარიუვანა ქე თვისი გიორგი და შეეკებნეს წინა, იხალეს რა ურთი-ერთარს, განიხარეს სიხარულითა დიდითა და განისვენეს მცირედ. მაშინ მიუძღვანა კოსტანტინე-მ ხალათი იგი, რომელი წარმოეცა შაბაზს ალექსანდრეს-თვის და იუვნენ მუნ შვებით და სიხარულით. ხოლო კოსტანტინეს აფოთებდა ბორცოტი იგი გულის-თქმა და აღდგა მკვლელად მამისა თვისისა და ძმისა. დღეს ერთსა განაზრახა სპანი იგი შირვანელნი და განიგულა წარწემდა სულისა თვისისა და სიკვდილი მამისა და ძმისა თვისისა. მაშინ მიუწოდა ალექსანდრეს და გიორგის.

დასასრული „ქართლის ცხოვრებისა“.

ზ ი მ ა ტ ი ბ ა \*)

მოხსენებული 450 გვერდსა, 2) შენიშნულებაში.

და თვით იშეებდეს, იხარებდეს, ნადირობდეს და სუფიეკდეს.

ულუმზიანთა და შუნისა და სვიანისა და ბედიანისა თამარ და დავით  
ორთა შჯლთა ნათელ-მოსილთა და მბრწყინვალეთა. აწ თქვას სიტ-  
უგა-მან ესეცა საქნურ და საბრალთ ვინად-კან სიბრძნედ შეცნეო-  
ბად ნათესავისა აკარანთასა საქმე გრძიებისა და მოკმობისა განს-  
წავლილთა იონის ასირკან, რომელ ნებროთ იხილა კიდესა ზღვისასა  
და გურთასა ზე და დროსისა შემდგომითი-შემდგომად არნ მხი-  
ბაგნი, მწამლველნი და ვარის მუთუელნი დვთისა. აქაცა რწმენა ვინმე  
დიდ-ძალისა ოქროსა ქაღებითა ბუბუქარ ათბავ უოფილ-მან და ნახ-  
ჭევანს გარდახვეწილ-მან მოწამლვა და სიკვდილი ძმისა მისიისა  
ამირ-მირანს, და მისცეს წამალი სასიკვდილს, დასწუელდა და კაკლავ-  
ნეს კაცი მტრობელი, და მუნით დიდითა შიშითა და ზარითა ასმი-  
ტის-კან გბილნი თართახნი ძლივ სადმე მოვიდა მთასა კზისსა, სა-  
ნახებსა განძისასა, და ცნეს დასტური სიკვდილი. მოვიდა განძას,  
გავიდეს და შეებნეს უმანი ამირ-მირანისნი, ეულნი, და ზოგნი და-  
ხოტეს, და ზოგნი გარდახვეწნეს. თვით მოიფიცა განძა და გამაგრ-  
და. შიშითა მანდა არა დამოფნელი ხანისა, გავიდა ჯერეთ უმეტარი  
ამირ-მირანისა სიკვდილისა, არად მხედვი მტირეთა უოფლისა, კაე-  
მართა და მოვიდა შენქურამდი. და მუნით მოეკებნეს დიდებულნი  
არა-რისანი მტირალნი და ამსმელნი თავსა ნაცრისანი და ქვადრეს:  
„უამად აღა-რა იქნებისო. სიმაგრეთა ესე წაუსვამთ, და ბუბქრს აღარ-  
სად დაუდგნა ამას ქვეყანასა“ - მაშინ შემოიქცა მეფე დიდებულთურთ,  
მოვიდა წინაშე თამარსა, მსგავსად ალექსანდრეს-ვით დასდვა ზატივი

\*) ეს დამატება — ძველთაგან „შემატებად“ წოდებული მოქცეულია  
„ქართლის“ ცხოვრების“ ბოლოს. ეს დამატება აკადემიკის ბროსეს გა-  
მოცემის 310 გვერდს ეკუთვნის, ე. ი. თამარ მეფის მეფობის აღწერას,  
სადაც შობა რუსთველის იამბიკო „ცასა ცათასა“ თავდება. ეს ადგილი  
ჩვენს გამოცემაში მოქცეულია 450 გვ. ზ. ზ.

დიდ არეს ღუსკემის შინა ჯდომითა, ეგრეთვე შავითა შეიძოსა სა-  
თელი-იგი პირველი სათლისაცა უბრწინვალესი და დიდითა ტრემ-  
ლითა მოიტინსა დიდებულნი ხასჯიანნი და მონანი ამირ-მირნი  
ეულნი დიდითა ზატეფითა და სიუვარულითა დაიჭირნეს.

ხოლო ივანე მკარგძელი, მკნე და ბრძენი იყო ომთა ლაშქ-  
რობისა საქმეს შინა. მოჰმართა და გავიდა გელაქუნად, მცირედითა  
ლაშქრითა, და დადრს (sic) ვითარცა მან მამზირალ-მან ბრჭალსა  
მტერისასა, ვით ლეკუ-მან ლომისა-მან, ძეთა ისრელისათა ძეთა-  
თჳს ბენიამენისთა, და რააა ვინ იხილა თანა-ემა ფიცხელი. ამას  
შინა თუთ ივანე მდგომ-მან მსახურობისა შინა იხილა ლაშქარნი შო-  
რის ჯგამდათ (sic) კეცად უფროს ლაშქართა მისთასა მომავალი  
კანძით და მომავალი ქვეუნასა დაფნისა (sic) სურმის მისის გუი-  
რობისა და შოგისის. თუთ ბლბნი გასრდილი ერთგულს ათაბაგისა,  
ლომი ჭახუკი, ზატრონი დეგნისა და სომხითისა, ძმა სურმანელისა  
სურმანელითა ლაშქრითა, ალიბური, შამი, დიდად მეოფი კაცი, მმარ-  
ჯგე, ეგრეთვე დროშის ზატრონი, ვინათ-გან კაცი გულ-შეკეტი იყო,  
არ დახედნა სიმცროსა მათსა და უფროსობასა მტერთა მათთასა.  
და გამომკდომ-მან დაფანჩნა და დაფანტნა (sic) ვითა წერონი ტულ-  
რილ-მან, და ვითა ჯოგი კანჯარისა ლომ-მან. დაკოტნა, ამოსწუჯნა,  
და რისიჳა დვთისა მოაფლისა თავსა მათსა ზედა, თუთ ბლშნ (sic)  
ლაშქარნი და დროშანი. მკურდრისა-გან კიდე კაცნი ცოცხრალი ოთხი  
მოიღო. თუთ-მხურთბელთა გინამცა გაიხარნეს დიდად, წუალობათა  
მიმცემელთა ღმერთსა შესწირვიდეს მადლობა ჟერვანი.

შეიყარა მეფე სპითა იმავრთა და ამაერთა, ქვეუნასა კანძისასა,  
და თამარ ჩავიდა, და ვირემდი წინაშე მოვიდა შარგშეთს სამსახუ-  
რად, და გაგზავნა ლაშქარი. შემოქცეული დადგა აკრათა, მორჭ-  
მითა და სუფეფითა, და მივიდეს კარსა გარნისასა, ამწეუკედელთა და  
მთხრელთა არნისათა. დაევეს კარსა ქალაქისასა დღე ოც და ხუთი.  
ცალკე ივანეს მსახურთა-უხუცესი დიდთა ლაშქართა და ურიცხუსა  
აღათსა შინა გამომკზავნელ-მან საჩინელნი დიდებულნი მოიტანნა  
წინაშე მეფისა. რამეთუ განმაქარგებულნი არისანი და კანძისა, სხვა-  
თა ქალაქთა-გან ხარჯაა, ძლეულნი სამეფოდ ძლევა-შემოსილნი შარ-



გაშეს თანა მომტანიდნი. მაშინ უბოძა საბოძვარი და შემოსეს მრავალ მრავალფერ კატხავსეს შინა, ზატოფითა, და წარვიდეს ღისთიმერეთს. შთასრულთა ზღვაჲ ზონტოსა, მოერგეს და მოირჭუნეს დიდად და კარგათ. ყინათ გან ქვეყანა არტანისა, ძანინის-კევისა, ზაღაკაციო წავლო თურქთა.

და თამარსა გონებითა და განზრახვითა ბრძენი და დავიწოდებოდა მას უბოძს მკლველი კობ (sic) და მიმუაწია მარბიელ-მან ბასიანამდის, და უარაბადშამდი, ავსილთა დაიბანაკეს სისხლისა მუცელსა. აწცა იხილვებდა მსგავსადვე ძველ-მდესმე თქმულისა და მქონულისა ქვეყანა და საყოფი მათი, ყითარცა სისხლის მუცელი. ამათ ძლეფითა, გამარჯვებითა, იგი უმაღლად იზოებოდა გამმარჯვებლობისა მისისა. არამედ დიდ-გუნება იყო საკიზატრის მზერობელთა შორის უსახინოესთა ესე თამარ <sup>1)</sup>.

ქ. სამი დედანი ვსახე, ამის მეტი არ ეწერა და სიტუვანიცა და ლექსნიცა ესრეთ ეწერნეს. სხვა-თჲ არის სადმე მეტი და ან თვით ამისსაჲე ავქსონისა ლექსა და სიტუვას დაუწუნებთ, თქვენ იციით და მან. მე შენდობილმცა ყიყო, აღმწერი აღმვითხაგთა-გან, ცოდვილი 'საქარია, ძე დეკანოზისა, უდიდსი მღვდელი. აგვისტოს, წელსა ქრისტესით ჩდჲა. 1761 წ.

<sup>1)</sup> Ici fini l'addition; le texte qui suit est dans un état déplorable d'altérations et de fautes les plus grossières.

## ქართლის ცხოვრების გამოცემის შესახებ.

ამ თექვსმეტი წლის წინეთ, შემთხვევით მოვიპოვეთ მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრების“ ახალი ვარიანტი, ეს წიგნი გაყიდულ იქმნა უბრალო ფასად. მერე პატრონისაგან დ. ბაქრაძემ იყიდა „წერა-კითხვის სამართველოს“ საკუთრებად. ამ წიგნის პატრონისგან ერთი სხვა ძვირფას წიგნის შესყიდვას კი ვერ მოვასწარიტ, თუმც პატრონთან ვერაზე დ. ბაქრაძე და მე ორჯელ ვიყავით, მაგრამ მეორეხელთ-ნაწერის ყიდვა კი ვეღარ მოვახერხეთ, თუმცა განსვენებულმა 25 მ. დაუნიშნა წიგნის ფასად, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, პატრონი გარდაიცვალა და წიგნიც სამუდამოთ დაიკარგა. ეს ძვირფასი წიგნი იყო ვრცელის ტანის, „დაბადების“ ზომის. ვახუშტის გეოგრაფიის და ისტორიის ახალი ვარიანტი, დაბეჭდილებზე ბევრათ ვრცელი, დავით რექტორისგან გადაწერილ-შეგვებული.

მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრების“ ხელთ-ნაწერი დარჩა „წერა-კითხვის სამართველოს“. მე დიდი სურვილი მქონდა, რომ ეს ხელთ-ნაწერი და აკადემიის გამოცემა ერთად დამებეჭდა, ერთს ფურცელზე ნახევარი მარიამ დედოფლის ვარიანტის და ნახევარი აკადემიკის ბროსეს გამოცემის, მაგრამ ესეც ვერ მოხერხდა, რადგანაც ასეთი გამოცემის ხარჯი 2500 მ. მეტს მოითხოვდა. ასეთ გამოცემას მე საუკუნოთ დავეთხოვე. განვიზრახე მარტოთ აკადემიკის ბროსეს გამოცემის მეორედ დაბეჭდვა, ამის გამოცემა მით უფრო გავბედე, რადგანაც „წერა-კითხვის სამართველომაც“ იკისრა მარიამ დედოფლის დედნის გამოცემა. მიზანი მათის გამოცემისა არის ის, რომ მან თავის შენიშვნებით უნდა უტყუვრად დაამტკიცოს, რომ აკადემიკის ბროსეს გამოცემა არის ძველი

## II.

დედანი „ქართლის ცხოვრების“ და არა ვახტანგ მეფის შედგენილი, როგორც ეს გავრცელდა ქართულს და უცხო მწერლობაშიაც. ერთის სიტყვით ამის ასახსნელად საჭირო იყო ერთის გამოცემბც და მეორესიც, რომ მკვლევართ შესძლებოდათ ორივეს მოპოვება და ერთ-მანერთთან შედარება. მა- რიამ დედოფლის ხელთნაწერს ბეჭდვა მოელოდა და აკადე- მიის გამოცემის კი ეს ათი წელიწადი მეტი იქმნება რაც წიგნის შოვნაც არ იყო.

თუმცა ამის გამოცემაც, რომლის გვერდთა რიცხვი 750 გვ. გამოვიდოდა, 1500 წიგნისათვის საჭირო იქმნებოდა 1000 მ. რაც მე ერთობ გამიჭირდებოდა, მაგრამ საქმის სიყვარულ- მა გამაბედვინეს მის ხელის მოკიდება და გამოცემა მით უფრო, რადგანაც ამ საქმისთვის მთელს საქართველოში ხელის მო- წერაც იყო გამართული და 500 ხელის მომწერიც ჩნდებოდა, რის შემოსავალი ნახევარ ხარჯს მოგვაცლიდა თავიდან, მაგ- რამ ესეც ვერ მოგვიხდა. ჩვენს ნატვრას ორი არა კეთილ- მოყვარე პირნ აეწინააღმდეგნენ, ერთის ქართულის გაზეთის საშუალებით კიცხვა და გმობა დაგვიწყეს, რომ „ქართლის „ცხოვრების“ გამოცემას თავი დაანებეო! მე მათ პასუხით აუხსენ საქმის გარემოება და ვაუწყე მიზეზები ჩემის გამოცე- მის, მაგრამ მათ ვერც მარიამ დედოფლის ვარიანტისა გავა- გებინე რამე, ვერც სხვების. ხელის მომწერთ რიცხვი კი დააფრთხეს. 500 მაგიერ ძლივს 150 შეიკრიბა, ისიც პირველ წიგნზე, საიდანაც სულ იქმნება 100 მ. იქმნეს აღებული. მე მაინც გამოცემას თავი არ დავანებე, გამოცემას შეუ- დექ და ერთ წიგნათ გამოსაცემი სამ წიგნათ დავბეჭდე.

ეხლა მკითხველმა საჯოს, თუ რამოდენათ სამართლიერი იყო ჩემი ხელის შეშლა, დაცინვა და მასხარათ აღება. უგვან და უზღველ კიცხვა გმობას ბევრმა ყურადღება არ მიაქციეს, ამ საქმისთვის დიდათ წამახალისეს ბ. ბ. სოლომონ დოლიძემ, ვლადიმერ იოსების ძე ყიფიანმა, ლ. ბოცვაძემ და ლავრენტი ანტონის ძე ბერძენიშვილმა, რომელიც უდროვოთ იქმნა და-

### III.

ღუბული და წელს 1899 ზაფხულს გარდაიცვალა. ამით შემიწყვეს ხელი და შეძლების-დაგკარათ ხელის მოწერაც გამართეს. გამოცემა დარჩა ძველის რედაქციით, ე. ი. აკადემიკის ბროსეს გამოცემიდან უცვლელათ გადავბეჭდე, ზოგი რამ შეცდომები კი ავაცდინეთ.

აქამდის ამ „ქართლის ცხოვრების“ წიგნს კაცი 7—8 მ. ნაკლებ ვერ იშოვიდა. ხილვაც არ იყო მისი. დღეს ეს ღირს 1 მ. 80 კ. ამ ფასად მაღაზიებში ისყიდება, ვინც ჩვენგან შეიძენს, იმას მანეთზე 30 კაპ. დააკლდება, მაშასადამე მთელი „ქართლის ცხოვრების“ შეიძენა ჩვენგან 1 მ. 27 კაპ. შეიძლება. ვინც დააკვირდება 750 გვ. წიგნის ხარჯს. ვგონებთ ის ცხადათ დარწმუნდება, რომ ეს გამოცემა ძვირი არ არის. მადლობას უძღვნი ზემოხსენებულ პირებს ვინც ამ საქმეში ხელი შეგვიწყეს, ღონისძიება მოგვცეს „ქართლის ცხოვრების“ სახალხოთ გამოცემისთვის და პირველ წიგნზე ხელის მომწერნიც მოიპოვებს.

ეხლა, ჩვენ, სამარადისო სანატრათ მიგვაჩნია ის, რომ როგორც „ქართლის ცხოვრება“ დავბეჭდეთ, ასევე გამოვსცეთ მეორე ტომად წოდებული „ქართლის ცხოვრებისა“, რომელიც შეკრებილ შედგენილია ვახტანგ მეფის დროს და გამოცემულია პეტერბურგში პროფესორის დავით ჩუბინოვის მიერ. ამ წიგნში მოთავსებული იქმნება შემდეგ აღწერანი:

1, ისტორია საქართველოსი, აღწერილი ვახუშტის მიერ. ამით დამთავრდება დ. ბაქრაძის რედაქციით და გ. ქართველიშვილის გამოცემული ვახუშტის ისტორიის პირველი ტომი.

2, ისტორია, აღწერილი პაპუნა ორბელიანისა.

3, ისტორია, აღწერილი ფარსადან გორგიჯანიძისა.

4, ისტორია აღწერილი სენხია ჩხეიძისა.

5, ისტორია, აღწერილი ომან მდივან ზეგისა.

ყველა ესენი ერთს ან ორ წიგნათ გამოიცემა, გარემოება როგორც შეგვიწყობს ხელს. პაჭრი გვაქვს, რომ ამ ის-

#### IV.

ტორიის გამოსაცემად ხელის მოწერა გაგმართოთ. ვიტყვით  
იმასაც, რომ ამ ისტორიების გამოცემით საქართველოს ისტო-  
რიის მოყვარეთ და მკვლევართ დიდი მასალა მიეცემათ ჩვენის  
ქვეყნის ისტორიის შესახებ.

ფ. ჯ.

თფილისი

მადლ-ყოფლად უსამღვდელოესი გურია სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე.

კირიონი, ეპისკოპოსი ალავერდისა.

ლეონიდი ეპისკოპოსი კორისა. დეკანოზი ზეტრე კანტოშვილი ილიტბედი

დეკანოზი სოლომონ შოშიუვი.

მღვდელი ნესტორ მაჭარაშვილი.

მღვ. გრიგოლ კამდლიშვილი.

მღვ. დავით გარსიევი.

მღვ. ალექსანდრე მალაღინოვი.

მღვ. ნესტორ თათებაძე.

მღვ. ალექსანდრე ტატუნაშვილი

მღვ. ილარიონ ჭაში.

მღვდელ-მონაზონი გაბრიელი.

მღვდელ-მონაზონი სპირდონი.

კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი.

მიხეილ ზეტრეს ძე ისარლოვი.

თაფ. ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძე.

თაყადი დავით ალექსანდრეს ძე სუმბათოვი.

თაყადი იასონ ტიტოშვილი.

გნეინა ალექსანდრე შაკარის ასულორ მედიკოსისა.

თაფ. ალექსანდრე დავითის ძე ჭავჭავაძე.

თაფ. ზაქარია გიორგის ძე ერისთავი.

თაფ. ივანე კიეის ძე ამილახვარი.

თაფ. დავით გურამიშვილი.

იაკობ ზეტრეს ძე ისარლოვი.

ნიკოლოზ ყაუიკაშვილი.

ალექსანდრე გიორ. ძე მასიკოვი.

ნესტორ ცხეკლიანი.

ალექსი ალექსის ძე დავიდოვი.

თომა გიორგის ძე ალექსი მესხიშვილი.

სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილი.

დიაკონი ალექსი სამადალოვი.

სერაფიონ ცაგარეიშვილი.

ნიკოლოზ არს. ძე მატათიევი.

გ ა ნ ჯ ა ს

ალექსი ჟუღელი.

მიხეილ მიქაბერიძე.

ალექსანდრე თათურაძე.

ივანე გოგობია.

გიორგი ბაქრაძე.

ზაქარია ქერხული.

სარდიონ აბულაძე.

ერმალოზ კენძეხაძე.

თეიმურაზ ნოდია.

ნესტორ ცხვირაგაშვილი.

ივანე კიკნაძე.  
 მერაბ წურწუშია.  
 სოფრომ კანდელაკი.  
 სოლომონ უაზბეგი.  
 თ. მიხეილ მანაბელი.  
 გიორგი ზაღდასტანიშვილი.  
 დავით გოცირიძე.  
 ვასილი ჯაფარიძე.  
 შაქრო უზნაძე.  
 ალექსანდრე მიქაბერიძე.  
 ილია წერეთელი.  
 ნიკო ბაქრაძე.  
 ალექსანდრე სარაჯიშვილი.  
 იასონ ამაშუყელი.  
 გრიშ ადვიშვილი.  
 იაკობ გოგიბერიძე.  
 იოსებ კეზელი.  
 მისეილ ჯავახიშვილი.  
 გიორგი სუხიტაშვილი.  
 ნიკო გვარამაძე.  
 კალისტრატე ჩიქოვანი.  
 იოსებ კანჩუხიძე.  
 ვასო გეთაშვილი.  
 იაკობ ხუციშვილი.

სიმონ ხოშტარია.  
 ალექსანდრე ხოფერია.  
 მიხეილ ცხვედაძე.  
 ზოსიმე სურმაჯა.  
 გიგო ცხომელიძე.  
 ტარსი ცქიტიშვილი.  
 იოველ მესხი.  
 ალექსანდრე შარაბიძე.  
 კოტე ჯიანია.  
 იოაკიმე სვანაძე.  
 კოსტა ცხფრებაშვილი.  
 ზეტრე მეძმარიაშვილი.  
 თეიმურაძე დიდიგური.  
 ლევან ფურცელაძე.  
 ივანე ზაზაჯა.  
 სამოელ გოგვაძე.  
 ბესარიონ თოფურაძე.  
 ვასო ფანჯავიძე.  
 ესტატე ტატიშვილი.  
 გიორგი ბერიტოვი.  
 რაჟდენ ვაშაკიძე.  
 ალექსანდრე ჩარკვიანი.  
 სოლომონ დოლიძე.

## კ ა ვ კ ა ვ ი ს

ლ. ბოცვაძე.  
 იასონ ლორთქიფანიძე.  
 იოსებ ბერძანაშვილი.  
 ზარტენ გოთუა.

სპირიდონ სხირტლაძე.  
 სიმონ თეთრუაშვილი.  
 ივანე იფურაძე.  
 გიორგი ბარათაშვილი.

კრიგოლ ტეკვაძე.  
 მარკოზ მარკოზაშვილი.  
 სტეფანე ორკოდაშვილი.  
 ალექსი ბერბერაშვილი.  
 ივანე ფიცხელაური.  
 შაკირ კვიციანიძე.  
 ირაკლი უშვერიძე.  
 სოლომონ ბესიაშვილი.  
 ლავრენტი დუმბაძე.  
 თამა ახოხაძე.  
 შაქარია კერესელიძე.  
 იოსებ ბაქრაძე.  
 ადამ გელევანიშვილი.

ვანო გუბნელაძე.  
 ბიქტორ ანაბიძე.  
 ივანე ჩითაშვილი.  
 ილია მოსულიშვილი.  
 დავ. სეფერეული.  
 ბუღ. ევანგულოვი.  
 ფ. მესხიშვილი.  
 ი. ბარახსტი.  
 ა. გულბაათაშვილი.  
 დ. ნაცრაშვილი.  
 გ. ჯონჯოლაძე.  
 ს. გოცირიძე.  
 ა. შაქაძე.

ქიათურა.

გიორგი ესტატეს ძე ლომაძე.

ბათუმს

ნატალია ყოყიკაშვილისა.  
 კოსტანტინე აბდუშელიშვილი.  
 ლავრენტი ხუნგია.  
 ლავრენტი ბერძენიშვილი.  
 ილონ ბერძენაშვილი.  
 ერმალოზ ბერძენიშვილი.  
 ალექსანდრე თათარაშვილი.  
 ნესტორ სიხარულიძე.  
 რაჟდენ ქანქლაძე.  
 იაკობ აბესაძე.  
 მიხაილ გვერტაძე.

ვანო ლაზაშვილი.  
 სერგეი დონაძე.  
 ზანტელიმონ თოდრია.  
 გიორგი წიტიაშვილი.  
 სერგეი იმნაძე.  
 გიორგი თოძე.  
 ივანე სიმონიშვილი.  
 ხარიტონ გორჩილაძე.  
 ექიმი კრიგოლ ელიაშვი.  
 ს. შხეიძე.



VIII.

ბორჯომი.

ბლად. სერგი დავითაშვილი.  
 მღვ. სევერიან ღვთაშვილი.  
 მღვ. ჰავლე სუციშვილი.  
 ნიკოლოზ ლევანის ძე აბაშაძე.  
 ვასილი ძაწენიძე.  
 ერმალოზ ჭუმბურიძე.  
 ნიკოლოზ ჯომარდიძე.  
 ალექსი მონიავა.  
 სანდრო ყანდაურიშვილი.  
 პეტრე რუხვაძე.  
 ზაზა კიკინაძე.  
 ვასო ხმალაძე.  
 დიაკონი გიორგი მაწუკატოვი.  
 მარიამ მძინარაშვილისა.  
 თ. ალექსანდრე ხერხეულიძე.  
 ანდრი ჟვანია.  
 ლუკასაბ დუმბაძე.  
 თ. დიმიტრი თაქთაქიშვილი.  
 ერმინე ფოცხეშვილი.  
 ტარასი მამარდისშვილი.

გიორგი კაკულავი.  
 სპირიდონ სუციშვილი.  
 პეტრე ესიაშვილი.  
 ილიკო ნებაძე.  
 ალექსი ნოზაძე.  
 ზაქარი აბრამაშვილი.  
 გიგო ანტონის ძე აბულაძე.  
 სამსონ გეგეჭკორი.  
 ვასო კიკინაძე.  
 დავით კალაშნიკოვი.  
 სტეფან ჭოლაქარდი.  
 დავით დათუნიშვილი.  
 ივანე დათუნიშვილი.  
 ბესო კახიანიძე.  
 თადე ბორცოტიშვილი.  
 ალექსი ბარბაქაძე.  
 ანტონ მუმლაძე.  
 სოსო გელაშვილი.  
 ვლადიმერ უიფიანი.

ქუთაისი

ივანე ყაუხჭოვი.

ფ. მ. თ. ი.

დეკანოზი გრიგოლ მაჭარაშვილი.

ზ. ზ ი ზ ი ნ ა ძ ე

კუკააში, მეორე თუმანოვას ქუჩა, სახლი № 30

---

|                          |           |       |
|--------------------------|-----------|-------|
| ქართლის ცხოვრება I წიგნი | . . . . . | 40 კ. |
| მეორე წიგნი              | . . . . . | 1 მ.  |
| მესამე წიგნი             | . . . . . | 40 კ. |

---

მზადდება დასაბეჭდათ „საქართველოს ისტორია“, შუკრები-  
ლი ვახტ. მეფის მიერ და პირველად გამომცემელი დ. ჩუბინაძის  
მიერ. ამ ვრცელი ტომის გამოსაცემად ხელის მწვერად / გაიმარ-  
ტება. ხელის მწვერით წიგნი 1 მ. 50 კ. ედიდება.

---

ვეძებთ XIII საუკუნის ქართულს რომანს „რუსუდანის“, რა-  
დგანაც მის დაბეჭდვას ვაპირებთ. დავეძებთ აგრეთვე თორდუსის  
„მაცხნამეს“ ქართულად „როსტომიანად“ წოდებულს.

---

თსებ ზაქარიას ძე იმედაშვილის წიგნის მადანაში ისეი-  
დება უოველგვარი ქართული წიგნები, (იარმუკაზუკ; ბადის პირდაპირ,  
სახლი № 12)

---

უვირილას, მისკილ გაჩეჩილასძის წიგნის მადანაში ისეიდება  
ქართული წიგნები.

---

